

ირინე თავაძე

ფულის მიმოქცევის
რეგულირების
გაუმჯობესების გზები
საქართველოში



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2012

ფულის მიმოქცევის მონესრიგება ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლების უმთავრესი პრობლემაა იმ უზრალო ჭეშმარიტების გამო, რომ ამ სფეროში იმპულსური მოქმედებები ან დაშვებული შეცდომები ინფლაციური პროცესების დამანგრეველი ტალღის მიზეზი ხდება/ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედა ტრანსფორმაციულ პროცესებთან დაკავსირებით. ასე იყო საქართველოშიც.

მიუხედავად იმისა, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ფულის, ფულის მიმოქცევის და ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემის ცალკეულ თეორიულ-მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ-გამოყენებით საკითხებზე საინტერესო ნაშრომები აქვთ გამოქვეყნებული ცნობილ ქართველ მეცნიერ-ეკონომისტებს, ფულად-საკრედიტო სისტემის კვლევის სფეროში მაინც ბევრი პრობლემა არსებობს; დღემდე ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის როლი ფულის მიმოქცევის რეგულირების გაუმჯობესებაში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფორმირებისა და ეფექტიანად გამოყენების გზების გამოკვლევა ფრიად აქტუალურია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული პოზიციებიდან.

რედაქტორი: პროფ. გოჩა თუთბერიძე

რეცენზენტები: პროფ. ევგენი ბარათაშვილი
პროფ. მერაბ ვანიშვილი
პროფ. ასიკო ცინცაძე

© ი. თავაძე. ფულის მიმოქცევის რეგულირების გაუმჯობესების გზები საქართველოში, 2012

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2012

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის ბაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-509-1

შინაარსი

თავი I ფულის წარმოშობისა და ფუნქციონირების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები..... 11

- 1.1. ფულის არსი, როლი და ფუნქციები 11
- 1.2. ფულის თეორიები, მისი თანამედროვე სახეები
და ფორმები 36
- 1.3. ქართული ფულის ემისიისა და მიმოქცევის
გენეზისი 62

თავი II ფულის მიმოქცევა და ფულადი სისტემა საქართველოში 80

- 2.1. ფულის ბრუნვისა და მიმოქცევის არსი, ფულის
მიმოქცევის კანონი 80
- 2.2. ფულის მიმოქცევისა და სტაბილიზაციის
ამოცანები და ღონისძიებები 93
- 2.3. ფულადი სისტემის თანამედროვე ტიპი, მისი
ორგანიზების პრინციპები და თავისებურებანი
საქართველოში 108

თავი III ფულის მიმოქცევის რეგულირება და მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში 121

- 3.1. ფულად-საკრედიტო ურთიერთობების
პრობლემები და საერთაშორისო სავალუტო
ფონდის წვლილი მათ გადაწყვეტაში 121
- 3.2. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და მისი როლი
ფულის მიმოქცევის რეგულირებაში 130
- 3.3. ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის
პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოში.. 153

შესავალი

ნაშრომის აქტუალურობა. მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო პოსტსოციალისტური ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში სისტემური ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც დაზღვეული არ იყო წინააღმდეგობრივი და ურთიერთგამომრიცხავი მოვლენებისაგან: კატაკლიზმები ეკონომიკისა და სახელმწიფოებრივი მონყობის სფეროში, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესება, ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპი, მატერიალური და ფინანსური რესურსების დეფიციტი, დისბალანსი მოთხოვნა-მიწოდებას შორის.

დამოუკიდებლობის აღდგენის პირველი წლები, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით უმძიმესი წლები იყო საქართველოს ისტორიაში. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ქვეყანაში მოიშალა ეკონომიკური კავშირები. ეროვნული ვალუტის უქონლობამ, ფულად-საკრედიტო სისტემის მოუწესრიგებლობამ წარმოების მნიშვნელოვანი ვარდნა და ჰიპერინფლაცია გამოიწვია.

ქვეყნის უმძიმესი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობიდან თავის დაღწევა შესაძლებელი იყო მაკრო-ეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამის შემუშავებითა და განხორციელებით. ამ ამოცანის გადაწყვეტა კი მოითხოვდა საბაზრო ურთიერთობის ცივილიზებული მოდელის დროულად შერჩევას და მასზე ქვეყნის ფინანსური სისტემის რეფორმირების მორგებას.

იმისათვის, რომ ქვეყანაში ფულის მიმოქცევა, ფულად-საკრედიტო სისტემა ჩადგეს ეროვნული ეკონომიკის აღორძინების სამსახურში, აუცილებელია ამ სისტემის ტრანსფორმაცია განხორციელდეს ეკონომიკის ყველა სეგმენტის რეფორმირების პარალელურად. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს ფულად-საკრედიტო სის-

ტემა, ფულის მიმოქცევის რეგულირების გაუმჯობესების გზების საშუალებებით საბიუჯეტო-საგადასახადო სტრუქტურების საქმიანობის სრულყოფას მოემსახუროს, რომ მათ მოახდინონ ფინანსური რესურსების სრულად მობილიზაცია და ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამების შეუფერხებელი დაფინანსება.

უკვე თვრამეტი წელია, რაც საქართველოს ეკონომიკა მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებიდან საბაზრო მეთოდებზე გადადის. როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე საქართველოს ფაქტობრივად არ გააჩნდა ფულად-საკრედიტო სისტემა და არც პოლიტიკა. ამიტომ, ახალ არაორდინალურ პირობებში მათი ჩამოყალიბება განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანაა.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვლილი 15 წლიანი პერიოდის ანალიზი საშუალებას გვაძლევს რამდენადმე ობიექტურად შევაფასოთ როგორც ეკონომიკურ, ისე ფულად-საკრედიტო სისტემაში განხორციელებული რეფორმების დადებითი და უარყოფითი შედეგები.

სისტემური სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში ფინანსური სიტუაციის სტაბილიზაციისათვის მკაცრი საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკის გატარების ნაცვლად ქვეყანაში ფართოდ გავრცელდა ანარქიულ-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც არავითარ კანონზომიერებებს არ ემორჩილებოდა და რამაც დააჩქარა ქვეყნის ეკონომიკის მთლიანი ნგრევისა და სოციალური დაძაბულობის გამწვავების პროცესი.

კუპონის შემოღება იძულებითი ღონისძიება იყო. იგი გაუთვალისწინებლად, ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე განხორციელდა. ამიტომაც, კუპონმა ვერ შეასრულა ფულის ნაწილობრივი რეფორმის ფუნქცია და ახლშემოღებული ფულის ნიშანი ძალიან სწრაფად გაუფასურდა. აუცილებელი გახდა ფულის რეფორმის გატარება.

საქართველოში ფულის რეფორმა მოკლე დროში გატარდა და უნიკალურ შემთხვევას წარმოადგენს ფულის რეფორმის გატარების მსოფლიო ისტორიაში. ეროვნული ვალუტის-ლარის შემოღება ძირითადად დასრულდა 1995 წლის დეკემბერში. ამის შედეგად ქვეყანაში შეიქმნა მტკიცე საფუძველი ფინანსური სტაბილიზაციის რეალურად მიღწევისათვის.

1996 წლიდან დღემდე საქართველოში ეროვნული ბანკი შესამჩნევ წარმატებებს აღწევს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებაში. მისი საქმიანობის უმთავრესი მიზანია ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობის მიღწევის გზით ინფლაციის დონის შემცირება, რაც მიღწეულია და საშუალოდ 8%-ს შეადგენს.

ნაშრომში წარმოდგენილია ქვეყნის ეკონომიკის რეფორმირებაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის ღვაწლი. საქართველოში ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა სრულყოფის მიზნით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელშეწყობითა და რეკომენდაციით, შემუშავებული იქნა წლების მიხედვით მოქმედების კომპლექსური გეგმა, ჩამოყალიბებული იყო ფონდის საქმიანობის პროგრამის ძირითადი მიზნები: ჰიპერინფლაციის დაძლევა; ფასების ლიბერალიზაცია; ბიუჯეტის საკანონმდებლო ორგანოებში მიღება და დამტკიცება; ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეცადინეობის შედეგად 1996-1997 წწ მშპ-ის ზრდის მაღალი ტემპები და ინფლაციის მინიმალური დონე ჩამოყალიბდა, რამაც ქვეყანაში ოპტიმალური საინვესტიციო კლიმატისათვის აუცილებელი პირობები შექმნა.

ამრიგად, დღეისათვის ქვეყანაში შექმნილია აუცილებელი საკანონმდებლო და სამართლებრივი ბაზა და შესაბამისი ორგანიზაციული პირობები ფულად-საკრედიტო, ფინანსური და საბიუჯეტო-საგადასახადო სრულყოფისათვის.

ფულის, ფულის მიმოქცევის და ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ცალკეულ თეორიულ-მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ საკითხებზე საინტერესო გამოკვლევები აქვთ ცნობილ ქართველ მეცნიერ-ეკონომისტებს: აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ვ. პაპავას, პროფესორებს: რ. ასათიანს, გ. გამსახურდიას, მ. ვანიშვილს, გ. თუთბერიძეს, რ. კაკულიას, შ. ქისტაურს, გ. ცაავას, გ. ხელაიას და სხვებს. მიუხედავად ამისა, დღემდე ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ნაკლებად არის შესწავლილი ფულად-საკრედიტო სისტემის საშუალებით, ფულის მიმოქცევის რეგულირების გზები. აღნიშნულ ავტორთა გამოკვლევებისა და მოსაზრებების გათვალისწინებამ დიდად შეუწყო ხელი ფულის მიმოქცევის რეგულირების გაუმჯობესების გზების შესახებ წარმოდგენილი ნაშრომის დამუშავების კომპლექსურობას.

სწორედ ამ გარემოებებმა განაპირობა საკვლევი თემის შერჩევა. ამითვე განისაზღვრა პრობლემის აქტუალობა.

კვლევის მიზანი და ამოცანები. ნაშრომის ძირითადი მიზანია ეროვნული ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის, ეკონომიკური ზრდისა და საერთოდ, მაკროეკონომიკური რეაბილიტაციის საქმეში, ქვეყანაში გამართული ფულის მიმოქცევის ადგილისა და როლის განსაზღვრა, ფულის მიმოქცევის რეგულირების გაუმჯობესების გზების გამოვლენა.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, დასახელებული იქნა შემდეგი ამოცანები:

- ფულის რაოდენობის განსაზღვრისას ქვეყნის ეკონომიკური და ინსტიტუციური თავისებურებების გათვალისწინება;

- განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებთან მიმართებაში ფულის მიწოდებისა და მოთხოვნის მსგავსება-განსხვავების გამოვლენა;

- ქვეყნის ცენტრალური ბანკის მხრივ ფულის მასის მიმოქცევის კონტროლის შესაძლებლობების გარკვევა;

— ფულის მიმოქცევაზე და ქვეყნის ეროვნული მეურნეობის ეფექტიანობაზე ზემოქმედებისათვის საჭირო ინსტრუმენტების განსაზღვრა.

კვლევის საგანია საქართველოში ფულის მიმოქცევის რეგულირება, მისი სრულყოფისათვის და განვითარებისათვის გზების ძიება.

კვლევის ობიექტია პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც დაგროვდა ფულად-საკრედიტო ურთიერთობებში, ფულის მიმოქცევის რეგულირების სფეროში.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია ფულის და ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირების დებულებები, ქართველი და უცხოელი მკვლევარების ფუნდამენტური თეორიულ-მეთოდოლოგიური გამოკვლევები, საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მიერ შემუშავებული და მიღებული გადაწყვეტილებები, საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების მემორანდუმები და სარეკომენდაციო დოკუმენტები, საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსთა სამინისტროების, საქართველოს ეროვნული ბანკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები და ანალიზური მასალები.

კვლევაში გამოყენებული იქნა სტატისტიკური ანალიზის, დაჯგუფების, შედარების, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები, აგრეთვე ანალოგიის მეთოდი.

ნაშრომის ძირითადი შედეგი და მეცნიერული სიახლე. ზოგადად, ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს ფულის მიმოქცევის რეგულირების სრულყოფის გზების კომპლექსურ შესწავლასა და განზოგადებაში; იმ სფეროში, სადა თავისებურებებისა და დაუძლეველი პრობლემების გამოვლენაში, რომლებიც დამახასიათებელია ზოგადად ფულის მიმოქცევისათვის, ფულად-საკრედიტო სისტემისათვის და ამ მიმართულებით წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებაში.

კონკრეტულად კვლევის შედეგები და მიღებული მეცნიერული სიახლეები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

— კომპლექსურად არის შესწავლილი ფულის წარმოშობისა და ფუნქციონირების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები. ამასთან დაკავშირებით, ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებულ შეხედულებათა კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დაზუსტებულია ფულის ბრუნვისა და ფულის მიმოქცევის ცნებები. კერძოდ, ფულის ბრუნვა წარმოდგენილია ნაღდი და უნაღდო ფორმით ფულის უწყვეტი მოძრაობის პროცესად, ფულის მიმოქცევის გაგებას კი მიკუთვნებულია მხოლოდ ნაღდი ფულის ბრუნვა;

— დასაბუთებული და არგუმენტირებულია ფულის მიმოქცევის რეგულირების გაუმჯობესებაში საქართველოს ეროვნული ბანკის დომინირებული მნიშვნელობა;

— საქართველოს ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ეტაპის გათვალისწინებით, ჩამოყალიბებულია ავტორისეული პოზიცია ქვეყანაში ინფლაციური პროცესებისა და სავალუტო კურსების რეგულირებისა და სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების საკითხში. კერძოდ, დასაბუთებულია დებულება ყოველწლიურად რეალური გაცვლითი კურსის 1%-ის ფარგლებში შემცირებისა და ინფლაციის ტემპის დასაშვები დონის 12-15%-მდე გადიდების საფუძველზე სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების თაობაზე;

— საქართველოს ბანკებში ფიზიკური პირების დეპოზიტების მოცულობის ანალიზის საფუძველზე, საკრედიტო დაწესებულებათა უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მესაბრეების შესაძლო დანაკარგების მთლიანი ან ნაწილობრივი კომპენსაციის მიზნით, ავტორი ასაბუთებს დეპოზიტების სავალდებულო დაზღვევის მექანიზმის შემოღების აუცილებლობას და იძლევა რიგ ეკონომიკური, ორგანიზაციული

თუ ინსტიტუციური ხასიათის მოსაზრებებს მისი ეფექტიანად მუშაობისათვის;

— შრომითი მიგრანტების მთლიანი ფულადი გზავნილების სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია ავტორისეული შეხედულებები, რეკომენდაციები და პრაქტიკული წინადადებები შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების აღრიცხვის, კლასიფიკაციისა და სანდოდ დაცვის თაობაზე თანამედროვე საქართველოში.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფორმირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის და პროგნოზირების პროცესში. ნაშრომში განხილული საკითხების გამოყენება შეიძლება აგრეთვე ეკონომიკური პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში ფულის მიმოქცევისა და კრედიტის სასწავლო დისციპლინებში სალექციო კურსის მომზადებისას.

თავი 1. ფულის წარმოშობისა და ფუნქციონირების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1. ფულის არსი, როლი და ფუნქციები

ფული პოლიტიკური და ეკონომიკური დატვირთვის მქონე ხელოვნების ნიმუში და სახელმწიფოებრიობის საფუძველია, რომელიც თავისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით ქვეყნის ერთიანობის, სიძლიერისა და კეთილდღეობის სიმბოლოდ გვევლინება. ფულადი ემისიისა და ფულის მიმოქცევის ისტორია კი თავისებური სარკეა, რომელშიც უტყუარი სიზუსტით აისახება ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორია.

იმისათვის, რომ სრული წარმოდგენა შეგვექმნას ფულის მიმოქცევის რეგულარულობაზე და სწორად გავერკვეთ საქართველოში, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, ფულის მიმოქცევის წინაშე მდგარ პრობლემებში, შევძლოთ მისი რეგულირების გაუმჯობესების გზების მოძებნა, აუცილებელია გავერკვეთ თავად ფულის არსში, მის ფუნქციებში, შევიქნათ წარმოდგენა მისი მიმოქცევის რეგულირებაზე საერთოდ და ა.შ.

ამისათვის, პირველ ყოვლისა, უნდა განვიხილოთ ღირებულების ფორმების განვითარება, რომლის ანალიზი ნათლად ასახავს ფულის წარმოშობის ისტორიულ-ეკონომიკურ პროცესს.

ნებისმიერი ქონება გარკვეული თვალსაზრისით ფულია, რამდენადაც იგი ლიკვიდურია, თუ მისი გაცვლა შესაძლებელია სხვა დოვლათზე რაიმე ხარჯის გარეშე. ე.ი. ფული – ეკონომიკური კატეგორიაა, რომელშიც გამოიყვანება და რომლის მონაწილეობითაც შენდება საზოგადოებრივი ურთიერთობები. ფული გამოდის ღირებულების საცვლელ, მიმოქცევის, გადახდისა და დაგროვების დამოუკიდებელი ფორმის სახით. თანამედროვე პირობებში ადამიანთა ყოველ-

დღიურ ცხოვრებაში, საწარმოთა საქმიანობაში, სახელმწიფო და სხვა ორგანოებში, ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, ფული გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულებისათვის:

- ფასის განსაზღვრის, საქონლისა და მომსახურების სარეალიზაციოდ;

- პროდუქციის თვითღირებულებისა და მოგების სიდიდის განსაზღვრისათვის;

- შრომის ანაზღაურებისათვის;

- ბიუჯეტის შედგენისა და შესრულებისათვის;

- სადეკრეტო და საანგარიშსწორებო ოპერაციების განხორციელებისათვის;

- ფასიან ქალაქებთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელებისათვის;

- რესურსების მოცულობის შეფასებისათვის, რომლებიც გამოიყენებიან წარმოების პროცესში (ძირითადი და საბრუნავი ფონდები) და ა.შ.

ფული აღმოცენდება წარმოების აღმოცენებისა და საზოგადოებაში ეკონომიკური ურთიერთობების განსაზღვრულ პირობებში და ხელს უწყობს მის შემდგომ განვითარებას.

ფულის წარმოშობის უშუალო წინაპირობას მიეკუთვნება:

- ნატურალური მეურნეობიდან საქონლის წარმოებასა და გაცვლაზე გადასვლა;

- ქონებრივი განკერძოებულობა საქონლის მწარმოებელსა და წარმოებული პროდუქციის მესაკუთრეებს შორის.

ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებობს ფულის წარმოშობის ორი კონცეფცია: რაციონალისტური და ევოლუციური.

პირველი კონცეფცია ფულის წარმოშობას უკავშირებს ფსიქოლოგიურ ფაქტს და მას ხსნის, როგორც ადამიანებს შორის შეთანხმების შედეგს, მეორის თანახმად კი, ფული

ნარმოიშვა ევოლუციური პროცესის შედეგად, რომელმაც, ადამიანისაგან დამოუკიდებლად, გამოიწვია ზოგიერთი საგნის გამოყოფა საერთო მასიდან და კვლავწარმოების პროცესში მის მიერ განსაკუთრებული ადგილის დაკავება.

ფულის წარმოშობის რაციონალისტური კონცეფცია პირველად არისტოტელესთან გვხვდება. იდეა, რომელიც ფულს მიიჩნევდა, როგორც შეთანხმების შედეგს, განუყოფლად ბატონობდა XVIII საუკუნის ბოლომდე, თუმცა ფულის წარმოშობისადმი სუბიექტივისტური-ფსიქოლოგიური მიდგომა მრავალი თანამედროვე მენციერ-ეკონომისტის შეხედულებაშიც გვხვდება.

მაშინ, როდესაც რაციონალური კონცეფცია ფულს თვლის ძველი კანონმდებლობის გენიალური ჩანაფიქრის ნაყოფად, ევოლუციური კონცეფცია ფულის წარმოშობას ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების ობიექტურ, სტიქიურ პროცესად მიიჩნევს. ამ მიმართულების ფუძემდებელია კ. მარქსი. იგი წერს „გაცვლის პროცესი ამასთანავე ფულის შექმნის პროცესიც არის“.² ამ მოსაზრებას იზიარებენ პ. სამუელსონი და ნორდჰაუსი,³ და სხვა ცნობილი მეცნიერები.

ამ ორი კონცეფციის განხილვისას, ჩვენი აზრი იმ მეცნიერთა ნააზრევს ემთხვევა, რომლებიც ფულის წარმოშობას ევოლუციურ კონცეფციას უკავშირებენ.

პირველყოფილი თემური წყობილების დროს ბატონობდა ნატურალური მეურნეობა, რომელშიც ინარმოებოდა პროდუქცია განკუთვნილი საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. თანდათანობით, წარმოების ზრდამ, რომელიც გამოიწვია ბუნებრივმა პირობებმა, წარმოშვა ადა-

² მარქსი კ. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის.—თბ.: „სახელგამი“, 1953, გვ. 53-54.

³ სამუელსონი პ. ნორდჰაუსი ვ. ეკონომიკის. სახელმძღვანელო. ძირითადი შინაარსი. — თბ.: „ეკონომიკა და სამართალი“, 1992, გვ. 79-82.

მიანთა სპეციალიზაცია განსაზღვრული სახის პროდუქციის წარმოებაზე. აქედან გამომდინარე, წარმოებული პროდუქციის გაზრდილი მოცულობა აკმაყოფილებდა რა მწარმოებლის მოთხოვნილებებს, საშუალებას იძლეოდა გაცვლილიყო იგი სხვა პროდუქციაზე, რომელიც აუცილებელი იყო მწარმოებლისათვის. ასეთია პროდუქციის გაცვლის წარმოშობის უმთავრესი წინაპირობა.

საქონლის წარმოებასა და გაცვლაზე გადასვლას თან ახლდა ის, რომ მწარმოებლის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოება შეიცვალა პროდუქციის წარმოებით, რომელიც გამოიყენება გაცვლისა და რეალიზაციისათვის. ასეთი გადასვლა ეფუძნებოდა მწარმოებლების სპეციალიზაციას ერთი სახის პროდუქციის წარმოებაზე, რაც ზრდიდა ამ პროდუქციის წარმოებას გაზრდილი შრომის ხარჯზე.

საქონელმწარმოებლებს, რომლების წარმოებული პროდუქციის უშუალო მესაკუთრეები იყვნენ, შეეძლოთ მათ მიერ წარმოებული პროდუქცია გაეცვალათ სხვა პროდუქციაზე ან გაეყიდათ ფულზე.

უშუალო გაცვლა საქონლისა საქონელზე ხორციელდება მაშინ, თუ გამყიდველს აქვს მოთხოვნილება მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ საქონელზე. ეს კი გულისხმობს იმას, რომ საქონელმწარმოებელს აქვს შესაძლებლობა წარადგინოს გაცვლაზე ის საქონელი, რომელიც სჭირდება მოცემულ მწარმოებელს, ხოლო ეს უკანასკნელი ფლობს იმ პროდუქციას, რომელიც სჭირდება სხვა საქონელმწარმოებელს.

მაშასადამე, საქონელზე გაცვლა შეილება განხორციელდეს იმ შემთხვევაში, როცა გაცვლაში მონაწილე მხარეები ფლობენ საჭირო საქონელს. ეს კი არსებითად ზღუდავს საქონლის გაცვლის შესაძლებლობას. თანაც გაცვლის დროს აუცილებელია დაცულ იქნეს საქონელმწარმოებლების ინტერესები და გასაცვლელი საქონლის ღირებულებათა ეკვი-

ვალენტობა, რაც, თავის მხრივ, ასე ზღუდავს გაცვლას, რომელიც რთულდება გასაცვლელი საქონლის განუყოფელი ბუნებით (მაგალითად, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი).

ეკვივალენტური გაცვლის მოთხოვნის დაცვა მოითხოვს საქონლის ღირებულების გამოთვლას, მის წარმოებაზე განეული შრომიდან გამომდინარე.

გაცვლის განვითარებისაკენ სწრაფვა გამონეული იყო საქონელწარმოების გადიდებით, მრავალი სახეობის გასაცვლელი საქონლიდან საყოველთაო ეკვივალენტის გამოყოფით, რომელიც გამოიყენებოდა გაცვლის დროს საქონლის ღირებულების გამოსათვლელად.

გაცვლის განვითარება, მისი ინტენსივობის თანდათანობითი გაზრდა იწვევდა თავიდან ცალკეული სახის საქონლის (პირუტყვი, ქურქი), ხოლო შემდეგ ძვირფასი ლითონების (ძირითადად ოქროს) გამოყენებას საყოველთაო ეკვივალენტის სახით. ოქროს გამოყოფას, საყოველთაო ეკვივალენტად, ხოლო საბოლოო ჯამში ფულად ხელს უწყობდა მისი ერთგვაროვნობა, გაყოფადობა, იგი არ ფუჭდებოდა და ადვილი იყო მისი შენახვა, მის მცირე მოცულობაში კონცენტრირებულია დიდი ღირებულება და იგი საკმაოდ შეზღუდული რაოდენობითაა ბუნებაში, რაც საშუალებას იძლევა მცირე რაოდენობის ოქრო გაიცვალოს დიდი რაოდენობის მრავალრიცხოვან საქონელზე.

ნატურალური მეურნეობიდან სასაქონლო მეურნეობაზე გადასვლამ, ასევე ეკვივალენტური გაცვლის დაცვის მოთხოვნამ განაპირობა ფულის წარმოშობის აუცილებლობა, რომლის გარეშეც შეუძლებელია საქონლის მასობრივი გაცვლა, დამყარებული საწარმოო სპეციალიზაციასა და საქონელმწარმოებლების უშუალო განცალკევებულობაზე.

თავდაპირველად, ვერცხლი და ოქრო ფულის როლში გამოდიოდა ზოდების სახით, მაგრამ საქონლის გაცვლა ზოდებზე გარკვეულ სიძნელეებს ქმნიდა: გაცვლის ყოველი აქტის დროს საჭირო იყო ლითონის ანონა, მისი დანანევრება,

სინჯის დადგენა და ა.შ., ამიტომ ობიექტურად წარმოიშვა იმის აუცილებლობა, რომ ზოდები მონეტებით შეცვლილიყო. მონეტა არის წინასწარ დადგენილი ფორმის ლითონის ზოდი, რომელიც შეიცავს განსაზღვრული წონისა და სინჯის ლითონს, რაც სახელმწიფო შტამპითაა მასზე აღბეჭდილი. ფულმა მიიღო მონეტის ფორმა, შეიძინა ეროვნული სახე და მისი მოჭრა სახელმწიფო მონოპოლიად იქცა.

პირველი მონეტა მოიჭრა ძველი წელთაღრიცხვით VII საუკუნეში ლიდიაში და ჩინეთში. დაახლოებით 500 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე სპარსეთის მეფემ დარომ მოახდინა ეკონომიკური რევოლუცია, თავის სახელმწიფოში მიმოქცევაში გაუშვა მონეტები და ამით შეცვალა ბარტერი. თუმცა არსებობს ამ მოსაზრების სანინაალმდეგო შეხედულება. კერძოდ, ფაროსის მარმარილოზე შემორჩენილი წარწერის თანახმად, მონეტა შემოუღია ანგოსის მეფე ფეიდონს კუნძულ ეგინაზე.

ფულის წარმოშობას და გამოყენებას თან ახლავს მნიშვნელოვანი პროცესები. ფულის გამოჩენამ საქონლის ცალკეულ მწარმოებლებს საშუალება მისცა გაერღვია ურთიერთგაცვლის ვიწრო საზღვრები და შექმნა პირობა ბაზრის წარმოშობისა, რომლის ოპერაციებშიც მონაწილეობის მიღება შეეძლო სხვადასხვა საქონელთა მფლობელებს. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობდა წარმოების სპეციალიზაციის განვითარებასა და ეფექტიანობის გაზრდას.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ფულის გამოყენების საშუალებით შესაძლებელი გახდა საქონლის ურთიერთგაცვლის ერთდროული პროცესი (ს-ს) გამოყოფილიყო ორ სხვადასხვა დროში განსახორციელებელ პროცესებად: პირველი გულისხმობს საკუთარი საქონლის გაყიდვას (ს-ფ), ხოლო მეორე – შეიძინო საჭირო საქონელი სხვა დროს და სხვა ადგილას (ფ-ს).

აქედან გამომდინარე, საქონელთა გაცვლის პროცესში ფულის გამოყენება უკვე არ გულისხმობს მის გამოყენებას,

როგორც შუამავალი. პირიქით, ფულის ფუნქციონირება ღებულობს დამოუკიდებელი პროცესის თვისებებს: საქონელმწარმოებლებს შეუძლიათ თავიანთი საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ფული შეინახონ, საჭირო საქონლის შეძენის მომენტამდე. აქედან წარმოიშვა ფულადი დანაზოგი, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებულიყო, როგორც საქონლის შესაძენად, ასევე სესხის გასაცემად ან ვადის დასაფარად.

ასეთი პროცესების შედეგად, ფულის მიმოქცევამ მიიღო დამოუკიდებელი მნიშვნელობა და გამოეყო საქონლის მოძრაობას.

ფულის ფუნქციონირებამ უფრო ფართო დამოუკიდებლობას მიაღწია სრულფასოვანი ფულის ჩანაცვლებით, რომელიც ფლობდა საკუთარ ღირებულებას, ფულად ნიშნებს. ასევე ფულად ერთეულში ოქროს შემცველობის ფიქსირების შემდგომ გაუქმებას. ამიტომ ბრუნვაში ფუნქციონირება დაიწყო ფულმა, რომელიც არ ფლობდა საკუთარ ღირებულებას და რომელმაც შესაძლო გახადა ფულადი ნიშნების იმიტირება ბრუნვის მოთხოვნის შესაბამისად, ოქროთი უზრუნველყოფის ქონებისაგან დამოუკიდებლად.

ფულის ფუნქციონირების დამოუკიდებლობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა უნაღდო ანგარიშსწორების წარმოშობასთან ერთად, ასევე ანგარიშსწორებით ელექტრო ტექნიკის გამოყენების ბაზაზე.

აღნიშნული პროცესები მოწმობენ იმაზე, რომ ფული ემსახურება აუცილებელ ელემენტებს და საზოგადოების ეკონომიკური საქმიანობის შემადგენელ ნაწილებს, სხვადასხვა მონაწილეებს შორის ურთიერთობებს და კვლავწარმოების პროცესთა რგოლებს.

ფულის არსი ხასიათდება მათი მონაწილეობით სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ ურთიერთობათა განხორციელებაში. ფულის არსი არ შეიძლება იყოს შეუცვლელი: მასში უნდა აისახებოდეს საზოგადოებაში ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება და თვით ფულის ცვლილება. ფული

მონაწილეობს ასევე მთლიანი ეროვნული პროდუქტის განაწილებაში, უძრავი ქონების, მიწის შეძენაში. აქ არსის გამოვლინება სხვადასხვაგვარია, რადგანაც განსხვავებული შესაძლებლობები ფულისა დამყარებულია სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ მიზნებზე. ფული მონაწილეობს ფასის განსაზღვრაში, რაც ასახავს საქონლის ღირებულებას: საქონლის დამზადება (მომსახურების გაწევა) ხორციელდება ადამიანების მიერ შრომის იარაღების გამოყენებით შრომის საგნებზე. წარმოებულ საქონელს გააჩნია ღირებულება, რომელიც განისაზღვრება ახალ ღირებულებაში გადატანილი შრომის საგნის, იარაღის და ცოცხალი შრომის ღირებულების ერთობლივი მოცულობით.

თუმცა, განსაზღვრული საქონლის ღირებულების სიდიდე, რომელიც დამზადებულია ცალკეული მწარმოებლის მიერ, გამოსახული ფასით, დამოკიდებულია არა იმდენად ცალკეული მწარმოებლების ინდივიდუალურ ხარჯებზე, არამედ საზოგადოებაში არსებული ამა თუ იმ საქონლის დამზადების ხარჯების დონეზე. ამიტომ, საქონლის რეალიზაციისას მის მფლობელს შეუძლია განაცხადოს პრეტენზია იმ ფასზე, რომელიც ემყარება განსაზღვრული საქონლის წარმოებაზე საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯის დონეს.

ეს ნიშნავს იმას, რომ ფასი, რომელიც განსაზღვრულია ცალკეული საქონლის დამზადებისათვის საჭირო საზოგადოებრივად აუცილებელია დანახარჯების დონის შესაბამისად, უფლებას აძლევს საქონელმფლობელს პრეტენზია განაცხადოს იმ თანხის სხვა საქონლის მიღებაზე, რომელიც ტოლია წარმოებული პროდუქციის ღირებულებისა. ამას ემყარება ეკვივალენტის მოთხოვნის დაცვა, რომელიც ხორციელდება ფულის საშუალებით. უკანასკნელი ასევე იძლევა ცალკეული საქონლის შეფასებისა და საზოგადოებრივი პროდუქციის მხოლოდ განსაზღვრული ნაწილის შეძენის შე-

საძლებლობას. ფული გვევლინება საყოველთაო სასაქონლო ეკვივალენტად.

გარდა ამისა, ფულის არსი ხასიათდება იმით, რომ ემსახურება საყოველთაო გაცვლას საქონელზე, უძრავ ქონებაზე, ხელოვნების ნაწარმოებებზე, ძვირფასეულობაზე და ა.შ. ფულის ეს განსაკუთრებულობა ხდება შესამჩნევი უშუალო საქონლის გაცვლის (ბარტერი) შედარებისას. საქმე ისაა, რომ ცალკეული სახის საქონელსაც შეუძლია გაიცვალოს სხვა საქონელზე ბარტერის პირობაზე. მაშასადამე, როგორც უკვე აღინიშნა, გაცვლის ასეთი შესაძლებლობები შეზღუდულია ურთიერთმოთხოვნით და ასეთი ოპერაციების ეკვივალენტური მოთხოვნის დაცვით. მარტო ფულისთვისაა დამახასიათებელი საყოველთაო უშუალო გაცვლის თვისება საქონელზე და სხვა ფასეულობაზე.

სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ფულის ეს თვისება იცვლება. თუ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკური მოდელის დროს ფულის უშუალო გაცვლის შესაძლებლობა საქონელზე იყო შეზღუდული, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას ასეთი შესაძლებლობები გაიზარდა. ეს ცვლილებები გამოწვეული იყო ფულად-სასაქონლო ურთიერთობების განახევრებული ხასიათითა და მათი გამოყენების სფეროებით.

ღირებულების შენახვის პირობებს აუმჯობესებს ღირებულების ფულადი ფორმით შენახვა და არა საქონლით, რაც ამცირებს შენახვის ხარჯებს და გაფუჭებას არიდებს თავს.

ფულის დახასიათებისას არც თუ იშვიათად აქცევენ ყურადღებას მის საქონლურ წარმომავლობას და შესაბამისად საქონლურ ბუნებას. ფულის საქონლური წარმოშობა არა გვგონია ინვედეს ეჭვს. თუმცა, თანდათანობით სრულფასოვანი ფულიდან ფულად ნიშნებზე გადასვლასთან დაკავშირებით, რომელსაც არ გააჩნიათ საკუთარი ღირებულება, ასევე უნაღდო ანგარიშსწორების განვითარებასთან და-

კავშირებით, ფული კარგავდა საქონლისათვის დამახასიათებელ ისეთ თვისებას, როგორიცაა ღირებულებისა და სახმარი ღირებულების ქონა.

თანამედროვე პირობებში ფულად ნიშნებსა და უნადოდ ბრუნვის ფულს არ გააჩნიათ საკუთარი ღირებულება, მაგრამ ინარჩუნებენ საცვლელ ღირებულებებს. ეს ამტკიცებს იმა, რომ ფული სულ უფრო და უფრო განსხვავდება საქონლისაგან და გადაიქცა დამოუკიდებელ ეკონომიკურ კატეგორიად, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ზოგიერთი საქონლური თვისება.

ფულის არსი ვლინდება მის ფუნქციებში, რომელშიც აისახება მათი გამოყენების შესაძლებლობები და განსაკუთრებულობა, ასევე ფულის როლი, რომლის საშუალებითაც მიიღწევა განსაზღვრული შედეგები.

ფულის ფუნქციებისათვის დამახასიათებელია სიმტკიცე, სტაბილურობა, ისინი მცირედ ექვემდებარებიან ცვლილებებს, როცა მაგალითად, ფულის როლი შეიძლება შეიცვალოს პირობების შესაბამისად.

ფუნქციების განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ ხშირ შემთხვევაში ისინი ხორციელდებიან მხოლოდ ფულით.

ფული გამოდის სხვადასხვა ფორმაში: ღირებულების საზომის, მიმოქცევის საშუალების, გადახდის საშუალების, დაგროვების საშუალების როლში.

ჩამოთვლილი ფუნქციების გარდა ლიტერატურაში, არც თუ ისე იშვიათად, მოიხსენიება ფული, როგორც მსოფლიო ფული (ფული-საერთაშორისო ეკონომიკური ბრუნვის სფეროში). ამ ფუნქციის შესრულება ოქროს ფულის არსებობისას, ამ თავისებურად კონვერტირებადი ვალუტის დროს არ იწვევს ეჭვს. თანამედროვე პირობებში ფულადი ერთეული საქართველოსი – ლარი – არ ფლობს საკუთარ ღირებულებას და როგორც წესი, მას ვერ იყენებენ სხვა ქვეყნებს შო-

რის ანგარიშსწორების საშუალებად, ე.ი. ის არ ასრულებს მსოფლიო ფულის ფუნქციას.

ფულის ფუნქციებს განიხილავენ როგორც მისი არსის გამომხატველს. ამასთან ერთად, ისინი შესრულებადია მხოლოდ ადამიანთა მონაწილეობით. მხოლოდ ადამიანებს, ფულის შესაძლებლობების გამოყენებით შეუძლიათ საქონელთა ფასის განსაზღვრა, მათი გამოყენება რეალიზაციისა და გადახდის პროცესებში, ასევე ფულის გამოყენება დაგროვების საშუალებად.

ფულის ფუნქციებისადმი ასეთი მიდგომა გულისხმობს, რომ იგი გვევლინება საზოგადოებაში ეკონომიკური ურთიერთობების ინსტრუმენტად, ხოლო ფულის ფუნქციები განხორციელებადია მხოლოდ ადამიანის მონაწილეობით.

შეჩერდეთ ფულის, როგორც ღირებულების საზომის ფუნქციაზე. ფული როგორც საყოველთაო ეკვივალენტი, ყველა საქონლის ღირებულებას გამოთვლის. მაგრამ ფული კი არ აქცევს საქონელს თანაზომვადს, არამედ საზოგადოებრივად აუცილებელი შრომა, რომელიც დაიხარჯა პროდუქციის წარმოებაზე და იგი ქმნის პირობას მათი თანაზომვისა. ყველა საქონელი გამოდის როგორც საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის პროდუქტი, ამიტომ, ნამდვილი ფული (ვერცხლი და ოქრო), ღირებულების მქონენი, შეიძლება გახდეს მათი ღირებულების საზომი. აქედან, საქონლის ღირებულების გაზომვა ფულით ხორციელდება იდეალურად – საქონელმწარმოელისათვის არ არის აუცილებელი ნაღდი ფულის ქონა.

საქონლის ღირებულება, გამოსახული ფულით არის ფასი. იგი განისაზღვრება მის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომითი დანახარჯებით. ფასებისა და მათი მოძრაობის საფუძველს წარმოადგენს ღირებულების კანონი. საქონლის ფასი ფორმირდება ბაზარზე საქონელზე მოთხოვნა – მიწოდების წონასწორობისას და დამოკიდებულია საქონლის ღირებულება-

სა და ფულის ღირებულებაზე. ნამდვილი ფულის ფუნქციონირებისას საქონლის ფასი პირდაპირპროპორციულია ამ საქონელთა ღირებულებისა და უკუპროპორციულია ფულის ღირებულებისა.

ოქროს სტანდარტის დროს ფასები დამოკიდებული იყო საქონლის ღირებულებაზე, რადგან ფული – ოქროს ღირებულება, იყო უცვლელი. საქალაქო – ფულად და ბანკნოტების სისტემის დროს საქონლის ფასი გამოისახება ღირებულების ნიშნებით, რომლებიც არ ფლობენ საკუთარ ღირებულებას. ამიტომ, ისინი ზუსტად ვერ ასახავენ საქონლის ფასს. აქედან გამომდინარეობს ფასთა სხვადასხვაობა ერთი და იმავე საქონელზე, რაც ართულებს საქონელმწარმოებლის მიერ სწორი გადაწყვეტილების მიღებას საქონლის წარმოებასთან დაკავშირებით.

საქონლის ღირებულების რაოდენობრივი შეფასება ფულით ხორციელდება. საქონლის ფასი უზრუნველყოფს არა მარტო საზოგადოებრივი შრომის პროდუქტების თანაშეზომვას, არამედ ერთი და იმავე ფულადი საქონლის ნაწილებისა — ვერცხლი ან ოქრო. სხვადასხვა ღირებულების საქონლის ფასების შედარებისათვის აუცილებელია მათი შეტოლება ერთ მასშტაბთან, გამოისახოს ისინი ერთნაირ ფულად ერთეულში. ფასის მასშტაბს, ლითონური მიმოქცევისას, ეწოდება ფულადი ლითონის წონითი რაოდენობა, მიღებული მოცემულ ქვეყანაში ფულად ერთეულად და ემსახურება ყველა სხვა საქონლის ფასის განსაზღვრას.

ფულს, როგორც ღირებულების საზომსა და ფულს, როგორც ფასების მასშტაბს, შორის არსებობს არსებითი სხვაობა. ფული, როგორც ღირებულების საზომი, მიეკუთვნება ყველა სხვა საქონელს, წარმოიქმნება სტიქიურად, იცვლება საზოგადოებრივი შრომის რაოდენობაზე დამოკიდებულებით დახარჯული ფულადი საქონლის საწარმოებლად. ფული, როგორც ფასების მასშტაბი, დგინდება სახელმწიფოს მიერ და გამოდის, როგორც ლითონის ფიქსირებული წონითი

რაოდენობა, ცვალებადი ამ ლითონის ღირებულებასთან ერთად. თავდაპირველად ფულადი ერთეულის ნონითი შემადგენლობა ემთხვეოდა ფასების მასშტაბს, რომელმაც ჰპოვა ასახვა ფულადი ერთეულის სახელწოდებაში. მაგალითად, ინგლისური ფუნტი სტერლინგი წარსულში მართლაც უტოლდებოდა ვერცხლის ფუნტს. ისტორიული განვითარების კვალდაკვალ ფასების მასშტაბი დაეფუძნა ფულადი ერთეულის ნონით შემადგენლობას.

ოქროს მიმოქცევისას ფასების მასშტაბი გულისხმობდა ფულადი ერთეულის დადგენას, შეფარდებული ოქროს განსაზღვრულ რაოდენობასთან. მაგალითად, აშშ-ში 1934 წლამდე, 1 დოლარი ოფიციალურად უტოლდებოდა 1,50463 გრ. წმინდა ოქროს. შემდეგ ფასების მასშტაბის ცვლილებასთან დაკავშირებით, მისი ოქროშემცველობა შემცირდა 0,888671 გრამამდე ანუ 41%-ით, ბოლოს კი შეადგინა 0,736662 გრამი წმინდა ოქრო.

1950 წლის 1 მარტამდე მანეთის ოქროშემცველობა დაწესებული იყო არაპირდაპირ უცხოეთის ვალუტასთან შედარებით (ფრანკი, დოლარი). 1936-1937 წლებში მანეთის კურსის განსაზღვრის ბაზა იყო ფრანგული ფრანკი (1 მანეთი=3 ფრანკს). ფრანკის დევალვაციის გამო მანეთის კურსი გაიზარდა: 1 მანეთი=4 ფრანკს – მანეთის ძველი და ახალი კურსი გამოხატავდა ოქროს განსაზღვრულ რაოდენობას ფრანკის მეშვეობით. 1937 წლიდან, ფრანკის კურსის დაცემასთან დაკავშირებით, მანეთის კურსი განისაზღვრებოდა დოლარით, რომელიც ამ პერიოდში შედარებით მყარი იყო. ერთი დოლარი უდრიდა 5 მანეთსა და 30 კაპიკს. შემდგომში დოლარის მსყიდველობითი უნარის დაცემის გამო, სახელმწიფო მანეთის კურსს ოქროთი განსაზღვრავდა. საბჭოთა კავშირში 1961 წლის ფულის რეფორმამდე, გარკვეულ პერიოდში (1950-1960 წლებში) მანეთის ოქროს შემცველობა შეადგენდა 0,222168 გრამ წმინდა ოქროს, 1961 წლის ფულის რეფორმის შემდეგ მისი ოქროშემცველობა გაიზარდა

0,987412 გრამ წმინდა ოქრომდე. (სინამდვილეში მანეთის ოქროშემცველობა საგრძნობლად შემცირდა, ვინაიდან ფასების მასშტაბის ცვლილებასთან დაკავშირებით, ფულადი ერთეული 10-ჯერ გამსხვილდა).

ამერიკის სავალუტო სისტემამ, რომელიც მიიღეს 1976-1978 წლებში, შეცვალა ოქროს ოფიციალური ფასი და საერთაშორისო სავალუტო სისტემის წევრი ქვეყნების ფულადი ერთეულის ოქროშემცველობა. ამჟამად ამ ქვეყნების ოფიციალური ფასების მასშტაბი იქმნება სტიქიურად. თანამედროვე პერიოდებში განხორციელდა ოქროს დემონეტიზაციის პროცესი, მან დაკარგა ფულის ფუნქცია, ასევე ღირებულების საზომის ფუნქციაც. ოქრო გამოიღვენა საკრედიტო ფულის შიგა და გარე მიმოქცევიდან.

საკრედიტო ფულის ბატონობის დადგენით ფასების მასშტაბმა განიცადა არსებითი ცვლილებები. ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო ადგენს:

- ა) ფულადი ერთეულის სახელწოდების, მისი გამოშვებისა და აღების წესრიგს და ასევე მის კუპირებს.
- ბ) შედარებით უფრო წვრილი ფულადი ერთეულის გამოშვების წესრიგს. ეს ფული მზადდება იაფფასიანი ლითონით და განსაზღვრულია მისი დამოკიდებულება ძირითად ფულად ერთეულზე.
- გ) ნაღდი და უნაღდო ფულის მიმოქცევის წესს.
- დ) ეროვნული ფულადი ერთეულის სავალუტო კურსს უცხოურთან მიმართებაში, გამომდინარე თავის ვალუტაზე მოთხოვნით და აქვეყნებს ოფიციალური პრესით.

საკრედიტო ფულის ღირებულების ნიშნების ბატონობა ახდენს ფულის ფუნქციის, როგორც ღირებულების საზომის, მოდიფიცირებას.

ფული ემსახურება არა მარტო საქონლის გაცვლას, გამოდის ფულადი კაპიტალის როლშიც. თანამედროვე ფუ-

ლი გადაიქცევა ფულად კაპიტალად სამრეწველო კაპიტალის ბრუნვაში მათი მონაწილეობის შედეგად, რომლის ფუნქციონირების პროცესში იქმნება დამატებითი ღირებულება (კაპიტალის ნაზარდი). ფულადი კაპიტალი, ერთი მხრივ, საქონლის წარმოებას უზრუნველყოფს, ხოლო მეორე მხრივ, ქმნის სასაქონლო კაპიტალის რეალიზაციის პირობებს, რომელშიც ჩართულია კაპიტალის ნაზარდი.

სასაქონლო კაპიტალმა, რომელიც შეიქმნება საწარმოში, საყოველთაო აღიარება მიიღო არა ფულის ბაზარზე საქონლის ფულთან გატოლებისას, არამედ თავად წარმოებაში. საქონელში განივთებული საზოგადოებრივად აუცილებლად შრომა განისაზღვრება საქონლის საქონელთან შედარებით, მათ რეალიზაციამდე საწარმოში. აქედან გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ საკრედიტო ფულის ღირებულების საზომის ფუნქცია, ასახვას პოულობს უშუალოდ წარმოებაში, ბაზრამდე.

საქონლის ფასი, რომელიც განისაზღვრება მის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომით, ბაზარზე ოქროს მიმოქცევისას დგინდებოდა ღირებულების კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მისი ფორმირება ხდება წარმოების პროცესში საქონლის საქონელთან შედარების მეშვეობით. საქონლის ფასი ბაზარზე ექვემდებარება მოდიფიცირების ღირებულების კანონს, მოქმედების შენარჩუნების გამო.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე საკრედიტო ფულის არსებობის შემთხვევაში, რომელიც არ იცვლება ოქროზე, საქონლის ფასი თავის გამოხატულებას ჰპოვებს არა რომელიმე სპეციფიკურ ფულად საქონელში, არამედ ყველა სხვა საქონელში, რომელიც გვახსენებს ღირებულების გაშლილ ფორმას.

რაც შეეხება ფულის, როგორც მიმოქცევის საშუალების ფუნქციას, ის განსხვავდება ღირებულების საზომის

ფუნქციისაგან იმით, რომ, ჯერ ერთი, ღირებულების საზომის ფუნქციას ასრულებს იდეალური, ხოლო მიმოქცევის საშუალების ფუნქციას – რეალური ფული. საქონელთა მიმოქცევისას ფული აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს. საქონელთა მიმოქცევა გულისხმობს: საქონლის გაყიდვას ე.ი. მათ გადაქცევას ფულად და საქონლის ყიდვას, ე.ი. გადაქცევას საქონლად (ს-ფ-ს). ამ პროცესში ფული შუამავლის როლს ასრულებს გაცვლაში. ფულის ფუნქციონირება, როგორც მიმოქცევის საშუალება, საქონელ-მწარმოებელს უქმნის ინდივიდუალური, დროებითი და სივრცული საზღვრების დაძლევის პირობებს, რაც დამახასიათებელია საქონლის საქონელზე გაცვლისას. ფული მიმოქცევაში რჩება მუდმივად და ემსახურება მას შეუწყვეტლად. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ფული მიმართულია საქონელთა გაცვლის განვითარებისაკენ.

ფულის წარმოშობა, როგორც მიმოქცევის საშუალება, აძლიერებს გაცვლის პროცესის წინააღმდეგობას. პირდაპირი საქონელგაცვლისას (საქონელი-საქონელზე) ყიდვა და გაყიდვა ემთხვევა ერთმანეთს და მათ შორის შუალედი არ არსებობს. საქონელმიმოქცევა წარმოდგება ორი დამოუკიდებელი აქტისაგან: საქონლის ყიდვისა და მისი გაყიდვისაგან, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა დროსა და სივრცეში. ეს კი ქმნის გაცვლის დარღვევის ობიექტურ შესაძლებლობას და საბოლოოდ – კრიზისულ სიტუაციას.

ფულის, როგორც მიმოქცევის საშუალების, განსაკუთრებულობას, პირველ ყოვლისა, მიეკუთვნება მისი რეალური არსებობა მიმოქცევისას, მათი წუთიერი არსებობა მიმოქცევაში. ამასთან დაკავშირებით იგი ხორციელდება არასრულყოფილი (ქალაქისა და საკრედიტო) ფულის საშუალებით. თანამედროვე პირობებში გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს საკრედიტო ფულს, რომელიც გამოდის მყიდველობითი და გადასახდელი საშუალების როლში. ფული, როგორც ყიდვის საშუალება, დამახასიათებელი იყო მარტივი

საქონელწარმოებისას: ს-ფ-ს. მიუხედავად იმისა, რომ საკრედიტო ფული წარმოიშვა ფულის გადახდის ფუნქციისაგან, დღეს იგი ემსახურება უშუალოდ კაპიტალის მოძრაობას. ამიტომ, საკრედიტო ფული გამოდის, როგორც მიმოქცევის საშუალების, ისე გადახდის საშუალების როლშიც, ამიტომ, საზღვარგარეთის ქვეყნებში, ფულის მიმოქცევის და გადახდის ფუნქციები ერთიანდებიან.⁴

გავაშუქოთ ფულის გადახდის ფუნქცია. სხვადასხვა გარემოებათა გამო, საქონელი ყოველთვის არ იყიდება ნაღდ ფულზე. მიზეზები შემდგომში მდგომარეობს: სხვადასხვა საქონლის წარმოებისა და მიმოქცევის პერიოდთა ხანგრძლივობის არათანაბრობა, ასევე საქონლის წარმოებისა და გასაღების სეზონური ხასიათი, მეურნე პირთა უკმარისობას წარმოშობს. ამის შედეგად საქონლის ყიდვა-გაყიდვის გადანაწილებით გადახდის აუცილებლობა წარმოიშვა ე.ი. კრედიტით. ფულს, როგორც საშუალებას აქვს სპეციფიკური მოძრაობის ფორმა: ს-ვ, ხოლო წინასწარ დადგენილ ვადაში ვ-ფ (სადაც ვ-სავალო ვალდებულებაა). ასეთი გაცვლის დროს ვერ ვხვდებით ფულისა და საქონლის შემხვედრ მოძრაობას. სავალო ვალდებულების დაფარვა წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვის დამამთავრებელ მწვერვალს. საქონელსა და ფულს შორის დროებითი გათიშვის დროს იქმნება მევალის კრედიტორზე გადაუხდელობის საშიშროება.

განვითარებული სასაქონლო მეურნეობის პირობებში ფულის გადახდის ფუნქცია აკავშირებს ერთმანეთთან მრავალ საქონელმფლობელს, რომელთაგან თითოეული იძენს საქონელს კრედიტით. საგადასახადო ჯაჭვის გათიშვას მივყავართ სავადო ვალდებულებათა ჯაჭვის რღვევისაკენ, რაც იწვევს საქონელმფლობელთა მასიურ გაბანკროტებას. ვალის გადაუხდელობის პრობლემა ყველა ქვეყნის მრეწველთა

⁴ Финансы. Денежное обращение. Кредит. Учебник. Под.ред. Л.А. Дробозиной. М.Финансы и статистика. 2000. с. 21.

ნინაშე დგას. ამ პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენება საკრედიტო ფულის ისეთი სახეების გამოყენება, როგორიცაა: საბანკო თამასუქი, ელექტრო ფული და მათ ბაზაზე აღმოცენებული საკრედიტო ბარათები.

ახლა განვიხილოთ ფულის დაგროვების ფუნქცია. ფული, რომელიც უშუალოდ არ მონაწილეობს ბრუნვაში, ქმნის ფულად დანაზოგს და ასრულებს დაგროვების საშუალების ფუნქციას.

ფულად დანაზოგში შედის ადამიანების მიერ შენახული ნარჩენი ნაღდი და ასევე ბანკის ანგარიშებზე არსებული ნარჩენი ფული. ცალკეული მოქალაქეების ფულადი დანაზოგი ეფუძნება მათი შემოსავლის გარდამეტების ხარჯებს. ფულის ფუნქცია, როგორც დაგროვების საშუალება, მოიცავს ასევე სანარმოებისა და ორგანიზაციების დანაზოგს ბანკებში მათ ანგარიშზე.

ფულადი დანაზოგების სხვადასხვა სახეებს შორის საგულისხმოა გამოვყოთ ნაღდი ფულის დანაზოგი საზოგადოებაში. პრაქტიკულად ამ დანაზოგებთან მიმართებაში არ არსებობს არანაირი შეზღუდვა საქონლის შეძენისა და ვალდებულებათა დაფარვის დროს. მით უმეტეს, რომ ნაღდი ფული წარმოადგენს კანონიერი გადახდის საშუალებას და აუცილებელია მისი მიღება ყველა სახის გადასახადის დროს.

სხვადასხვა მიზეზების გამო, რამდენადმე მცირე მობილურობითა და ლიკვიდურობით ხასიათდება იურიდიული და ფიზიკური პირების ანგარიშები ბანკში. ასეთი საშუალებების გამოყენებისთანავე დამოკიდებულებაში ზოგჯერ შეიძლება წარმოიქმნეს გარკვეული ბარიერები. მაგალითად, სანარმოს ანგარიშსწორების ანგარიშზე ყველა პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად არასაკმარისი საშუალებების არსებობისას მოცემული საშუალებები შეიძლება გამოყენებულ იქნას პრეტენზიათა დაკმაყოფილების დამტკიცებული განრიგისათვის და არა მარტო ანგარიშის სანარმომფლობელის განკარგულებით. მაგრამ არ შეიძლება მხედველობიდან გა-

მოგვრჩეს, რომ ბანკის ანგარიშებზე არსებული დანაზოგები წარმოადგენს არა მარტო ფულად დანაზოგს, არამედ ფულის დაბანდებას, რომელსაც მოაქვს შემოსავალი.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ აქციებში, ობლიგაციებსა და სხვა ფასიან ქაღალდებში დაბანდებული ფული წარმოადგენენ არა იმდენად ფულად დანაზოგს, არამედ მათ დაბანდებას შემოსავლის მატების მიზნით.

ამასთან ერთად, ფულის დაგროვების ფუნქციის უფრო მობილური და ლიკვიდური ნაწილით, როგორიცაა ნაღდი ფული, ერთი მხრივ, არ მოაქვს მოგება და მეორე მხრივ (განსაკუთრებით ინფლაციის დროს), ექვემდებარება გაუფასურების საშიშროებას. ფულის, როგორც დაგროვების საშუალების გამოყენების, სხვადასხვა პირობები იძლევიან განსაზღვრული ძალისხმევის აუცილებლობას, ფულადი დანაზოგის მიზანშეწონილი გავრცელებისას.

ფულის დაგროვების ფუნქცია უნდა ფლობდეს შესაძლებლობას ღირებულების შენახვისა განსაზღვრული დროით.

აქვე უნდა ითქვას, რომ ლითონური მიმოქცევის დროს ეს ფუნქცია ასრულებდა ფულადი ბრუნვის სტიქიური რეგულატორის როლს. ზედმეტი ფული მიდიოდა ძვირფასეულობაზე, ხოლო ფულის დეფიციტი იფარებოდა ძვირფასეულობის ხარჯზე.

საქონელწარმოების განვითარების დროს დაგროვების ფუნქციის მნიშვნელობა იზრდება. დანაზოგის გარეშე შეუძლებელი იყო კვლავწარმოების პროცესის განხორციელება. მარტივი საქონელწარმოებისაგან განსხვავებით, როცა გროვდებოდა, „მკვდარი ძვირფასეულობის“ სახით, კაპიტალიზმის დროს უკვე მწარმოებელისათვის არ იყო მომგებიანი ფულის შენახვა, მათ მოგების მიღების მიზნით უშვებდნენ მიმოქცევაში. ამასთან, დროებით თავისუფალი საშუალებების აკუმულაცია წრებრუნვის აუცილებელი პირობაა. სწარმოში უშუალოდ ფულადი რეზერვის წარმოქმნა უზრუნ-

ველყოფს ცალკეულ სამეურნეო სუბიექტებში წარმოშობილი დარღვევების გასწორებას, ხოლო რეზერვები ქვეყნის მასშტაბით – დისპროპორციას ეროვნულ მეურნეობაში.

ოქროს მიმოქცევა მოითხოვდა ცენტრალური (საემისიო) ბანკების ოქროს მარაგის დაგროვებას, რომელიც გამოიყენებოდა შიდა მიმოქცევის შესავსებად საერთაშორისო ანგარიშსწორებისას ღირებულების ნიშნების ოქროზე გადასაცვლელად. თუმცა, ოქრო აგრძელებს ძვირფასეულობის როლის თამაშს, თავს იყრის რა ცენტრალური ბანკების რეზერვებში, სახელმწიფო ხაზინაში, სამთავრობო — სავალუტო ორგანოებში. ოქროს მარაგის სიდიდე მეტყველებს ქვეყნის სიმდიდრეზე და უზრუნველყოფს რეზიდენტების ნდობას ეროვნულ ფულად ერთეულზე.

ცალკეული პირები ასევე აგროვებენ ოქროს მონეტებს, სამკაულებს (ოქროს ტეზავრაცია), ყიდულობენ რა ბაზარზე ეროვნული ფულის საშუალებით. ასეთი დაგროვების მიზანია ღირებულების ნიშნების ბატონობისას — დავიზღვიოთ თავი გაუფასურებისაგან. საზოგადოების ძირითადი ნაწილი ოქროს ბრუნვის არ არსებობისას აგროვებენ და ზოგავენ საკრედიტო ფულს, რომლებიც წარმოადგენენ ქალაქდურ სიმბოლოებს და არ წარმოადგენენ რეალურ სიმდიდრეს მფლობელთათვის. სამეურნეო სუბიექტები საკრედიტო დაწესებულებებში თავს უყრიან მოკლევადიან კრედიტებს, ხოლო გრძელვადიანი კაპიტალის-ფასიანი ქალაქდების დახმარებით, იღებენ შემოსავალს.

ამ ფუნქციის ძირითადი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ახორციელებენ სტიქიურ რეგულირებას ფულადი მიმოქცევის ღირებულების ნიშნების ბატონობის დროს.

ფულის, როგორც მსოფლიო ფულის ფუნქცია. საგარეო სავაჭრო კავშირებმა, საერთაშორისო სესხებმა, უცხოელ პარტნიორთან განეულმა მომსახურებამ გამოიწვია მსოფლიო ფულის წარმოშობა. ისინი ფუნქციონირებენ, რო-

გორც საყოველთაო საგადასახადო საშუალება, საყოველთაო მსყიდველობითი საშუალება და საზოგადოებრივი სიმდიდრის საყოველთაო მატერიალიზაცია. მსოფლიო ფული, როგორც საერთაშორისო საშუალება, საერთაშორისო ბალანსში გამოდის ანგარიშსწორების დროს: თუ მოცემული ქვეყნის გადასახადები განსაზღვრულ პერიოდში აჭარბებს მის ფულად შემოსავლებს სხვა ქვეყნიდან, მაშინ ფული წარმოადგენს გადახდის საშუალებას.

მსოფლიო ფული საერთაშორისო მსყიდველობით საშუალებას წარმოადგენს ქვეყანათა შორის საქონლისა და მომსახურების თანაბარი გაცვლის დარღვევისას, მაშინ მათი გადახდა ხორციელდება ნაღდი ფულით. როგორც საზოგადოებრივი სიმდიდრის მსოფლიო ფულად საყოველთაო გარდასახვა გამოიყენება ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნისადმი სესხის ან სუბსიდიების წარმოდგენისას. ამ შემთხვევაში ხდება სიმდიდრის ნაწილის გადადინება ერთი ქვეყნიდან მეორეში.

ოქროს სტანდარტის დროს მსოფლიო ფულის როლში გამოდიოდა ოქრო, როგორც საგადასახადო ბალანსის მარეგულირებელი და საკრედიტო ფული (ბანკნოტები) ცალკეული სახელმწიფოების, რომელიც გადაიცვლებოდა ოქროზე (ძირითადად აშშ-ის დოლარი და ინგლისის ფუნტ-სტერლინგი). ისეთი სახელმწიფოების, როგორიცაა აშშ და დიდი ბრიტანეთი, მათი ეროვნული ფულის განმტკიცებისათვის, როგორც მსოფლიო ფული, მათი ინიციატივით გამოიყენებოდა საერთაშორისო სავალუტო შეთანხმებები და სავალუტო კლირინგები.

პირველი საერთაშორისო სავალუტო შეთანხმება იყო მიღებული გენუის კონფერენციაზე 1922 წ. მათთან შეთანხმებით აშშ-ის დოლარი და ინგლისის ფუნტ-სტერლინგი იქნენ აღიარებულნი ოქროს ექვივალენტად და შეტანილი საერთაშორისო ბრუნვაში, როგორც მსოფლიო ფული. შემდეგი სავალუტო შეთანხმება გაფორმდა 1944 წელს ბრეტონ-ვუდ-

სის კონფერენციაზე, რომელმაც დაადგინა, რომ მსოფლიო ფულის ფუნქცია შენარჩუნდებოდა ოქროს, როგორც ქვეყნებს შორის საბოლოო ანგარიშსწორების საშუალებას, თუმცა მათი გამოყენების მასშტაბი მცირდებოდა. ოქროს გვერდით საერთაშორისო საგადასახადო საშუალებად და სარეზერვო ვალუტად საერთაშორისო ბრუნვაში იქნა აღიარებული აშშ-ის დოლარი, რომელიც ოფიციალურად უტოლდებოდა ოქროს თანაფარდობით 35 დოლარი 31,1 გრამი ოქრო, უფრო ნაკლები ოდენობით — დიდი ბრიტანეთის ფუნტ-სტერლინგს.⁵

გარდა საერთაშორისო სავალუტო შეთანხმებისა, იდებოდა რეგიონული სავალუტო შეთანხმებები. (სავალუტო ბლოკები, სავალუტო ზონები), რომლებიც უზრუნველყოფდნენ ერთი შედარებით განვითარებული ქვეყნის ფულადი ერთეულის გაბატონებას ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში. ასე შეიქმნა სტერლინგის ბლოკი (1931 წ.), დოლარის ბლოკი (1933 წ.), ოქროს ბლოკი (საფრანგეთის მეთაურობით, 1933 წ.). მეორე მსოფლიო ომის დროს და მის შემდეგ სავალუტო ბლოკების ბაზაზე ჩამოყალიბდნენ სტერლინგის, დოლარის, ფრანგული-ფრანკის, ჰოლანდიის-გულდენის, იტალიის-ლირის, ესპანური-პესეტის, სამხრეთ აფრიკის-რინდის ზონები.

სავალუტო კლირინგი — საანგარიშო სისტემა ქვეყნებს შორის, რომელიც ეფუძნება ურთიერთმოთხოვნათა ჩათვლებს საერთაშორისო საგადასახადო შეთანხმებათა შესაბამისად, ითვალისწინებენ საკლირინგო ანგარიშს, ვალუტას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კლირინგები მოქმედებენ სავალუტო შეზღუდვების პირობებში. უკანასკნელის გაუქ-

⁵ Финансы. Денежное обращение. Кредит. Учебник. Под.ред. Л.А. Дробозиной. М. Финансы и статистика. 2000. с. 24.

მებამ მიგვიყვანა ასეთი შეთანხმებების ლიკვიდაციასთან განვითარებულ ქვეყნებს შორის.

საერთაშორისო სააღრიცხვო ფულადი ერთეულის შექმნისათვის საერთაშორისო ლიკვიდურობის პრობლემის შერბილების მიზნით საერთაშორისო სავალუტო ფონდმა შემოიღო ახალი სარეზერვო და საგადასახადო საშუალებები — სესხების სპეციალური უფლება (შლ), რომელიც გამიზნულია სსფ წევრი ქვეყნების საგადასახადო ბალანსის საღდოს რეგულირებისათვის. 1971 წელს დადგინდა შლ ოქროს შემცველობა, რომელიც უტოლდება როგორც დოლარს 0,888671 გ., მაგრამ 1974 წლის 1 ივლისიდან (დოლარის დევალვაციის შემდეგ) შლ ერთეულის ღირებულება განისაზღვრებოდა საშუალო კურსით: თავდაპირველად 16, ხოლო შემდეგ 5 ნამყვანი ქვეყნის ვალუტით.

ევროპის სავალუტო სისტემის წევრი ქვეყნებისათვის 1979 წლის მარტიდან შემოღებულ იქნა საერთაშორისო სააღრიცხვო ერთეული-ეკიუ. შლ-ისგან განსხვავებით ახალი ერთეული უზრუნველყოფილია ნახევრად ოქროთი და ნახევრად დოლარით აშშ-სა (ესე წევრი ქვეყნების ოფიციალური რეზერვების 20% გაერთიანების გზით) და ნახევარი თავიანთი ეროვნული ვალუტა. ეკიუს ღირებულება განისაზღვრება ისევე, როგორც შლ, წევრი ქვეყნების ვალუტების საშუალოდ შენონილი კურსით. მას გამოიყენებენ ანგარიშსწორებისას ესე-ში შემავალი ქვეყნები.

ზემოთ ჩამოთვლილი 5 ფუნქცია წარმოადგენს ფულის არსს, როგორც საქონლისა და მომსახურების საყოველთაო ექვივალენტი, ისინი არიან ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში. ლოგიკურად და ისტორიულად ყოველი მომდევნო ფუნქცია წარმოადგენს წინა ფუნქციის ცნობილ განვითარებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს ფულის სამი ძირითადი თვისება, რომელიც ასახავს მის არსს:

– ფული უზრუნველყოფს საყოველთაო, უშუალო გაცვლას. მისი საშუალებით შეიძინება ნებისმიერი საქონელი.

– ფული ასახავს საქონლის გასაცვლელ ღირებულებას. მათი საშუალებით განისაზღვრება საქონლის ფასი, ეს კი იძლევა სხვადასხვა სამომხმარებლო ღირებულების საქონლის რაოდენობრივი შეფარდების საშუალებას.

– ფული ახდენს მატერიალიზაციას საყოველთაო სამუშაო დროისა, რომელიც განივთებულია საქონელში.

ფულის ფუნქციების განსაზღვრასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ამ საკითხის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ერთ შემთხვევაში მას სამ ფუნქციას ანიჭებენ, მეორე შემთხვევაში — ოთხს, მესამეში — კი ხუთს. ამასთან, აზრთა სხვადასხვაობაა თვით ფუნქციის გაგებაშიც. მაგალითად: მაკროეკონომიკური თეორიისა და ფულის პრობლემების კვლევის ინგლისელი სპეციალისტის ლ. ჰარისის აზრით, ფული ასრულებს შემდეგ სამ მთავარ ფუნქციას: მიმოქცევის საშუალების, საანგარიშო ერთეულის ანუ ფასების მასშტაბისა და ღირებულების დაზოგვის ფუნქციებს. გრეგორი მენკიუს აზრით, ფული ასრულებს დაგროვების საშუალების, ღირებულების საზომისა და მიმოქცევის საშუალების ფუნქციებს. ამ მოსაზრებას იზიარებენ მაკკონელი და ბრიუც. ჰეინეს აზრით, ფული როგორც ლიკვიდური ქონება, ასრულებს საანგარიშო ერთეულის, მიმოქცევის საშუალებისა და სიმდიდრის შენარჩუნების საშუალების ფუნქციებს. ამ აზრის არიან საკსი და ლარენიც.

ზოგი ეკონომისტი ფულს ანიჭებს გაცვლის საშუალების, ღირებულების, დაზოგვის ფუნქციებს, ზოგიერთი კი მიიჩნევს, რომ ფული ასრულებს ღირებულების საზომის, მიმოქცევის საშუალების, დაგროვების საშუალებისა და გადახდის საშუალების ფუნქციებს.⁶

⁶ ჩიქავა ლ. ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი. თბ. „სიახლე“. 1997. გვ. 300-302.

კ. კნისი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ფული ასრულებს შემდეგ ხუთ ფუნქციას: ღირებულების საზომის, გაცვლის საშუალების, საყოველთაო საგადასახადო საშუალების, ღირებულების შენარჩუნების საშუალებისა და ღირებულების სივრცეში გადატანის საშუალების ფუნქციებს.

ზოგიერთი ეკონომისტის აზრით კი, ფული ასრულებს ღირებულების საზომის, მიმოქცევის საშუალების, დაგროვების საშუალების, გადახდის საშუალებისა და მსოფლიო ფულის ფუნქციებს.⁷ ეს მოსაზრება ემთხვევა მარქსისტულ შეხედულებებს ოღონდ იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რაც ფულმა განიცადა იამაიკის სავალუტო სისტემის ჩამოყალიბების შემდეგ.

ჩვენ კი ვემხრობით იმ აზრს, რომ ფული ასრულებს სამ ძირითად ფუნქციას: როგორც ღირებულების საზომი, მიმოქცევის საშუალება და ღირებულების შენარჩუნების საშუალება.

თანამედროვე კაპიტალიზმმა მოახდინა ფულის ფუნქციების მოდიფიცირება. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების საყოველთაო ხასიათმა გამოიწვია ფულის გადაქცევა საყოველთაო ეკვივალენტად. დღევანდელ საზოგადოებაში ყველა სახის საქონელი, მომსახურება, ბუნებრივი რესურსების და ასევე ადამიანთა შრომის შესაძლებლობები ღებულობენ ფულად ფორმას. ხარისხობრივად ფულის ახალი როლი (მარტივი საქონელწარმოების ფულისაგან განსხვავებით) მდგომარეობს იმაში, რომ ის გადაიქცა ფულად კაპიტალად ან თვითმზარდ ღირებულებად. ეს ხორციელდება ფულის ფუნქციების კვალდაკვალ.

პირველ ფუნქციაში ფული არამარტო ზომავს ყველა საქონლისა და მომსახურების ღირებულებას, არამედ კაპიტალსაც. სხვადასხვა ფასეულობის ყიდვა-გაყიდვის დროს ნაღდი ანგარიშსწორებისას ფული გამოდის მიმოქცევის სა-

⁷ კახნიაშვილი ჯ. მაკროეკონომიკა. თბ. 1996. ნან.1. გვ. 237-238.

შუალეზად როგორც საქონლისა, ისე კაპიტალისა. ფული, როგორც დაგროვების საშუალება კონცენტრირდება საკრედიტო სისტემაში და უზრუნველყოფს მფლობელის მოგებას. ფული ემსახურება სხვადასხვა საგადასახადო ურთიერთობებს, მათ შორის შრომითსაც. სახელდობრ, ფულის ამ ფუნქციამ უზრუნველყო ფართო განვითარება კაპიტალისტური საკრედიტო სისტემის მსოფლიო ბაზარზე ფუნქციონირებისას, ფული უზრუნველყოფს კაპიტალის გადადინებას ქვეყნებს შორის. ფული ემსახურება საზოგადოებრივი კაპიტალის წარმოებასა და რეალიზაციას ფულადი ნაკადის სისტემის შემდეგ მეურნეობის სფეროებს, წარმოების დარგებსა და ქვეყნის რეგიონებს შორის. ამ ფულადი ნაკადის ორგანიზატორებად გვევლინებიან სახელმწიფოები, სამეურნეო სუბიექტები და ნაწილობრივ ცალკეული პირები. თუმცა, საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულების მიმოქცევა იწყება და მთავრდება კაპიტალის მფლობელთან.

1.2. ფულის თეორიები, მისი თანამედროვე სახეები და ფორმები

ფულის შესახებ განსხვავებულ კონცეფციებს ჯერ კიდევ XVII-XVIII საუკუნეებში მიეცა დასაბამი ნომინალისტური, მეტალისტური, რაოდენობრივი და ა.შ. თეორიების სახით. ბევრი თანამედროვე თეორია სწორედ მათგან იღებს სათავეს. ამასთან, ფულის ძველმა თეორიებმა მოდიფიცირებული სახე მიიღო. საკრედიტო ფულის განვითარებამ, ნაღდი ბრუნვის უნალდოთი თანდათანობითმა შევინროებამ, სახელმწიფო რეგულირების როლის გაზრდამ ხელი შეუწყო ფულის ანალიზისადმი ახლებური მიდგომის ფორმირებას. თუ XIX საუკუნეში ყურადღება გადატანილი იყო ფულის წარმოშობის, მისი ბუნების, მსყიდველობითი უნარისა და სხვა საკითხებზე, თანამედროვე პირობებში, სავსებით კა-

ნონზომიერად, წინა პლანზე დადგა ეკონომიკურ ზრდაზე ფულის ზემოქმედების პრობლემები, ხოლო ფულის თეორიები მაკროანალიზის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა.

მეტალისტური თეორია, რომელიც წარმოიშვა დასავლეთ ევროპაში კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების ეპოქაში, ფულს აიგივებს კეთილშობილ ლითონებთან და უარყოფს მის სპეციფიკურ საზოგადოებრივ ხასიათს, რომლითაც ფული განსხვავდება ყველა სხვა საქონლისაგან. ამ თეორიის წარმომადგენლები სტადფორდი, მენი, ნაისი, კნისი, ლასბურგი, ლექსისი და სხვები უარყოფდნენ ფულს, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობის გამომხატველ კატეგორიას და მიიჩნევდნენ მას ოქროს ბუნებრივ თვისებად. ისინი ცნობდნენ ფულის მხოლოდ იმ ფუნქციებს, რომელთა შესრულება შეუძლია ოქროს ფულს. აქედან გამომდინარე, მეტალისტები უგულვებელყოფდნენ ფულის, როგორც მიმოქცევის საშუალებისა და გადახდის საშუალების ფუნქციებს.

მეტალისტური თეორიის მოდიფიცირებულმა ფორმამ ნეომეტალიზმის სახით თავი იჩინა XX საუკუნის 50-60-იან წლებში, როდესაც რიგი ეკონომისტებისა, როგორც იყვნენ ჯ. რუეფი (საფრანგეთი), მ. ჰეოლპერინი (აშშ) და სხვები, გამოვიდნენ ოქროს სტანდარტის აღდგენის იდეით. ძველი მეტალისტური თეორიისაგან განსხვავებით, ისინი აღიარებდნენ ქალაქის ფულისა და დაუხურდავებელი ბანკნოტების გამოყენების აუცილებლობას, მაგრამ მოითხოვდნენ: ა) ბანკნოტების ოქროზე თავისუფლად გადახურდავებას; ბ) ფულადი ერთეულის სახით ოქროს განსაზღვრული რაოდენობის დანესებას; გ) ბანკნოტების უზრუნველყოფას რეალური ფასეულობებით – ოქროთი და კომერციული თამასუქით. მათი აზრით, ასეთი სისტემა ეკონომიკას მიაჩნებდა თვითრეგულირებად ხასიათს და სახელმწიფოსაგან არ მოითხოვდა განსაკუთრებულ კონტროლს გამოსაშვები ფულის რაოდენობისადმი.

დოლარის დევალვაციამდე, კერძოდ 1970 წელს რუეფი ისევ გამოვიდა მონოდებით მსოფლიო მასშტაბით ოქროს სტანდარტის აღდგენისაკენ, რომელიც მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც აყვავების ძვირადღირებული იარაღი, განაპირობებდა ფინანსურ სტაბილურობასა და სოციალურ პროგრესს.

ამ იდეის ხორცშესხმა განიზრახა ამერიკის პრეზიდენტმა რ. რეიგანმა. მან 1981 წელს იდეის მიზანშეწონილობის შეასასწავლად სპეციალური კომისიაც კი შექმნა, რომელმაც არ ჩათვალა გამართლებულად ოქროს სტანდარტის ხელახლა შემოღება.

ნომინალისტური თეორია, მეტალისტურისაგან განსხვავებით, უარყოფს ფულსა და კეთილშობილ ლითონებს შორის შინაგან კავშირს, მიიჩნევს მას წმინდა საანგარიშო ერთეულად, რომელსაც საერთო არაფერი აქვს საქონელთან და, მაშასადამე, არ გააჩნია საკუთარი ღირებულება. ნომინალისტები ფულს აიგივებდნენ ღირებულების ნიშნებთან და, აქედან გამომდინარე, მას აცლიდნენ მატერიალურ შინაარსს. ისინი ნამდვილ ფულად ქალაქის ფულის ფუნქციებით ფარგლავდნენ. ფულის, როგორც მიმოქცევის საშუალებისა და გადახდის საშუალების ფუნქციების აბსოლუტიზაციამ განაპირობა აღნიშნული თეორიის წარმოშობა. ამ თეორიის ფუძემდებლებმა – ინგლისელმა ფილოსოფოსმა ჯ. ბერკლმმა (1625-1753) და შოტლანდიელმა ეკონომისტმა ჯ. სტიუარტმა (1712-1780) ფული ნომინალურ პირობით ნიშნებად გამოაცხადეს.

არც თუ შორეულ წარსულში ნომინალისტურმა თეორიამ ფართო განვითარება ჰპოვა გერმანელი ეკონომისტის, „ფულის სახელმწიფო თეორიის“ (1905) ავტორის გ. კნაპის შრომებში. მისი აზრით, ქალაქის ფული ფულის უმაღლესი ფორმაა, რადგან იგი თავისუფალია ოქროსთან ყოველგვარი კავშირისაგან.

გ. კნაპის იდეები შემდგომში განავითარა ცნობილმა ინგლისელმა ეკონომისტმა ჯ. კეინსმა (1883-1946). მისი ფულის თეორიის მიზანი იყო ოქროს სტანდარტის გაუქმება, ქალაქის ფულის მიმოქცევის დომინირება და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება ინფლაციური პროცესების მართვის გზით.

ამრიგად, ფულის ნომინალისტური თეორიის თანამედროვე ნაირსახეობათა ძირითადი პოსტულატებია: ფულის საქონლური წარმოშობის იგნორირება, მისი ძირითადი ფუნქციების უგულვებელყოფა, ფულის ფასების მასშტაბთან გაიგივება და იდეალურ საანგარიშო ერთეულად წარმოჩენა.

ფულის რაოდენობრივი თეორია ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თეორიაა, რომლის მიხედვითაც საქონლის ფასები და ფულის ღირებულება განისაზღვრება მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობით; ამასთან საქონლის ფასები პირდაპირ პროპორციულ, ხოლო ფულის ღირებულება უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია ფულის რაოდენობასთან. რაოდენობრივი თეორიის თანახმად ფულს შინაგანი ღირებულება არ აქვს, იგი შედის მიმოქცევაში ღირებულების გარეშე და მისი ღირებულება მხოლოდ მიმოქცევაში მოძრაობის შედეგად იქმნება. აქედან გამომდინარე, ღირებულების თეორია ფულს მხოლოდ მიმოქცევის საშუალებად მიიჩნევდა. ამით დ. რიკარდომ ფულის საკითხში ღირებულების შრომითი თეორიიდან უკან დაიხია. ამასთან, მან, სავსებით მართებულად დასაბუთა, რომ ფულის რაოდენობის მატება, როდესაც მიმოქცევაში საქონლის მასა უცვლელია, მისი ღირებულების შემცირებასა და ფასების ზრდას იწვევს. დ. რიკარდო ოქროს ფულის ღირებულებას განსაზღვრავდა მის წარმოებაზე დახარჯული შრომით, მაგრამ თვლიდა, რომ ოქროს მონეტას აქვს მეტი ან ნაკლები ღირებულება იმის მიხედვით, თუ როგორია მისი რაოდენობა მიმოქცევაში. დ. იუმის მტკიცებითაც, მიმოქცევაში ფულის რაოდენობის მატება არ ნიშნავს ქვეყნის სიმდიდრის ზრდას, იგი ხელს უწყობს

მხოლოდ საქონლის ფასების ზრდას, ამიტომ ფულის ღირებულება განისაზღვრება მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობით და იგი სრულიად ფიქტიური სიდიდეა.

ფულის რაოდენობრივი თეორია დიდი პოპულარობით სარგებლობდა XVII-XIX საუკუნეებში და XX საუკუნის 30-იან წლებამდე, კეინზიანელობის წარმოშობამდე.

თანამედროვე პირობებში ფულის რაოდენობრივი თეორია ისევ ყურადღების ცენტრშია. მას ნეოკლასიკური თეორიის საფუძვლად მიიჩნევენ. ამ თეორიის მიმდევარნი ამტკიცებენ, რომ ფულადი ერთეულის ღირებულებასა და საქონლის ფასების დონეს განსაზღვრავს მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა. რაც უფრო მეტი ფულია მიმოქცევაში, მით უფრო მაღალია ფასები საქონელზე და დაბალია ფულადი ერთეულის ღირებულება. საგულისხმოა, რომ ფულის რაოდენობრივი თეორიის შემდგომი განვითარება ეკონომეტრიკული⁸ ანალიზის აპარატის გამოყენებასთან არის დაკავშირებული. მაგალითად, გამოჩენილი ამერიკელი ეკონომისტი ირვინგ ფიშერი (1867-1947), რომელსაც თანამედროვე ფულის რაოდენობრივი თეორიის ფუძემდებლად თვლიან, მათემატიკური მეთოდის მოშველიებით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ფულის ღირებულება მისი რაოდენობის უკუპროპორციულია, ხოლო საქონლის ფასები მიმოქცევაში არსებული ფულის პირდაპირ პროპორციულია. მან გამოიკვლია ურთიერთდამოკიდებულება ფულის მასასა და საქონლის ფასების დონეს შორის. ცნობილია ფიშერის გაცვლის ფორმულა, რომელიც ასახავს საქონლის შესაძენად გადახდილი ფულის რაოდენობასა და გაყიდული საქონლის ფასების ჯამს შორის ტოლობას. მათემატიკურად ეს განტოლება შემდეგი ფორმულის სახითაა წარმოდგენილი: $MV = PQ$, სადაც

⁸ ეკონომეტრიკა ეკონომიკის ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელიც დაფუძნებულია მოვლენების ანალიზსა და პროგნოზირებაში მათემატიკური მოდელების გამოყენებაზე.

M — არის ფულის მიწოდება;

V — შემოსავლების წრებრუნვაში ფულის მიმოქცევის სიჩქარე;

P — ფასების დონე (საშუალო ფასი, რომლითაც იყიდება წარმოების ფიზიკური მოცულობის ყოველი ერთეული);

Q — წარმოებული საქონლისა და მომსახურების ფიზიკური მოცულობა.

განტოლების მარცხენა მხარე (**MV**) წლის განმავლობაში საქონლისა და მომსახურების შესაძენად მყიდველთა მიერ გაწეული დანახარჯების მთლიანი რაოდენობა.

განტოლების მარჯვენა მხარე (**PQ**) — კი გამყიდველთა მთლიანი ამონაგებია.

აქედან გამომდინარე, მონეტარული შეხედულების თანახმად, **MV** ნომინალური წმინდა ეროვნული პროდუქტის (წეპ) ტოლი უნდა იყოს. ეს უკანასკნელი არის სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების წარმოების ფიზიკური მოცულობა (**Q**) გამრავლებული მათ შესაბამის ფასებზე (**P**), ანუ $წეპ = PQ$. მონეტარისტების აზრით, ფულის მიწოდების ცვლილება პირდაპირპროპორციულად გავლენას ახდენს ნომინალურ წეპზე (**PQ**), კერძოდ, ფულის მიწოდების გადიდება იწვევს **P**-ს ან **Q**-ს გადიდებას და პირიქით, ფულის მიწოდების შემცირება ამცირებს მათ.

მონეტარული შეხედულების თანახმად, ფულის მიწოდების (**M**) ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს წარმოებისა და დასაქმების რეალურ მოცულობაში მოკლევადიანი ცვლილებები, მაგრამ ხანგრძლივ პერიოდში **M**-ის ცვლილება გავლენას ახდენს ფასების დონეზე. ფულის მიწოდების ცვლილება ზემოქმედებს ერთობლივი მოთხოვნის ყველა

კომპონენტზე და არა მხოლოდ ინვესტიციებზე, ერთობლივი მოთხოვნის ცვლილება კი ზემოქმედებას ახდენს ნომინალურ წებ-ზე ხანგრძლივ პერიოდში უპირატესად ფასების დონისა და არა წარმოების რეალური დონის ცვლილებებით.

ეკონომიკურ მეცნიერებაში ცნობილია აგარეთვე ფიშერის განტოლება, რომელიც ასე გამოისახება: $\dot{i} = v + n$, სადაც

$\dot{i}$ - არის პროცენტის ნომინალური განაკვეთი;

v - პროცენტის რეალური განაკვეთი;

n - ინფლაციის ტემპი.

ფიშერის განტოლება გვიჩვენებს, რომ პროცენტის ნომინალური განაკვეთი შეიძლება შეიცვალოს პროცენტის რეალური განაკვეთისა და ინფლაციის ტემპის ცვლილებით; ინფლაციის ტემპის 1 %-ით გაზრდა ინვესტ პროცენტის ნომინალური განაკვეთის გადიდებას 1 %-ით. ინფლაციის ტემპსა და პროცენტის ნომინალურ განაკვეთს შორის ამ თანაფარდობას **ფიშერის ეფექტი** ეწოდა.

ამრიგად, ფიშერის ეფექტიდან გამომდინარეობს, რომ პროცენტის ნომინალური განაკვეთი იცვლება ინფლაციის ტემპის ცვლილების შესაბამისად.

ფიშერი ფულსა და საქონელს შორის კავშირს მიმოქცევის სფეროს პოზიციებიდან განიხილავს და მთლიანად უარყოფს წარმოების სფეროში მიმდინარე პროცესებს. მისი აზრით, ფულის ბრუნვის სიჩქარე, პირველ ყოვლისა, დამოკიდებულია დემოგრაფიულ (მოსახლეობის სიმჭიდროვე და ა.შ.) და ტექნიკურ (სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა და ხარისხი და ა.შ.) პარამეტრებზე, წარმოების დონე კი უმთავრესად შრომის ბაზარზე ჩამოყალიბებული პირობით განისაზღვრება. ამ თეორიის მომხრეა აგრეთვე კემბრიჯის სკოლის ინგლისელი ეკონომისტი ა. პიგუ. იგი უარყოფს ფულს, როგორც საყოველთაო ეკვივალენტს.

ფულის კეინზიანური თეორია, ჯ. კეინზის მოძღვრება ფულის შესახებ, ნომინალისტური თეორიის ერთ-ერთი ვა-

რიანტია. ჯ. კეინზი უარყოფს ფულის საქონლურ ბუნებას, მიიჩნევს მას სახელმწიფოს იშვიათ წარმონაქმნად და, აქედან გამომდინარე, დასკვნებიც ნომინალიზმის ანალოგიური გამოაქვს.

ნაშრომში — „ტრაქტატი ფულის შესახებ“, „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“, კეინზს ფულის არსისა და ფორმების გარდა, განხილული აქვს ფულის რაოდენობრივი თეორიის მოდიფიცირებული ვარიანტი, პროცენტის თეორია, ფულად-საკრედიტო რეგულირების თეორია და სხვა.

ფულის რაოდენობრივი თეორიის კეინზიანური ვარიანტის მიხედვით მიმოქცევაში არსებული ფულადი მასა გაყოფილია ორ ნაკადად: „სამომხმარებლო დოვლათისა“ და „საინვესტიციო დოვლათის“ მოძრაობის მომსახურე ნაკადებად, შესაბამისად განსხვავებული სპეციფიკური ფასებით. ამასთან, კეინზი, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სამომხმარებლო დოვლათის ფასების დონე არ არის დამოკიდებული საინვესტიციო დოვლათის ფასების დონეზე. ამრიგად, მიმოქცევაში არსებული ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ფულადი მასა მან გაუტოლა საქონლის ორ ჯგუფს. შემდგომში კეინზი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ფულის რაოდენობის მატება ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს ფასებზე მანამ, სანამ არსებობს უმუშევრობა, ვინაიდან დასაქმება იზრდება მოთხოვნის გადიდების პროპორციულად, რაც გამოწვეულია ფულის რაოდენობის ზრდით. ამასთან, როდესაც მთელი სამუშაო ძალა დასაქმდება წარმოებაში, მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვლება: ასეთ შემთხვევაში ფულის რაოდენობისა და მოთხოვნის გადიდება ვეღარ გამოიწვევს დასაქმების გაზრდას, მაგრამ გამოიწვევს ფასების ამაღლებას. ამ მსჯელობიდან გამომდინარე, კეინზმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა ფულის რაოდენობრივი თეორია: სანამ არსებობს უმუშევრობა, დასაქმება შეიცვლება იმ პროპორციით, რა პროპორციითაც ფულის რაოდენობა, ხოლო თუ სრულია და-

საქმება, მაშინ ფასები შეიცვლება იმავე პროპორციით როგორითაც ფულის რაოდენობა.⁹

რაც შეეხება პროცენტის თეორიას, ჯ. კეინზი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სასესხო პროცენტსა და მის ნორმას. იგი ფულს განიხილავდა, როგორც ლიკვიდურ ქონებას და მოითხოვდა სესხზე პროცენტის დანესებას, რათა ფულის მფლობელის დროებითი განშორება ლიკვიდური ქონებისაგან ანაზღაურებულიყო პროცენტით. კეინზი პროცენტის ნორმას ანიჭებდა უდიდეს მნიშვნელობას ეკონომიკაში. იგი განიხილავდა მას, როგორც ინვესტიციების მოცულობის განსაზღვრის ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს. პროცენტის ნორმა, კეინზის მიხედვით, ზემოქმედებს ინვესტიციებზე, ეს უკანასკნელი კი ეროვნული შემოსავლის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ფულად-საკრედიტო რეგულირების თეორიაში ჯ. კეინზი უმუშევრობის მიზეზს ფულად-საკრედიტო ფაქტორებს უკავშირებდა. მისი აზრით, არასრული დასაქმების მიზეზია არასაკმარის ეფექტიანი მოთხოვნა საქონელზე, რომელიც უმეტესად დამოკიდებულია ინვესტიციების უკმარისობაზე, ხოლო ამ უკანასკნელის მიზეზად იგი პროცენტის ძალზედ მაღალ ნორმას ასახელებდა. კეინზი სრული დასაქმების მისაღწევად მოითხოვდა სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას ფულის რაოდენობისა და პროცენტის ნორმის რეგულირებაში. იგი ზომიერი ინფლაციისა და პროცენტის განაკვეთის შემცირების მომხრე იყო. მისი აზრით, ფულად-საკრედიტო სახელმწიფო რეგულირება ქვეყანას კრიზისისაგან დაიცავდა.

ნიშანდობლივია ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის ჯ. გელბრეითის გამონათქვამი ჯ. კეინზის შესახებ. იგი მის სახელს უკავშირებს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში, კერძოდ ეკონომიკური

⁹ კეინზი ჯ. დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია. ქუთაისი. 'სტამბა'. 1995. გვ. 288-290.

ციკლის სახელმწიფო რეგულირებას. მისი ძირითადი არსი მდგომარეობს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნილების უკმარისობის კომპეტენციაში: წარმოებასთან შედარებით, მოსახლეობის ერთობლივი მოთხოვნის დაცემისას, სახელმწიფოს აქტიური ჩარევით ეკონომიკაში, კერძოდ გადასახადების შემცირებით ან ბიუჯეტის გადიდებით, ან ერთობლივი ღონისძიებით, ამაღლდება მოსახლეობის გადასახადისუნარიანი მოთხოვნილება და გაფართოვდება წარმოება, რითაც ეკონომიკაში აღდგება სრული დასაქმება. როგორც ჯ. გელბრეითი შენიშნავს, ასეთია კეინზიანური რევოლუციის მთავარი იდეა.

თანამედროვე მონეტარიზმი წარმოიშვა აშშ-ში XX საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებში, როგორც ჯ. კეინზის დოქტრინის ანტიპოდი. მონეტარული სკოლის წარმომადგენლებმა დიდი „წვლილი“ შეიტანეს კეინზიანური თეორიის დისკრედიტაციაში. თანამედროვე მონეტარული თეორია ეფუძნება ამერიკელი ეკონომისტის, „ჩიკაგოს სკოლის“ ლიდერის, ნობელის პრემიის ლაურეატის, მილტონ ფრიდმენის გამოკვლევებს. ჯერ კიდევ 1957წ. მან გამოაქვეყნა ნაშრომი — „სამომხმარებლო ფუნქციის თეორია“, რომელშიც წამოაყენა ე. წ. „პერმანენტული“ შემოსავლების კონცეფცია. ფრიდმენი უარყოფს კეინზიანურ მტკიცებას მოხმარებასა და მიმდინარე შემოსავლების დონეს შორის კავშირ-ურთიერთობების შესახებ. მისი აზრით, მოხმარების ზრდა ძალზე უმნიშვნელოდაა დამოკიდებული მიმდინარე შემოსავლების ზრდაზე და ინდივიდის მოხმარების საერთო მოცულობის მნიშვნელოვანი ნაწილი განისაზღვრება ე.წ. „პერმანენტული შემოსავლებით“.

ფრიდმენი და „ჩიკაგოს სკოლის“ სხვა წარმომადგენლები, კეინზისაგან განსხვავებით, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის წინააღმდეგი არიან. მათი აზრით, სახელმწიფოს სოცალური დანახარჯები, ერთი მხრივ, ზრდის ბიუჯეტის დეფიციტსა და ინფლაციას, მეორე მხრივ, შრომის სტი-

მულების დაცემით ამცირებს წარმოების ეფექტიანობას. მონეტარისტიკისათვის ეკონომიკა, პირველ ყოვლისა ბაზარია, ბაზარი კი თვითრეგულირებადი სისტემაა, რომელზეც ზემოქმედება შესაძლებელია უპირატესად ფულადი მასის მოცულობის რეგულირებით. მონეტარიზმი (როგორც თვით სახელწოდებიდან ჩანს), ეკონომიკაში მთავარ როლს სწორედ ფულს ანიჭებს. იგი ფულის რაოდენობრივი თეორიის სახე-შეცვლილი ვარიანტია.

მ. ფრიდმენმა ძირითადად ი. ფიშერის კონცეფციაზე დაყრდნობით, ახალი მომენტები შეიტანა ფულის რაოდენობრივ თეორიაში. სახელდობრ, ნაშრომში „ფულადი ანალიზის თეორიული ჩარჩოები“ (1971) იგი შეეცადა, მოეძებნა კავშირი კვლავწარმოების პროცესში ფულადი მასის დინამიკასა და ეკონომიკის მერყეობას შორის. ფრიდმენი უდიდეს როლს ანიჭებს ფულად მასას ფასების დონის განსაზღვრაში. ამასთან, მისი აზრით, ფულადი ფაქტორები გადამწყვეტ გავლენას ახდენს ეროვნული შემოსავლის დინამიკასა და ეკონომიკის ციკლურ ხასიათზე.

ფრიდმენის შეხედულებებით, ეკონომიკურ სისტემაში არ არის ფულის რაოდენობის განსაზღვრაზე მნიშვნელოვანი პრობლემა და მისი მიწოდების რეგულირება არ შეიძლება იყოს მხოლოდ ცენტრალური ბანკის ფუნქცია. მაგალითად, ფედერალური სარეზერვო სისტემის (ფსს) წევრები, როგორც არ უნდა ეცადონ, ვერასოდეს შეძლებენ ეკონომიკაში ფულის რაოდენობის რეგულირებას. ეს ხდება იმიტომ, რომ არავინ იცის, მათ შორის, ფსს—ის წევრებმაც მოცემული ქვეყნის ეკონომიკის რეალური მდგომარეობა ნებისმიერ მომენტში. მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებას კი თვეები სჭირდება. ამასთან, მონაცემები შეიძლება იყოს წინააღმდეგობრივი და არ ასახავდეს ეკონომიკის რეალურ სურათს. ამიტომაც ფრიდმენს მიაჩნია, რომ ქვეყნის „ფინანსური ხელისუფლება“ აღრმავებს ხოლმე უწესრიგობას თავის ქვეყანაში. ფულის მიწოდების შეჩერების აუცილებლობისას

ზრდის მის რაოდენობას მიმოქცევაში და პირიქით, როდესაც ფულის მიწოდების გაზრდაა საჭირო, აფერხებს მას.

მ. ფრიდმენი გვთავაზობს პრობლემის გადაჭრას მარტივი გზით – მიმოქცევაში ფულის რაოდენობის გაზრდას უცვლელი, წინასწარ განსაზღვრული პროცენტით, რომელიც ორგანულ კავშირში იქნება ნომინალური წეპ-ის ხანგრძლივ ზრდასთან. ამის საფუძველზე, ფრიდმენის აზრით, მიწოდების სტაბილური გადიდება არა მხოლოდ მისადაგებული იქნება მზარდ მოთხოვნასთან ხელფასის გაცემისა და კაპიტალდაბანდებადამი, არამედ მთელ ეკონომიკას დააყენებს აღმავლობის რელსებზე, ეკონომიკურ სისტემას საშუალებას მისცემს გამოავლინოს თავისი ბუნებრივი დინამიზმი. თუ ეკონომიკა დაღმა წავა, შენიშნავს ფრიდმენი, მაგალითად, საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავების შედეგად, მაშინ, ფულის მიწოდების მუდმივი მატება მოხმარდება საბანკო რეზერვების გადიდებას, ხელს შეუწყობს იმას, რომ ბანკებმა გასცენ სესხები და, ამდენად, ეკონომიკა გამოიყვანონ კრიზისიდან. თუ ქვეყანაში წარმოიქმნება ინფლაციის მოულოდნელი პიკი, მაშინ ფულის მიწოდების მატების უცვლელი კოეფიციენტი, რომელიც ხელს შეუწყობს ბანკებს სესხის გაცემაში, თავისებური ლაგამი იქნება ინფლაციის შესაჩერებლად. ფრიდმენის თეორია მეტად საყურადღებო და გარკვეულწილად პრობლემატურიცაა.

მ. ფრიდმენმა თავის მონეტარულ თეორიას ფულზე, ანუ მოთხოვნის თეორიას უწოდა „ფულის უახლესი რაოდენობრივი თეორია“.

ფულის უახლესი რაოდენობრივი თეორიის მთელი შინაარსი დაიყვანება ორ ძირითად დებულებაზე: 1. ფულის მიმოქცევის სიჩქარის ელასტიკურობა სარგებელთან საბოლოო სიდიდეა, ამიტომ ასეთი დამოკიდებულება მყარია; 2. სარგებლის განაკვეთი განისაზღვრება ეკონომიკის რეალურ სექტორში (ე. ი. საქონელთა ბაზარზე).

მონეტარიზმი ძველი რაოდენობრივი თეორიისაგან იმითაც განსხვავდება, რომ ამ კონცეფციის მომხრეები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგების დაგვიანებას.

მ. ფრიდმენი, 75 წლის სტატისტიკური მონაცემების ანალიზით, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მოქნილმა საკრედიტო-ფულადმა პოლიტიკამ შეიძლება გამოიწვიოს ნონასწორობის დარღვევა, ამიტომ გაცილებით უკეთესია განვახორციელოთ ფულადი მასის გაფართოების ტემპების სტაბილიზაციის ისეთი პოლიტიკა, რომელიც პროდუქციის მოცულობის მატების ტრენდული ტემპის ტოლი იქნება. ფრიდმენი თვლის სასურველად წელიწადში ფულადი მასის მატების 4%-იან ტემპს. ამ დასკვნამდე ფრიდმენის მისვლა გამოიწვია იმ აქსიომატურმა გარემოებამ, რომ ეკონომისტებს შეუძლიათ საიმედოდ იზინასწარმეტყველონ სამეურნეო კონიუქტურა არა უმეტეს ერთ წელზე მეტი პერიოდისათვის და არ შეუძლით გაითვალისწინონ საკრედიტო-ფულად სფეროში მომხდარ ცვლილებათა შედეგების გამოვლინების დაგვიანება.

მ. ფრიდმენის მიერ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგების დაგვიანების შესახებ ჩატარებული გამოკვლევა გახდა ორიგინალური დასკვნის გაკეთების საფუძველი, არ შეიძლება ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში მოქმედების განუსაზღვრელი თავისუფლების მინიჭება. თავისი განვითარების მანძილზე ფული წარმოდგება ორ სახედ: ნაღდი ფული და ღირებულების ნიშნები (ნაღდი ფულის შემცვლელები).

ნაღდი ფული — ეს არის ფული, რომლის ნომინალური ღირებულება (აღნიშნული მის ღირებულებაზე) შეესაბამება რეალურ ღირებულებებს, ე.ი. ლითონის ღირებულებას, რომლისგანაც დამზადებულია იგი. ლითონის ფული (სპილენძის, ვერცხლის, ოქროს) იყო სხვადასხვა ფორმის: თავიდან ცალობითი, ხოლო შემდეგ წონითი. უფრო გვიანი განვითარების ფულადი მიმოქცევის მონეტას ჰქონდა კანონით დადგე-

ნილი განმასხვავებელი ნიშნები (გარეგნული სახე, წონითი შედგენილობა). მიმოქცევისათვის შედარებით ხელსაყრელი იყო მონეტის მრგვალი ფორმა, რომლის წინა სახეს ეწოდება ავერსი, უკანა მხარეს კი — რევერსი, ჭრილს კი — გრუნტი.

ოქროს მიმოქცევაზე ქვეყნები XX საუკუნის მეორე ნახევრიდან გადავიდნენ. პირველი მათ შორის იყო დიდი ბრიტანეთი, რომელსაც თავისი კოლონიებისა და დომინიონების ჩათვლით პირველი ადგილი ეჭირა ოქროს მოპოვებაში.

ნალდი ფულისათვის დამახასიათებელია სიმტკიცე, რომელიც უზრუნველყოფილი იყო ღირებულების ნიშნების ოქროზე თავისუფლად გადაცვლით.

ოქროს მიმოქცევის დროს ღირებულების ნიშნების წარმოშობა გამონვეული იყო ობიექტური აუცილებლობით:

ოქროს მოპოვება ვერ უსწრებდა საქონელწარმოებას, ვერ ემსახურებოდა მცირე ღირებულების ბრუნვებს;

ოქროს მიმოქცევა ვერ ფლობდა ეკონომიკური ელასტიურობის ობიექტურობის ძალას ე. ი. ჩქარა შეკუმშვასა და გაფართოებას.

მთლიანობაში ოქროს სტანდარტი ვერ ახდენდა წარმოებისა და საქონელბრუნვის სტიმულირებას.

ოქროს მიმოქცევამ იარსება მსოფლიოში — პირველ მსოფლიო ომამდე, როცა მეომარი ქვეყნები თავისი გასავლების დაფარვის მიზნით ახორციელებდნენ ღირებულების ნიშნების ემისიას. თანდათანობით ოქრო გაქრა მიმოქცევიდან.

ნალდი ფულის შემცვლელები (ღირებულების ნიშნები) — არის ფული, რომლის ნომინალური ღირებულება მაღალია რეალურზე, ე.ი. მის წარმოებაზე დახარჯულ საზოგადოებრივ შრომაზე. მათ მიეკუთვნება: ლითონური ღირებულების ნიშნები — ოქროს მონეტა, ბილონური მონეტა, ე.ი. წვრილი მონეტა, რომლებიც დამზადებულია იაფფასიანი ლითონებისაგან. მაგალითად, სპილენძისაგან, ალუმინისაგან.

ქალაღდის ღირებულების ნიშნები, დამზადებულია, როგორც წესი, ქალაღდისაგან. განასხვავებენ ქალაღდისა და საკრედიტო ფულს.

ქალაღდის ფული — ეს არის ნაღდი ფულის წარმომადგენელი. ისტორიულად წარმოიშვება, როგორც მიმოქცევაში არსებული ოქროს ფულის შემცვლელი. ოქროსთან შედარებით ასეთი ფული საქონელმფლობელთათვის ქმნის ერთგვარ უპირატესობას. (ადვილია შესანახად, წვრილი პარტიების ანგარიშისას ხელსაყრელია).

ქალაღდის ფულის გამოშვების უფლებას ფლობს სახელმწიფო. გამოშვებული ფულის ნომინალურ ღირებულებასა და მათი გამოშვების ღირებულებას შორის სხვაობა (გასავლები ქალაღდზე, დაბეჭდვაზე) აყალიბებს ხაზინის საემისიო შემოსავალს, რომელიც წარმოდგება სახელმწიფო შენატანის არსებით ელემენტად. პირველ ეტაპზე ქალაღდის ფული სახელმწიფოს მიერ გამოდიოდა ოქროსთან ერთად, იმ მიზნით, რომ ისინი დანერგილიყო მიმოქცევაში, იცვლებოდა ოქროზე. თუმცა, ბიუჯეტის დეფიციტის წარმოშობისა და ზრდის შედეგად გაიზარდა ქალაღდის ფულის ემისია, რომლის ზომაც დამოკიდებული იყო სახელმწიფოს მოთხოვნილებაზე.

ქალაღდის ფული ასრულებს მხოლოდ ორ ფუნქციას: მიმოქცევისა და გადახდისა. ოქროზე გაცვლის არსებობა არ აძლევთ მათ მიმოქცევიდან გასვლის უფლებას. სახელმწიფო, რომელიც მუდმივად განიცდის საშუალებების ნაკლებობას, ზრდის ქალაღდის ფულის გამოშვებას სასაქონლო და საგადასახადო ბრუნვის აღრიცხვის გარეშე. ქალაღდის ფულის ეკონომიკური ბუნება გამორიცხავს საქაღაღდო — ფულადი მიმოქცევის სიმტკიცეს, რადგანაც მათი გამოშვება არ რეგულირდება საქონელბრუნვის მოთხოვნებით და ქარბი ქალაღდის ფულის მიმოქცევიდან ამოღების ავტომატური მექანიზმი არ არსებობს. ამის შედეგად ქალაღდის ფული, საქონელბრუნვისაგან დამოუკიდებლად, მიმოქცევის არსებში

იჭედება და უფასურდება. გაუფასურების მიზეზებია: სახელმწიფოს მიერ ქარბი ფულის გამოშვება და ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის არახელსაყრელი თანაფარდობა.

ამრიგად, ქალაქის ფულის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი გამოდიან ღირებულების ნიშნებად, რომელიც გამოშვებულია სახელმწიფოს მიერ საბიუჯეტო დეფიციტის დაფარვის მიზნით, ჩვეულებრივ, ისინი არ იცვლებიან ოქროზე და გამოყოფილია სახელმწიფოს მიერ იძულებითი კურსით.

საკრედიტო ფული წარმოიშვება საქონელწარმოების განვითარებასთან ერთად, როცა ყიდვა — გაყიდვა ხორციელდება გადახდის გადავადებით (კრედიტით). მათი წარმოშობა დაკავშირებულია ფულის გადახდის ფუნქციასთან, სადაც ფული გამოდის ვალდებულებად, რომელიც უნდა დაიფაროს ნაღდი ფულით წინასწარ განსაზღვრულ ვადებში. ამ ფულის ეკონომიკური როლი მდგომარეობს შემდეგში: ფულის ბრუნვა გახადოს ელასტიური, რომელიც შეძლებს საქონელბრუნვის მოთხოვნის ასახვას ნაღდ ფულში; ეკონომია გაუწიოს ნაღდ ფულს; ხელი შეუწყოს უნაღდო ფულის განვითარებას.

სასაქონლო — ფულადი ურთიერთობების თანდათანობითი განვითარებით საკრედიტო ფულის არსი განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს. კაპიტალის ბატონობის პირობებში საკრედიტო ფული ასახავს არა საქონელთა შორის კავშირს ბაზარზე, როგორც იყო ადრე (ს-ფ-ს), არამედ ფულადი კაპიტალის ურთიერთობას (ფ-ს-ფ), ამიტომ ფულადი კაპიტალი გამოდის საკრედირო ფულის როლში.

საკრედიტო ფულმა გაიარა განვითარების შემდეგი გზა: თამასუქი, აქცეპტირებული თამასუქი, ბანკნოტი, ჩეკი, ელექტრონული ფული, საკრედიტო ბარათები, ობლიგაცია.

თამასუქი — წერილობითი ვალდებულებაა მოვალისა, გადაიხადოს განსაზღვრული თანხა წინასწარ დათქმულ დროში და დათქმულ ადგილზე. განასხვავებენ მარტივ თამა-

სუქს, გაცემული მოვალის მიერ და გადასაპირებელი (ტრატა), გამოწვეული კრედიტორის მიერ და გაგზავნილი მოვალისათვის ხელის მოსაწერად, რომელიც უზრუნდება კრედიტორს. გადასაპირებელი თამასუქი (ტრატა) ღებულობს გადაცემის უფლებას გადასაცემი ხელმოწერის (ინდოსამენტის) საშუალებით, რომელიც მოცემულია დოკუმენტის უკანა მხარეს. გადასაცემი წანაწერის გაზრდის შემთხვევაში თამასუქის ცირკულაციის ძალა იზრდება, რადგანაც ყველა ინდოსამენტი ატარებს სოლიდურ პასუხისმგებლობას თამასუქზე.

თანამედროვე პირობებში მიმოქცევაში არსებობს აგრეთვე სახაზინო თამასუქი, რომელიც სახელმწიფოს მიერაა გაცემული ბიუჯეტის დეფიციტისა და სალაროს გარღვევის დაფარვის მიზნით, **მეგობრული თამასუქი** — გამოწერილია ერთი პირის მიერ მეორეზე გადასაცემად ბანკში მათი ჩარიცხვის მიზნით, **ვერცხლის თამასუქი** — რომელიც არ არის უზრუნველყოფილი საქონლით.

თამასუქი ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით:

— აბსტრაქტირებით, ე.ი. დოკუმენტში არ არის მითითებული ინფორმაცია შეთანხმების გარიგების შესახებ;

— უდავოობა, თამასუქის განაღდების ვალდებულების აღმნიშვნელი;

— მიმართულება, ე.ი. თამასუქის გადაცემა სხვა კრედიტორებზე, როგორც საგადასახადო საშუალება, რაც ქმნის სათამასუქო ვალდებულებების სანაცვლო ჩათვლის შესაძლებლობას. საგადასახადო გარანტია უფრო იზრდება თამასუქის აქცეპტირების (თანხმობა) დროს ბანკის მიერ (აქცეპტირებული თამასუქი).

თამასუქის მოძრაობა შეზღუდულია სხვადასხვა მიზეზით:

— ფუნქციონირებს ისეთ პირთა შორის, რომლებიც კარგად ინფორმირებულნი არიან ერთმანეთის გადახდისუ-

ნარიანობაზე და მათ მიერ განხორციელებულ სასაქონლო – ეკონომიკურ ურთიერთობებზე;

– ძირითადად ემსახურება საბითუმო ვაჭრობას;

– სათამასუქო მიმართვის მონაწილეების მიერ იფარება ნაღდი ფულით,

კომერციული თამასუქი გაიცემა საქონლით გირავნობის შემთხვევაში. საბანკო თამასუქი (რომელიც პირველად 1992 წლის დასაწყისში შესთავაზა ინკომბანკმა თავის კლიენტებს) გაიცემა ბანკი – კლიენტის მიერ იმ შემთხვევაში თუ კლიენტს ბანკის დეპოზიტზე გააჩნია ნაღდი ფული. საბანკო კრედიტი სანარმოს აძლევს ახალ საგადასახადო საშუალებას, რომელიც გარანტირებულია ბანკის მიერ. იგი არსით მარტივი თამასუქის მსგავსია, რადგანაც გამოიწერება ბანკის კლიენტის მიერ მომწოდებელზე საქონლის ასანაზღაურებლად, მაგრამ შეიძლება ინდოსამენტირებული იყოს მესამე პირზე.

მარტივი თამასუქი შეიცავს შემდეგ მომენტებს:

1. დასახელება „თამასუქი“ შეტანილია ტექსტში იმ ენაზე, რომელზეც ეს დოკუმენტია შედგენილი;
2. მარტივ დაპირებას განსაზღვრული თანხის გადახდის შესახებ, რაც არაფრით არ არის შეპირობებული;
3. გადახდის ვადის მითითებას;
4. იმ ადგილის აღნიშვნას, სადაც თანხა უნდა გადაიხადოს;
5. თამასუქის შედგენის თარიღსა და ადგილს;
6. თამასუქის გამცემი პირის ხელის მოწერას.

ბანკნოტები — საკრედიტო ფულია, რომელიც გამოშვებულია ქვეყნის ცენტრალური (საემისიო) ბანკის მიერ. პირველად ბანკნოტები გამოშვებული იქნა XVII საუკუნის ბოლოს, კერძო კომერციული თამასუქების აღწერის საფუძველზე. თავდაპირველი ბანკნოტები ფლობდნენ ორმაგ უზრუნველყოფას: კომერციულს, რადგანაც გაიცემოდა კო-

მერციული თამასუქის ბაზაზე, რომლებიც დაკავშირებული იყო საქონელბრუნვასთან, და ოქროთი უზრუნველყოფას, რომელიც უზრუნველყოფდა მათ ოქროზე გაცვლას. ასეთ ბანკოტებს უწოდებენ კლასიკურს. ისინი იყვნენ მტკიცენი და საიმედო. ცენტრალური ბანკი ფლობდა ოქროს მარაგს გაცვლისათვის, რომელიც გამოირიცხავდა ბანკოტების გაუფასურებას.

თამასუქისაგან განსხვავებით, ბანკოტი წარმოადგენს უვადო სავალო ვალდებულებებს და მისი უზრუნველყოფა ხდება ცენტრალური ბანკის საზოგადოებრივი გარანტიით, რომელიც მრავალ ქვეყანაში იქცა სახელმწიფოდ.

თანამედროვე ბანკოტებმა დაკარგა გარანტიები: ცენტრალური ბანკების მიერ განალდებული თამასუქი არ არის უზრუნველყოფილი ოქროთი, და ასევე გაუქმდა ბანკოტების გაცვლა ოქროზე. დღესდღეობით, ბანკოტები მიმოქცევაში შედიან სახელმწიფოს საბანკო დაკრედიტების გზით, მეურნეობის საბანკო დაკრედიტებით კომერციული ბანკების მეშვეობით, საზღვარგარეთული უცხოური ვალუტის გაცვლით მოცემული ქვეყნის ბანკოტებზე. თანამედროვე პირობებში ქვეყნის ცენტრალური ბანკი უშვებს მკაცრად განსაზღვრული ღირებულების ბანკოტებს. თავისი არსით, ისინი წარმოადგენენ სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ეროვნულ ფულს. საქონლის ან ოქროს სახით მატერიალური უზრუნველყოფა არ არსებობს. ბანკოტების დამზადებისათვის გამოიყენება სპეციალური ქაღალდი და იღებენ სხვადასხვა ზომებს გაკოტრების ასაშორებლად.

ჩეკი — ესაა ფულადი დოკუმენტი დადგენილი ფორმით, რომელიც შეიცავს უსიტყვო ბრძანებას საკრედიტო დაწესებულებაში ანგარიშის მფლობელის ჩეკის მფლობელის მიერ მითითებული თანხის გადახდაზე. საჩეკო მიმოქცევას წინ უსწრებს გარიგება საკრედიტო დაწესებულების კლიენტსა და ამ დაწესებულებას შორის ანგარიშის გახსნაზე შეტანილი საშუალებით. კლიენტი ამ თანხაზე წარადგენს

ჩეკს, ხოლო საკრედიტო დაწესებულება ანაღდებს მათ. საჩეკო მიმოქცევაში მონაწილეობს — ჩეკის გამცემი (ანგარიშის მფლობელი), ჩეკის მიმღები (ჩეკის კრედიტორი) და ჩეკის მიხედვით გადამხდელი (საკრედიტო დაწესებულება).

პირველად ჩეკი წარმოიშვა მიმოქცევაში XVI—XVII საუკუნეებში დიდ ბრიტანეთსა და ჰოლანდიაში ერთდროულად. საკრედიტო სისტემის განვითარებასთან ერთად, მათ ჰპოვეს ფართო გავრცელება. განასხვავებენ ჩეკის სამ ძირითად სახეობას: სახელობითს — განსაზღვრულ პირზე, გადაცემის უფლების გარეშე; წარმომდგენითს — მიმღების მინიშნების გარეშე; საორდეროს — განსაზღვრულ პირზე, მაგრამ გადაცემის უფლებით ინდოსამენტის საშუალებით.

შიდა ბრუნვაში ჩეკი გამოიყენება საკრედიტო დაწესებულებებში ნაღდი ფულის ასაღებად, როგორც გადახდისა და მიმოქცევის საშუალება, და ასევე უნაღდო ანგარიშსწორების ინსტრუმენტის სახით, რომელიც ხორციელდება საკრედიტო დაწესებულებებში ანგარიშებზე გადარიცხვის საშუალებით და ურთიერთმოთხოვნათა ჩათვლით. ყველაზე მარტივ ურთიერთჩათვლად გვევლინება ერთი ბანკის კლიენტებს შორის ანგარიშსწორება, სხვა ბანკებს შორის ანგარიშსწორებისას ჩეკი გაითვალისწინება სააღრიცხვო ბარათის მიერ. საერთაშორისო ანგარიშსწორებისას გამოიყენება **საბანკო ჩეკები**, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება კომერციული გადასახდელები, მაგრამ ძირითადად კი არასავაჭრო ხასიათის გადასახდელების დროს გამოიყენება. იგი დადგენილი ფორმის ფულადი დოკუმენტია, ანგარიშის მფლობელის წერილობითი განკარგულება ბანკისადმი, რათა ამ უკანასკნელმა ჩეკზე ხელის მომწერის ანგარიშიდან გასცემს ან გადარიცხოს სხვა ანგარიშებზე გარკვეული თანხა.

ჩეკის შესახებ გადაწყვეტილებების თანახმად, რომელიც მიღებულ იქნა 1929 წელს სსრკ-ში, მოქმედებდა ჩეკის ორი სახე: საანგარიშსწორებო და ფულადი.

საანგარიშსწორებო ჩეკი — ეს არის ნერილობითი მიმართვა ბანკისადმი, განახორციელოს ფულადი გადახდა ჩეკის გამცემის ანგარიშიდან ჩეკის მფლობელის ანგარიშზე. გამოიყენება უნაღდო ანგარიშსწორებისას.

ფულადი ჩეკი – ემსახურებოდა ნაღდი ფულის მიღებას საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საჩეკო მიმოქცევის არეალის გაფართოებამ გამოიწვია გადახდის ფორმათა ცვლილება. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ელექტონულ-გამომთვლელი ტექნიკის განვითარებამ უზრუნველყო მონიწვე საზღვარგარეთის ქვეყნებში ავტომატური ელექტრონული დანადგარების შექმნა ჩეკებისა და მიმდინარე ანგარიშების ქცევათა გადამუშავებისათვის. ელექტრო მოწყობილობები და კავშირის სისტემა საკრედიტო და საგადასახადო ოპერაციების განხორციელებისათვის (ანგარიშების ჩარიცხვა და ჩამოწერა, ანგარიშიდან ანგარიშზე გადაყვანა, პროცენტების დარიცხვა, ანგარიშთა მდგომარეობაზე კონტროლი) ელექტრო სიგნალების გადაცემის საშუალებით, ქალაქის მატარებლების მონაწილეობის გარეშე, ხელს უწყობდა ელექტრონული ფულის წარმოშობას. მისი საშუალებით ხორციელდება ბანკთაშორისი ოპერაციების დიდი ნაწილი.

ამჟამად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკრედიტო ვალდებულებათა ისეთ სახეს, როგორიცაა ობლიგაცია. იგი განსხვავდება საბანკო ჩეკების ზემოთ ჩამოთვლილი სახეებისაგან არა მარტო ფუნქციებით, არამედ ე.წ. ლიკვიდურობის ხარისხითაც, ანუ მაშინვე ფულად გარდაქმნის უნარით.

ობლიგაცია არის განსაზღვრული ვადით გამოშვებული, მყარი კურსის მქონე ფასიანი ქალაქი, რომელიც შეიცავს მითითებულ დროში სესხის დაფარვისა და პროცენტის ყოველწლიური გადახდის ვალდებულებას. ობლიგაცია ისეთი საგადასახადო ვალდებულებაა, რომლის მიხედვითაც

კრედიტორი ყოველწლიურად ღებულობს შემოსავალს, ფიქსირებული პროცენტის სახით.

საკრედიტო ფულის განვითარებაში მნიშვნელოვანი მოვლენაა **საკრედიტო** ბარათების შემოღება. პირველად ისინი „სავალო ბარათების“ სახით გამოუშვეს აშშ-ში, კერძოდ – ფირმა „დაინერ-კლაბმა“, 1915 წ.

საკრედიტო ბარათი გადახდის საშუალებაა და ასრულებს საანგარიშსწორებო – საგადასახადო და საკრედიტო ფუნქციებს. მისი ძირითადი სახეებია:

1) განახლებადი ბარათი („მასტერკარდი“, „ვიზა“). გამოიყენება მაღაზიებსა და რესტორნებში ანგარიშსწორებისათვის და აქვს წინასწარ დადგენილი ლიმიტი. ვალის გადახდის შემდეგ ხდება მისი განახლება.

2) ერთთვიანი ბარათი („ამერიკენ ექსპრესი“, „დაინერ-კლაბი“) იყენებენ ტურისტული ფირმები ანგარიშსწორებისათვის. მასზე ლიმიტი არ წესდება, მაგრამ დავალიანების დაფარვა აუცილებელია თვის ბოლოს.

3) საფირმო ბარათი („ბარკლეიზ კარდი“, „ტრისტკარდი“) გამოიყენება სხვადასხვა სამსახურებრივი ხარჯების დასაფარავად, მოქმედებს ერთთვიანი ბარათების მსგავსად.

4) პრემიალური ანუ „ოქროს“ საკრედიტო ბარათი („ამერიკს გოულდ კარდი“, „გოულდ მასტერკარდი“, „პრემიერ კარდ ვიზა“). ეძლევათ მხოლოდ მთელი წლიური შემოსავლის კლიენტებს, რომლებიც აკურატულად იხდიან ვალს. საკრედიტო ბარათის ამ სახეს აქვს შემდეგი უპირატესობები:

ა) იძლევა შეღავათიანი განაკვეთის კრედიტის აღების უფლებას;

ბ) არა აქვს ალიმენტი ან თუ აქვს, ძალზე მაღალი;

გ) კლიენტი ავტომატურად იღებს სოლიდურ დაზღვევას უბედური შემთხვევისას;

დ) დაჯავშნულია მისი მფლობელისათვის ადგილი სასტუმროებში და სხვა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თავისი დანიშნულებითა და გამოყენების შედეგების მოძრაობაც ფიქსირდება ბანკში კლიენტების ანგარიშზე (ბრუნვა მიმდინარეობს ფულადი ნიშნების გარეშე). უნაღდო ანგარიშსწორებები ხორციელდება დადგენილი ნორმების შესაბამისად, რომელთა დაცვაზე კონტროლს ახორციელებს საკრედიტო ორგანოები.

უნაღდო ბრუნვის ფული გამოირჩევა სპეციფიკით, რომელზეც გვემართება ყურადღების გამახვილება, მით უმეტეს რომ გამოყენებული ტერმინოლოგია არ ხსნის ასეთი ფულისა და მისი ბრუნვის თავისებურებებს.

უნაღდო ფულით ანგარიშის თავისებურებები გამოვლინდება შემდეგში:

1) ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას მონაწილეობას ღებულობს გადამხდელი და მიმღები, გადაიცემა ნაღდი ფული. უნაღდო ფულით ანგარიშსწორებისას სამი მონაწილეა: გადამხდელი, მიმღები და ბანკი, რომელშიც ხორციელდება ანგარიშსწორება გადამხდელისა და მიმღების ანგარიშებით.

2) უნაღდო ფულით ანგარიშსწორების მონაწილენი იმყოფებიან ბანკთან საკრედიტო ურთიერთობაში. ასეთი ურთიერთობები წარმოდგებიან ამ ანგარიშსწორების მონაწილეთა ანგარიშზე არსებული ნარჩენი თანხით. ასეთი საკრედიტო ურთიერთობები ნაღდი ფულის ბრუნვისას არ არსებობს.

3) ანგარიშსწორების ერთი მონაწილის მიერ კუთვნილი ფულის გადარიცხვა მეორის სასარგებლოდ ხორციელდება მათ ჩეკებზე მინანერის საშუალებით, რის შედეგადაც იცვლება ბანკის საკრედიტო ურთიერთობები ასეთი ოპერაციების მონაწილეთა მიმართ. სხვა სიტყვებით, აქ მიმდინარეობს საკრედიტო ოპერაცია, რომელიც განხორციელდა ფულის საშუალებით. ამით ნაღდი ფულის ბრუნვა ჩანაცვლდება საკრედიტო ოპერაციით. ეს ხაზს უსვამს დაკრედიტების პროცესების მიზანშეწონილი ორგანიზაციის მნიშ-

ვნელობას ფულადი მასის რეგულირებისათვის, რომელიც შედეგა უნაღდო ანგარიშსწორების ფულისა და ნაღდი ფულისაგან.

უნაღდო ფულადი ანგარიშსწორების გავრცელებასთან ერთად ფართო განვითარება ჰპოვა სხვადასხვა ფასიანი ქაღალდების გამოყენებამ გადახდის განხორციელებაში უშუალოდ ფულადი საშუალებების ბრუნვის გარეშე.

უნაღდო ფულადი ანგარიშსწორებისაგან განსხვავებით, რომელიც გულისხმობს ფულადი საშუალებების გადარიცხვას ბანკებში კლიენტთა ანგარიშებზე. არსებობს საკმარისად მნიშვნელოვანი უნაღდო ბრუნვა, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა ფასიანი ქაღალდების საშუალებით.

ერთ-ერთი თავისებურებაა – უნაღდო ბრუნვისას ბანკის მონაწილეობა ყველა სააღრიცხვო ოპერაციის დროს აუცილებელი არ არის, ხორციელდება ფასიანი ქაღალდების საშუალებით. (თამასუქი და ა.შ.)

შემდეგი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ უნაღდო ფულადი ანგარიშსწორებისას გადამხდელის საშუალება, რომელიც ინახება ბანკში მის ანგარიშზე, შეიძლება იყოს გამოყენებული, როგორც საყოველთაო საგადასახადო საშუალება სხვადასხვა მიმღებთან ანგარიშსწორებისას. მათი თანხმობა ამაზე არაა საჭირო.

რაც შეეხება გადახდას ფასიანი ქაღალდების საშუალებით, ამ დროს ის შეიძლება განხორციელდეს ასეთი გადახდის მიმღების თანხმობის პირობით. თანხმობის შესაძლებლობა სრულდება იმითაც, რომ მაგალითად: თამასუქით გადახდისას მიმღებმა უნდა გადაიხადოს რეალიზებულ პროდუქციაზე გადასახადები, იმის მიუხედავად, რომ ამონაგები ჯერ კიდევ არ არის მიღებული.

არსებობს კიდევ ასეთი თავისებურება. ის მდგომარეობს იმაში, რომ ანგარიშსწორების მონაწილენი ფასიანი ქაღალდების საშუალებით ღებულობენ თავიანთ თავზე განსაზღვრულ პასუხისმგებლობას ფასიანი ქაღალდების და-

ფარვაზე. მაგალითად, თუ თამასუქი იქნა გამოყენებული ანგარიშსწორებისას იურიდიულ პირთა შორის, რომლის თაობაზეც არსებობს შესაბამისი გადასაცემი ხელმოწერა, მინანერი (ინდოსამენტი), მაშინ თამასუქის გამცემის გადახდისუნარიანობის შემთხვევაში გადახდის პასუხისმგებლობა ანგარიშსწორების ოპერაციათა მონაწილეებს ეკისრებათ, რაც სრულდება თამასუქის საშუალებით.

უნაღდო ფულადი ანგარიშსწორების მონაწილენი ასეთ პასუხისმგებლობას არ ღებულობენ.

აღნიშნული მეტყველებს იმ თავისებურებათა არსებობაზე, რომელიც განასხვავებს უნაღდო ფულად ანგარიშსწორებას უნაღდო ბრუნვისგან.

უნაღდო ბრუნვის ძირითად წინაპირობას, რომელიც სრულდება ფასიანი ქაღალდით, წარმოადგენს ის, რომ ასეთი ოპერაციები შეიძლება განხორციელდეს ბანკში გადამხდელის ანგარიშზე ფულადი საშუალებების არ არსებობისას. უნაღდო ბრუნვის არსებობით ფასიანი ქაღალდების დახმარებით (თამასუქი და ა.შ.) განსაზღვრული დონით აღმოიფხვრება საგადასახადო კრიზისის ნეგატიური შედეგები.

გარდა ფულადი უნაღდო ბრუნვისა, რომელიც ხორციელდება ნაღდი ფულის მოძრაობის ჩანაცვლებით საკრედიტო ოპერაციებთან, სამეურნეო პრაქტიკაში გამოყოფენ საანგარიშო ფულს, რომელიც არ ახორციელებს ბრუნვას, მაგრამ გამოიყენება სანაცვლო ანგარიშსწორების გატარებისას.

ფულის ასეთ გამოყენებას აქვს ადგილი ბარტერის გამოყენებისას, როცა გასაცვლელი მიწოდების ღირებულება ჩაითვლება. აქ გამოიყენებენ საანგარიშო ფულს.

მიუხედავად უნაღდო ფულის ბრუნვის თავისებურებების არსებობისა, მათ აქვთ ბევრი საერთო ნაღდ ფულთან. ეს პირველყოვლისა გამოვლინდება ნაღდი ფულისა და უნაღდო ბრუნვის ფულის ერთნაირ ფულად ერთეულში. ასევე, მათ შორის არსებობს მჭიდრო კავშირი, რომელიც

ვლინდება ერთიდან მეორეზე გადასვლაში. მაგალითად, ბანკში რომელიმე ანგარიშზე ნაღდი ფულის შეტანისას ის გადაიქცევა უნაღდო ბრუნვის ფულად. საპირისპიროდ, ფულის გამოტანისას ბანკიდან უნაღდო ბრუნვის ფული გადაიქცევა ნაღდ ფულად.

ამ ფულთა ერთიანობის გამოვლენა იმაში მდგომარეობს, რომ უნაღდო ბრუნვის ფულის მოცულობის რეგულირება, ისევე როგორც ნაღდი ფულისა, ხორციელდება კრედიტის საშუალებით.

ისტორიაში ცნობილია ფულის შემდეგი ფორმები: საქონლური, ლითონ-ჭედური, ემისიური და დეპოზიტურ-ელექტრონული, რომელიც ბოლო პერიოდში ფართოდ განვითარდა ცივილიზებულ ქვეყნებში.

ფულის თავდაპირველი – საქონლური ფორმა, თავის მხრივ, იყოფა საქონლურ-საანგარიშო და საქონლურ-ნონით ფორმებად. პირველს მიეკუთვნება საქონლური ფულის თავდაპირველი „ტალღა“ შრომის იარაღების, მსხვილფეხა პირუტყვის, სამკაულების და ა.შ. სახით, რომელთა ნონა გაცვლის პროცესში მთავარ როლს ასრულებს, მეორეს მცენარეული წარმოშობის მალფუჭებადი პროდუქტები; მოგვიანებით, ლითონებიც კი, რომელთა ნონა და დანაწევრების შესაძლებლობა გაცვლის პროცესში დიდ მნიშვნელობას იძენდა.

ფულის ლითონ-ჭედურ ფორმას მიეკუთვნება ლითონის ფული მონეტების სახით, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა სრულფასოვან ოქროსა და ვერცხლის მონეტებად და არასრულფასოვან (ბილონურ) ხურდა ფულის მონეტებად. ეს უკანასკნელი ქალაქის ფულის ნაირსახეობაა, რომლის ნორმინალური ღირებულება და მსყიდველობითი უნარი აღემატება მის შინაგან ღირებულებას (თვით ლითონის ღირებულებასა და მისი მოჭრის ხარჯებს).

ფულის ემისიურ ფორმას მიეკუთვნება ღირებულების ნიშნების ნებისმიერი სახე, რომელიც წარმოდგენილია სპე-

ციალურ ქალაქებზე გარკვეული ატრიბუტებით. მასში შედის საკუთრივ ქალაქის ფული და საკრედიტო ფულის სახეობათა უმრავლესობა.

ფულის დეპოზიტურ – ელექტრონული ფორმა ასახვას პოვნებს საბანკო დეპოზიტებში, საკრედიტო ბარათებსა და ე.წ. ელექტრონულ ფულში. მის საუკეთესო ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ მეორე თაობის ელექტრონული საკრედიტო ბარათები, რომლებიც რეაგირებას ახდენენ მხოლოდ მათი მფლობელის თითების ანაბეჭდებზე ან მის ხელმოწერაზე. ეს ფული წარმოდგენილია არა ლითონის ან ფასიანი ქაღალდების სახით, არამედ აისახება საბანკო – საკორესპოდენტო კავშირებში.

1.3. ქართული ფულის ემისიისა და მიმოქცევის გენეზისი

საქართველო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა და მსოფლიოს ერთა თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი თვრამეტი წლის წინ გაჩნდა პოლიტიკურ რუკაზე. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მისი, როგორც სახელმწიფოს ისტორიაც მხოლოდ ამ თვრამეტი წლით შემოიფარგლება. საქართველოს სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს (2000 წელს ოფიციალურად აღინიშნა ქართული სახელმწიფოს სამი ათასი წლისთავი).

ასევე ხანგრძლივია ფულის ემისიისა და მიმოქცევის ისტორიაც საქართველოში.

საქართველოში მოჭრილი პირველი მონეტა გახლავთ ე.წ. კოლხური თეთრის მსხვილი ნომინალი – ტეტრადრაქმა.

ეს ტეტრადრაქმა, ისევე როგორც კოლხური თეთრის სხვა მსხვილი ნომინალები – დიდაქმები და დრაქმები, უიშვიათეს მონეტათა რიცხვს მიეკუთვნება, მაშინ როცა კოლხური თეთრის წვრილი ნომინალები (ტრიობოლები) ათასობითაა

ცნობილი კოლხეთის ისტორიული ტერიტორიიდან, რომელიც ძირითადად დასავლეთ საქართველოს მოიცავს.

კოლხეთში ვერცხლის ფულის ემისია ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეექვსე საუკუნეში დაიწყო, მაშინ როცა მონეტა მსოფლიოს სულ რამდენიმე სახელმწიფოში იჭრებოდა, ამდენად კოლხური თეთრი მსოფლიოს უძველეს მონეტათა რიცხვს მიეკუთვნება და თავისი მხატვრული სახითა და ტექნიკური შესრულების დონით გოლს არ უდებს თანადროული მოწინავე ქვეყნების არც ერთ მონეტას.

კოლხური თეთრის მცირე ნომინალები ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნემდე დარჩა ბრუნვაში, როცა მას ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს ოქროს სტატერები და ამ სტატერების ადგილობრივი, ქართული მინაერთები ჩაენაცვლა და მას შემდეგ საქართველოში ფულის მიმოქცევა არასოდეს შეწყვეტილა, თუმცაღა ქვეყნის ტერიტორიაზე მიმოქცევაში მყოფი ფული ყოველთვის არ იყო ორიგინალური ეროვნული ვალუტა.

ასე, მაგალითად, ქრისტიანული წელთაღრიცხვის პირველ-მეორე საუკუნეების საქართველოში (იბერიაში ანუ ქართლის სამეფოში) პარალელურად მიმოიქცეოდა რომაული და პართული ფული, რაც ბრწყინვალედ ასახავს იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას, როდესაც პატარა ქართულ სამეფოს უხდებოდა ბალანსირება ორ ურთიერთმოქიშპო იმპერიას რომსა და ირანს (პარტიას) შორის. მეშვიდე-მეათე საუკუნეებში კი, არაბობის დროს, საქართველოში, ისევე როგორც მთელს ახლო აღმოსავლეთში, არაბული დირჰემები იბრუნვოდა და თბილისის ზარაფხანაშიც არაბული ყაიდის მონეტებს ჭრიდნენ. ანალოგიური ვითარება იყო XVI-XVII საუკუნეებშიც, სპარსელთა მძლავრობის დროს: ქართლისა და კახეთის მეფეები იძულებულნი იყვნენ ირანის სეფიანი შაჰების სახელით მოეჭრათ ვერცხლის ფული თბილისისა და ზაგემის ზარაფხანებში, შესაბამისად.

მაგრამ, როგორც კი ოდნავ მაინც სუსტდებოდა საგარეო-პოლიტიკური წნეხი, საქართველოს ხელისუფლება დაუყოვნებლივ ახორციელებდა თავის სუვერენულ რეგალიას – ჭრიდა საკუთარ ფულს.

ქართული ასომთავრული ზედწერილები მონეტებზე პირველად VI საუკუნეში ჩნდება: ქართლის ერისმთავრები გუარამი, ჯუანშერი და სტეფანოზი ჭრიან ვერცხლის მონეტებს, რომლებიც ირანის შაჰის ჰორმიზდ IV (579-590 წ.წ.) დრაქმის ტიპს იმეორებს და ზედ თავის სახელებს აწერენ. ამავე ტიპის ანონიმურ ქართულ-სასანურ მონეტებზე ქრისტიანული სიმბოლური ჯვარია გამოსახული, ან ავერსზე, შაჰის პორტრეტის გვერდით, ან რევერსზე, სადაც ჯვარს უკავია სასანელთა უდიდესი სინმინდის – ცეცხლის ადგილი საკურთხეველზე!

ქართულ-სასანური მონეტები საკმაოდ იშვიათ მონეტათა რიცხვს მიეკუთვნება.

X-XIII საუკუნეები საქართველოს უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიკური აღმავლობის ხანაა. არაბთა ბატონობიდან თავდახსნილი მძლავრი შემოქმედებითი პოტენციალით არის დამუხტული და მისთვის აღარ არსებობს დაუძლეველი წინააღმდეგობა. ამიტომაც, რომ სწორედ ამ დროს აღწევს შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება, ხუროთმოძღვრება, დაზგური და მონუმენტური ფერწერა, ოქრომჭედლობა, ქანდაკება, პროფესიული მუსიკა – მანამდე (და შემდეგაც) მიუწვდომელ სიმაღლეებს, რომელიც დღესაც გაოცებას და აღტაცებას იწვევს. ამავე ეპოქაში იქნება ქართული ლიტერატურის – მხატვრული პროზის და პოეზიის შედევრები, რომელთა გვირგვინია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, მაღალ დონეს აღწევს ისტორიოგრაფია; იქნება საისტორიო თხზულებათა კოდექსი „ქართლის ცხოვრება“. საქართველოში ორი უმაღლესი სასწავლებელი – იყალთოს და გელათის აკადემიები მოქმედებდა, სადაც ჰყვავდა მეცნიერე-

ბა – თეოლოგია, ფილოსოფია, მათემატიკა, ასტრონომია, მედიცინა. შემონახულია სათანადო ტრადიციები.

მეათე საუკუნის ბოლოს წვრილ-წვრილი დამოუკიდებელი ქართული სამეფო-სამთავროების გაერთიანების შედეგად შეიქმნა საქართველოს ერთიანი მძლავრი მონარქია, რომელმაც სულ ცოტა ხანში ბიზანტიის იმპერიასაც კი გაუწია სამხედრო დაპირისპირება. XII საუკუნეში საქართველოს სამეფო წინააზიის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა და მისი ტერიტორია მთელ კავკასიას მოიცავდა, რაც აისახა საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა, სომეხთა და მოვაკანელთა, შაჰანშა და შირვან შა“.

ბრიტანეთის მუზეუმში დაცულია დავით IV აღმაშენებლის უნიკალური მონეტა, რომელზეც დავითი მოხსენიებულია – აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფედ.

ერთიანი საქართველოს მეფეების – დემეტრე I, დავით V, გიორგი III, თამარის, გიორგი IV ლაშას და რუსუდანის მონეტებზე შედარებით მოკლე ქართული ზედწერილების პარალელურად ვრცელი არაბული (ხანდახან სპარსული წარწერები ამოტვიფრული როგორც ჩანს, ამ ხერხს საქართველოს ხელისუფლება იმ მიზნით მიმართავდა, რომ ქართული ფული უფრო იოლად გასულიყო აღმოსავლეთის ქვეყნებში, რომლებთანაც საქართველოს ოდითგანვე მჭიდრო სავაჭრო – ეკონომიკური ურთიერთობები აკავშირებდა და სადაც ძირითადი საურთიერთობო ენა არაბული იყო. ამ ზედწერილებში საქართველოს ხელისუფალნი მეფეთა მეფედ და მესიის მახვილად და დედოფალთა დედოფლად) და მესიის თაყვანისმცემლად მოიხსენიებენ. სანიმუშოდ მოვიტანთ თამარის 1187 წელს მოჭრილი მონეტის ლეგენდის თარგმანს: „დედოფალი დიდებული, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ, გიორგისა, მესიის თაყვანისმცემელი. განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი, განადიდოს ღმერთმან დიდე-

ბა განაგრძოს ჩრდილი მისი და განამტკიცოს კეთილდღეობა მისი“.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, ერთი შეხედვით უცნაური გარემოება, რომ საქართველოს სამეფოს ამ ოქროს ხანაში, დემეტრედან გიორგი ლაშამდე ჩათვლით, ფული მხოლოდ სპილენძისა იჭრებოდა, თუმცა, თუკი მონეტებზე ამოტვიფრულ ქართულ და არაბულ წარწერებს დავუჯერებთ, ისინი ვერცხლის ფული, დირჰემებია. ამდენად ცხადია, ეს მონეტები საკრედიტო ფული იყო, რომელიც იძულებითი კურსით იბრუნვოდა.

საქართველოს მეზობელ ისლამურ ქვეყნებშიც და შუა აზიაშიც იმ დროს ასევე მხოლოდ სპილენძის ფული იჭრებოდა. ვერცხლის ემისია საყოველთაოდ შეწყვეტილი იყო.

„ვერცხლის კრიზისის“ - ასე უწოდებენ ამ პერიოდს სპეციალურ ლიტერატურაში – ახსნა იმით, თითქოს ამ დროს ... მიზეზის გამო გამოიღია ან ძლიერ შემცირდა ვერცხლის მარაგი აღმოსავლეთში, კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან სწორედ ამ დროსაა ვერცხლის უამრავი ჭურჭელი და ჯვარ – ხატები საქართველოში და არც წერილობით წყაროებში იგრძნობა თვალ – მარგალიტისა და ოქრო – ვერცხლის ნაკლებობა, გავიხსენოთ, თუნდაც „ვეფხისტყაოსანის“ შესაბამისი პასაჟები.

ფული შოთა რუსთაველს მრავალგზის აქვს მოხსენიებული ვეფხისტყაოსანში,“ მაგრამ არა „ფულის“ სახით, არამედ როგორც ისინი ძველად იწოდებოდნენ. იგი ფულის აღმნიშვნელად ხმარობს იმ ლითონის სახელწოდებებს, რომლებისგანაც იჭრებოდა ფული: ოქრო, ვერცხლი, რვალი, სპილენძი. უფრო ხშირად ფულის აღმნიშვნელად ხმარობს ოქროს. მაგალითად ნურადინ ფრიდონისკენ მიმავალი ტარიელი და ავთანდილი გზაში იყიდიან ცხენს, რაშიც გადაიხდიან ოქროს:

„მუნ, ვაჭარმან, ოქროს ფასად ცხენი მისცა, არა უძღვნა“ (1360₂).

ამ ოქროს სახელწოდებით აღნიშნულია ფული. გარდა ოქროსა „ვეფხისტყაოსანში“ ნახმარია აგრეთვე ტერმინები: „წითელი“, „წითელი მალრიბული“, „ვერცხლი“, „რვალი“ (სულხან-საბას განმარტებით არის სპილენძისა და თუთიის შენარევი ლითონი, რომლისგანაც იჭრებოდა ფული). აგრეთვე სხვადასხვაა ქვეყნის მონეტების სახელწოდებანი: მაგალითად, ოქროს ფულის აღსანიშნავად — დრაჰკანი, „პერპერა“, „დრამა“, „ხატაური“.

ფულის გაგებით რუსთაველი ხმარობს „ვერცხლსაც“. საქართველოში დავით აღმაშენებლამდე იჭრებოდა ვერცხლის ფული. დავით აღმაშენებლის რეფორმებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის მიერ ჩატარებულ ფულის რეფორმას, როგორც ნუმიზმატიკურს, ისე საკუთრივ ფულის და ფინანსურის მხრივ. დავით აღმაშენებელმა შეცვალა მონეტის არა მარტო ეროვნული სახე, არამედ მისი შინაარსიც – ვერცხლის მაგიერ სპილენძს დაანერა, რომ ის მიიღება, როგორც თეთრი.

ვერცხლის ნაცვლად სპილენძიდან გამოჟედეს ფული გიორგი III-მ, თამარ მეფემ, ლაშა გიორგიმ და ნაწილობრივ რუსუდანმაც. ამგვარად, შოთა რუსთაველის ეპოქაში ქართული ვერცხლის ფული არ იჭრებოდა, მაგრამ ბრუნვაში იგი მაინც იყო – ნაწილი ძველად მოჭრილი და ნაწილი უცხოური.

ფულის ლითონებს შორის შოთა რუსთაველი უპირატესობას ანიჭებს ოქროს. მას ხშირად, როგორც ავლნიშნეთ, ფულის აღმნიშვნელად ხმარობს და ოქროს სხვადასხვა ფასეულობათა შორის თვლის მყარად. ავთანდილისა და თინათინის ქორწილზე უხვად გაცემული დასახელებისას შოთა რუსთაველი წერს:

„გაბედიტ და წასაღებად ატლასი და ოქრო მყარი“ (1939)³ მართალია, შოთა რუსთაველი ღირებულების პრობლემას არ იცნობდა, მაგრამ სხვადასხვა ფასეულობათა შო-

რის ემპირიულად იცნობდა ოქროს სიმყარეს, მის სიმტკიცეს, მის უცვლელობას ფასთა მოძრაობაში.¹⁰

შოთა რუსთაველს აქვს მოცემული ოქროს, როგორც ფულის, ყველა დამახასიათებელი ფუნქცია ემპირიული გაგების გათვალისწინებით. ფულის როგორც ღირებულების საზომის ფუნქციის შემეცნებას აბრკოლებდა ფეოდალიზმის პირობებში საერთო ბაზრის შეკუმშულობა და ადგილობრივი ხასიათი. მიმოსვლა გაძნელებული იყო, რაც რასაკვირველია, ხელს უშლიდა ფულის, როგორც ღირებულების საზომის ფუნქციის განვითარებას.

შოთა რუსთაველს ფული მოხსენებული აქვს მიმოქცევის საშუალების ფუნქციაშიც. ფული მიმოქცევის საშუალების ფუნქციას ასრულებს, რამდენადაც შუამავლობს საქონელმიმოქცევას.

„ტურფანი სეფედ გარდახსნა, ფასიცა დაათვლევინა“
(1067₂)

აქ ფული ასრულებს მიმოქცევის ფუნქციას. საქონლის ადგილს იჭერს ნაღდი ფული.

შუა საუკუნეების ფულად მიმოქცევაში წონით მასშტაბის სახელწოდება გამოხატავდა ფულის მასშტაბის სახელწოდებასაც. შემდგომში ლითონის წონის სახელწოდება დაშორდა მის თავდაპირველ წონით რაოდენობას. ამ დაშორებაში დიდი როლი ითამაშა მონეტების შერყვნამ.

შოთა რუსთაველს ფული წარმოდგენილი აქვს გადახდის ფუნქციის სახითაც. ავთანდილი ვეზირს ავალებს, მეფეს თხოვოს ავთანდილის გაშვება ტარიელის დასახმარებლად. საზღაურად მას დიდი თანხის გადახდას პირდება:

„მიაჯე ამოდ გაშვება და თავი გაიმაგრეო,
ასი ათასი წითელი შენ ქრთამად შეინირეო“ (732_{3,4})

¹⁰ ჩანტლაძე ვ. ფული – შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები. თბ. „მეცნიერება“ 1992. გვ. 124-125

„ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილია ფულის განძად დაგროვების ფუნქციაც. გაცვლითი ურთიერთობის განვითარებასთან ერთად იზრდება ფულის საზოგადოებრივი ძალაც. იგი ყველაფრის ბატონი გახდა: ამიტომ იზრდება ოქროს მოხვეჭის წყურვილი. შოთა რუსთაველს ეს ასე აქვს გამოთქმული:

„გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი“ (709₁)

შოთა რუსთაველს ფული გადმოცემული აქვს მსოფლიო ფუნქციაშიც. ადრეულ შუა საუკუნეებში საგარეო ვაჭრობა სჭარბობდა საშინაო ვაჭრობას. ამიტომ ძვირფასი ლითონი უპირატესად მოემსახურებოდა საერთაშორისო გაცვლას. შუა საუკუნეების მეორე ნახევრიდან, საშინაო ბაზრის განვითარებასთან ერთად, ძვირფასი ლითონების მეტი წილი მოემსახურებოდა საშინაო ბაზარს.

შუა საუკუნეებში, მსხვილი საქალაქო ცენტრების შექმნის შედეგად, ფულმა მსოფლიო ფულის ფუნქცია შეიძინა. ამ ცენტრებში თავი მოიყარა ძვირფასი ლითონებით ვაჭრობამ და ისინი საერთაშორისო ანგარიშწორების ცენტრებად იქცნენ. ასეთები იყვნენ ევროპის ქვეყნებიდან: ვენეცია, ფლორენცია, ანტვერპენი, ამსტერდამი. ამ ცენტრებში ხდებოდა მონეტებით, ოქროთი და ვერცხლით ვაჭრობა. აქ პლაკატებზე ნაჩვენები იყო უცხოური მონეტების კურსი; აქ ხდებოდა ოქროსა და ვერცხლის მუდამ ცვალებადი საბაზრო ურთიერთობების განსაზღვრა. ლითონური მიმოქცევის სარეზერვო ფონდს წარმოადგენდა ის ძვირფასი ლითონები, რომლებიც გროვდებოდა დახურდავების მთავარ ცენტრებში. ამ ფონდებში წარმოებდა დიდძალი ოქრო-ვერცხლის მოქცევა და მიქცევა, სწორდებოდა რომელიმე სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ დაშვებული დარღვევები.

ფული მსოფლიო ფუნქციას ასრულებს ოქროს სახით. როდესაც ავთანდილი უცხოეთში გასამგზავრებლად მოემზადა, მან „წელთა ოქრო შემოირტყა“ (168₂); ვაჭრობა უცხო

ქვეყანაში ხდებოდა ოქროთი და ცხადია, სასყიდელი ოქროთი განისაზღვრებოდა.¹¹

სრულიად უეჭველია, რომ სპილენძის ემისიაზე ზემოთ აღნიშნული საყოველთაო გადასვლა იყო შედეგი წინა და შუა სახელმწიფოთა უზენაეს ხელისუფალთა დონეზე მიღწეული საერთაშორისო შეთანხმებისა, რომლის მიზანი ჩვენთვის ჯერჯერობით ბუნდოვანია: ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: საკრედიტო ფულის ხანგრძლივი არსებობა მიმოქცევაში ისე, რომ არ დაინგრეს ეკონომიკა, უცილობლად გულისხმობს საზოგადოების მხრივ ხელისუფლების ნდობის მაღალ დონეს (საქართველოს ეკონომიკა ხომ არ დანგრეულა, არამედ, პირიქით, განსაკუთრებულ აყვავებას განიცდიდა იმ დროს!) და მეორეც: ერთი მხრივ, სპილენძის ფული და, მეორე მხრივ, საერთაშორისო ვაჭრობის ინტენსივობის ის მაღალი დონე, რაც გაცხადებულია XII საუკუნის საქართველოს და წინა აზიის არქეოლოგიაში გულისხმობს საერთაშორისო საბანკო – საფინანსო კავშირების შესაბამისად მაღალ დონესაც, თორემ ნამდვილად წარმოუდგენელია, რომ ვაჭრებს ქვეყნიდან ქვეყანაში აქლემებით ეზიდათ სპილენძის ფულით სავსე საპალნეები.

საყურადღებოა, რომ სწორედ „ვერცხლის კრიზისით“ მოქცეულ ქვეყნებზე გადიოდა ის დიდი აბრეშუმის გზა, რომელმაც ბოლო ხანს ასეთი აქტუალურობა შეიძინა და რომელიც იმ დროს განსაკუთრებით ინტენსიურად მოქმედებდა, რაც ვიფიქროთ, შეუძლებელი იქნებოდა სათანადო სახელმწიფოთაშორისო შეთანხმების გარეშე.

XIII საუკუნის 20 იან წლებში მონღოლების შემოსევამ დაარღვია შუა და წინააზიაში არსებული პოლიტიკური წონასწორობა და „ვერცხლის კრიზისიც“ დასრულდა. ამის მანუწყებელი იყო საქართველოში საუკუნეზე მეტი წყვეტილის

¹¹ ჩანტლაძე ვ. ფული – შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები. თბ. „მეცნიერება“, 1992. გვ. 126-128

შემდეგ ვერცხლის ფულის მოჭრა, რაც 1230 წელს განახორციელა რუსუდანმა (1222-1245). ამ დროს უნდა დამკვიდრებულიყო სპილენძის ძველი („შავი“) ღირჰემისაგან ვერცხლის დრამის განსასხვავებლად ქართული ტერმინი „თეთრი“, რომელიც საქართველოში საერთოდ ფულის აღმნიშვნელ ერთ-ერთ ტერმინად იქცა. თანამედროვე ქართული ხურდა ფულსაც ამიტომ ეწოდება „თეთრი“.

XIX საუკუნის დასაწყისში ჯერ ქართლ-კახეთის სამეფო, შემდეგ კი დანარჩენი საქართველო და მთელი კახეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად, ცხადია შეწყდა უკანასკნელი ქართული ფულის, მაღალი ხარისხის (98%) ვერცხლის ე.წ. სირმა აბაზის ემისია, რომელიც პოპულარობით სარგებლობდა მთელს კავკასიაში. მაგრამ ქვეყანას ფული სჭირდება, რუსეთიდან ლითონის ფულის შემოზიდვა კი არ იყო იოლი დიდი მანძილისა და კავკასიის ომის გამო (ქალაქის ასიგნაციებმა კავკასიაში ფეხი ვერ მოიკიდეს). ამიტომ რუსეთის ხელისუფლებამ 1804 წელს თბილისში აღადგინა ზარაფხანა, რომელიც 1834 წლამდე მოქმედებდა და ერეკლე მეფის დროინდელი სირმა აბაზის სისტემით უშვებდა რუსულ ფულზე უფრო მაღალი სინჯის ვერცხლის სამ მონინალს – ორ – აბაზიანს, აბაზიანს და ნახევარ – აბაზიანს, და სპილენძის სამ ნომინალს. მონეტები ქართული ზედწერილები – ავერსზე „ტფილისი“, რევერსზე კი „ქართული თეთრი“ (ვერცხლის ფულზე) და „ქართული ფული“ (სპილენძზე), აგრეთვე ნომინალისა და მოჭრის თარიღის აღმნიშვნელი ასო – ნიშნები. მხოლოდ ვერცხლის მონეტაზე, ქვედა კიდეგან იჯდა ორ – ორი რუსული ასო – ზარაფხანის ინიციალები.

რუსული – ქართული მონეტები, ერეკლე მეფის დროინდელ სირმა აბაზებთან ერთად, XIX საუკუნის სამოციან წლებამდე დარჩა მიმოქცევაში, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს უკვე ფართოდ იყო გავრცელებული რუსული ფული.

საქართველოში ბოლოს ბრუნვაში მკვიდრად მოიკიდა ფეხი ქალაქის საკრედიტო ბილეთებმაც, რომლებიც შეუზღუდავად იცვლებოდა ოქროზე.

თბილისის მუზეუმში, ერთადერთი მუზეუმი, სადაც სისტემატიურად გამოფენილია 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, 1918-1921 წლებში გამოშვებული ამიერკავკასიის კომისარიატისა და დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები, აგრეთვე საქართველოს და ამიერკავკასიის ფედერაციის ბონები, გამოშვებული საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ, 1921-1924 წლებში.

1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. 1993 წლის 5 აპრილიდან მიმოქცევაში იყო საქართველოს ეროვნული ბანკის კუპონები 1995 წლის 2 ოქტომბრამდე.

1995 წლის 2 ოქტომბერს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ერთიან კანონიერ საგადასახადო საშუალებად გამოცხადდა ახალი ქართული ეროვნული ვალუტა „ლარი“. მიმოქცევაში შევიდა - 1, 2, 5, 10, 20, 50, და 100 ლარი ღირებულების საბანკო ბილეთები. სიტყვა „ლარი“, რომელიც შეირჩა ქართული ეროვნული ვალუტის ძირითადი ერთეულის სახელწოდებად, ძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს ზოგადად განძს, ქონებას; ხოლო „თეთრი“, რომელიც ლარის მეასედ ნაწილს ეწოდა, ასევე ძველი XIII საუკუნიდან დამკვიდრებული ქართული სამონეტო ტერმინია.

1999 წელს, სრულყოფის თვალსაზრისით, მოდიფიცირებულ იქნა 1995 წლის ემისიის ყველა ნომინალის ბანკნოტები, ხოლო 2002 წელს 1999 წლის ემისიის მხოლოდ 1, 2, 5 და 20 ლარის ღირებულების ბანკნოტები, ხოლო 2004 წელს 50 და 100 ლარის ღირებულების ბანკნოტები.

ყველა ნომინალის ბანკნოტის ავერსზე წარმოდგენილია ქართული წარწერები: „საქართველო“, „საქართველოს ეროვნული ბანკი“, ნომინალის დასახელება, საქართველოს

ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და ფინანსთა მინისტრის ხელმოწერები, თარიღი და შვიდმკლავიანი ბორჯღალოს გამოსახულება, ხოლო რევერსზე – ინგლისურენოვანი წარწერები: „GEORGIA“ და ნომინალის დასახელება.





მონეტები.



1995 წელს მიმოქცევაში გამოშვებული იქნა 1, 2, 5, 10, 20 და 50 თეთრის ღირებულების მონეტები. „თეთრი“ რომელიც ლარის მეასედ ნაწილს ეწოდა, ძველი XIII საუკუნიდან დამკვიდრებული ქართული სამონეტო ტერმინია. 1, 2, 5, 10 და 20 თეთრის ღირებულების მონეტები ვერცხლის ფერია, ხოლო 50 თეთრის ღირებულების მონეტა-ოქროსფერი.

ყველა ნომინალის მონეტის რევერსზე გამოსახულია ბორჯღალი, მითითებულია თარიღი და ქართულ-ინგლისური წარწერა „საქართველოს რესპუბლიკა“.



2000 წლის 10 აგვისტოს მიმოქცევაში გამოშვებული იქნა ქრისტეშობის 2000 წლის და საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლის თარიღთან დაკავშირებით მოჭრილი 10 ლარის ღირებულების საიუბილეო ბიმეტალური მონეტები, რომლებიც მიმოქცევაშია 10 ლარის ნომინალის ბანკნოტების პარალელურად. ბიმეტალური მონეტების – შიდა რკალი ვერცხლისფერია, ხოლო გარეთა რკალი – ოქროსფერი.



500 – ლარიანი ოქროს მემორიალური მონეტა გამოშვებულია 1995 წელს მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისა და ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავის აღსანიშნავად. მონეტის დიზაინის ავტორია საქართველოს სახალხო მხატვარი ნოდარ მაღაზონია.

სინჯი - 920⁰ (22)

წონა – 17გრ.

დiameterი – 31მმ.

მონეტის ავერსზე ზედა ნაწილში გამოსახულია ბორჯღალი და დამზადების წელი 1995. ცენტრში ამოტვიფრულია რიცხვი 500, რომლის ქვემოთ იკითხება წარწერა ლარი — არლ, ხოლო პერიმეტრზე (ქვედა ნაწილში) — წარწერა საქართველოს რესპუბლიკა — ლქ ლ. მონეტის რევერსზე მოცემულია ანტიფაშისტური კოალიციის სახელმწიფოთა მეთაურების სტალინის, რუზველტის, ჩერჩილისა და გოლის ბარელიეფური გამოსახულებები, რომელზეც ქვემოთ ამოტვიფრულია მეორე მსოფლიო ომის დამთავრების წელი 1945, ხოლო პერიმეტრზე (ქვემოთა ნაწილში) — მათი გვარები „შთი — ლშთ — ჩილჩი — .“ მონეტის ნიბოზე გამოსახულია გამოშვებული მონეტების რაოდენობა, შესაბამისად დანომრილი 0001 /2000 დან 2000/ 2000 მდე.

500-ლარიანი ოქროს მემორიალური მონეტა ნუმიზმატიკური დანიშნულებისა და წარმოადგენს საქართველოში საგადასახადო საშუალებას.



ეროვნული ბანკის მიერ ქრისტეშობიდან 2000 წლის თარიღის აღსანიშნავად გამოშვებულ იქნა სამი ტიპის 10 ლარის ღირსების საიუბილეო მონეტა.

1. ვერცხლის მონეტა.
2. სპილენძ-ნიკელის მონეტა — ვერცხლისფერი.

3. ბიმეტალური მონეტა – შიდა რკალი ვერცხლისფერი, გარეთა რკალი – ოქროსფერი.

ქრისტეშობიდან 2000 წლის თარიღისადმი მიძღვნილი 10 ლარის ღირსების საიუბილეო მონეტების აღწერილობა:

მონეტის დიზაინი იდენტურია. კერძოდ:

- მონეტის ავერსის შუაგულში გამოსახული ჰერალდიკური ფარი მასზე დატანილი ჯვრებითა და ქრისტეს კვარით.

- კიდეზე წრიული ფორმით გასდევს წარწერა „ქრისტეშობიდან 2000 წელი“.

- რევერსის შუაგულში გამოსახულია ნომინალის აღმნიშვნელი ცისფერი „10“ წარწერით „ათი“ და „ლარი“, ხოლო კიდეზე წრიული ფორმით გასდევს წარწერა „საქართველოს ეროვნული ბანკი 2000“.

- მონეტის წიბო დაღარულია და ინკუზუმის (ჩატვიფრის) წესით გასდევს წარწერა „ეორგია“ და „თენ ლარი“. აგრეთვე წარწერებს შორის გამოსახულია ორი ვარსკვლავი.

მონეტის დიზაინის ავტორები არიან საქართველოს დამსახურებული მხატვრები ემირ ბურჯანაძე და თინათინ თევზაძე.

შემაღგენლობა:

- ვერცხლის მონეტა – ვერცხლი 925⁰ სინჯი.
- სპილენძ-ნიკელის მონეტა – სპილენძი – ნიკელი.
- ბიმეტალური მონეტა – შიდა რკალი სპილენძი – ნიკელი გარეთა რკალი სპილენძი – ნიკელი — თუთია.

დიამეტრი:

- ვერცხლის მონეტა – 28, 40 მმ.
- სპილენძ-ნიკელის მონეტა – 38,61 მმ.
- ბიმეტალური მონეტა – 26, 00 მმ.

წონა:

- ვერცხლის მონეტა – 15,98 გრ.
- სპილენძ-ნიკელის მონეტა – 28,28 გრ.
- ბიმეტალური მონეტა – 10,60 გრ.

გამოშვების წელი: 2000

10 ლარის ქრისტეშობიდან 2000 წლის თარიღისადმი მიძღვნილი ვერცხლისა და სპილენძ-ნიკელის საიუბილეო მონეტები ნუმისმატიკური დანიშნულებისაა და არ წარმოადგენს საქართველოში საგადასახადო საშუალებას.



ეროვნული ბანკის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლის თარიღის აღსანიშნავად გამოშვებული იქნა სამი ტიპის 10 ლარიანი ღირსების საიუბილეო მონეტა:

1. ვერცხლის მონეტა.
2. სპილენძ – ნიკელის მონეტა – ვერცხლისფერი.
3. ბიმეტალური მონეტა – შიდა რკალი ვერცხლისფერი, გარეთა რკალი – ოქროსფერი.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლის თარიღისადმი მიძღვნილი 10 ლარის ღირსების საიუბილეო მონეტების აღწერილობა:

მონეტების დიზაინი იდენტურია კერძოდ:

- მონეტის ავერსის შუაგულში გამოსახულია მე-11 საუკუნის ღირშესანიშნავი ტაძრის, სვეტიცხოვლის არწივისა და ლომის ცნობილი ბარელიეფები (როგორც სახელმწიფოს ძლიერების სიმბოლოები). მოცემულ კომპოზიციას კრავს ფოთლოვანი ორნამენტი და შვიდი ვარსკვლავი.

- კიდევ ერთი ფორმით გასდევს წარწერა „საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წელი“.

- რევერსის შუაგულში გამოსახულია ნომინალს აღმნიშვნელი ციფრი „10“ წარწერა „ლარი, ხოლო კიდევ ერთი ფორმით გასდევს წარწერა „საქართველოს ეროვნული ბანკი 2000“.

- მონეტის ნიბო დაღარულია და ინკუზუმის (ჩატვიფრვის) წესით გასდევს წარწერა, „ეორგია“ “თენ ლარი“, აგრეთვე წარწერებს შორის გამოსახულია ორი ვარსკვლავი.

მონეტის დიზაინის ავტორები არიან საქართველოს დამსახურებული მხატვრები ემირ ბურჯანაძე და თინათინ თევზაძე.

შემადგენლობა:

- ა) ვერცხლის მონეტა – ვერცხლი 925⁰ სინჯი.
- ბ) სპილენძ – ნიკელის მონეტა – სპილენძ – ნიკელი.
- გ) ბიმეტალური მონეტა – შიდა რკალი სპილენძ – ნიკელი გარეთა რკალი სპილენძ – ნიკელი – თუთია.

დიამერი:

- ა) ვერცხლის მონეტა – 28, 40 მმ.
- ბ) სპილენძ – ნიკელის მონეტა – 38,61 მმ.
- გ) ბიმეტალური მონეტა – 26,00 მმ.

წონა:

- ა) ვერცხლის მონეტა – 15,98 გრ.
- ბ) სპილენძ – ნიკელის მონეტა – 28,28 გრ.
- გ) ბიმეტალური მონეტა – 10 60 გრ.

გამოშვების წელი: 2000.

10 ლარის ღირსების საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლის თარიღისადმი მიძღვნილი ვერცხლისა და სპილენძ – ნიკელის საიუბილეო მონეტები ნუმისმატიკური დანიშნულებისაა და არ წარმოადგენს საქართველოში საგადასახადო საშუალებას

თავი 2. ფულის მიმოქცევა და ფულადი სისტემა საქართველოში

2.1. ფულის ბრუნვისა და მიმოქცევის არსი, ფულის მიმოქცევის კანონი

ვიდრე ფულის ბრუნვას შევხებოდეთ, შევჩერდეთ ფულის ემისიაზე. ახალი ფული ბრუნვაში შედის ბანკებიდან, რომელსაც იგი ქმნის საკრედიტო ოპერაციების საშუალებით. „ფულის გამოშვება“ და „ფულის ემისია“ ერთი მნიშვნელობით არ იხმარება. ფულის მოძრაობაში გაშვება ხდება მუდმივად. უნაღდო ფული ბრუნვაში გამოდის როცა კომერციული ბანკები სესხს წარუდგენენ მის კლიენტებს, ხოლო ნაღდი ფულის ბრუნვაში გამოშვება ხდება მაშინ, როცა საკასო ოპერაციების განხორციელების პროცესში გასცემენ მათ კლიენტებისათვის – საკუთარი საოპერაციო სალაროებიდან. რადგანაც კლიენტები ფარავენ საბანკო სესხებს და, ამავდროულად, შეაქვთ ნაღდი ფული ბანკის საოპერაციო სალაროებში, ამიტომ ბრუნვაში ფულის რაოდენობა შეიძლება არ გაიზარდოს.

ბრუნვაში ფულის ისეთი გამოშვება, რომელიც იწვევს ბრუნვაში არსებული ფულადი მასის საერთო გაზრდას, ფულის ემისიად იწოდება. არსებობს ნაღდი და უნაღდო ფულის ემისია.

საბჭოთა კავშირში ფულის ემისიას ახორციელებდა მხოლოდ სახელმწიფო ბანკი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ემისიის ფუნქცია ორ ნაწილად იყოფა: უნაღდო ფულის ემისიას ახდენს კომერციული ბანკები, ხოლო ნაღდი ფულის ემისიას ცენტრალური ბანკი. პირველ რიგში დგას უნაღდო ფულის ემისია. სანამ ნაღდი ფული მიმოქცევაში გამოჩნდება ის უნდა აისახოს კომერციული ბანკების დეპოზიტური ანგარიშის ჩანაწერებში.

ბრუნვაში უნაღდო ფულის ემისიის ძირითადი მიზანია – საწარმოთა დამატებითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება საბრუნავი საშუალებებით. კომერციული ბანკები უზრუნველყოფენ ამ მოთხოვნებს საწარმოთათვის კრედიტის წარდგენით. საერთოდ, ბანკებს შეუძლიათ გასცენ კრედიტი მხოლოდ არსებული რესურსების საზღვრებში.

ადმინისტრაციულ–მბრძანებლური სისტემის ქვეყნებში, უნაღდო ფულის ემისია ხორციელდება საკრედიტო გეგმების საფუძველზე, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როცა ემისიაზე მონოპოლია დანგრეულია, ასეთი გეგმების არსებობა შეუძლებელია.

ორიარუსიანი საბანკო სისტემის არსებობის დროს ემისიის მექანიზმი მოქმედებს საბანკო მულტიპლიკატორის საშუალებით.

საბანკო მულტიპლიკატორი წარმოადგენს კომერციული ბანკების დეპოზიტურ ანგარიშებზე ფულის გადიდების პროცესს (მულტიპლიკაცია), ერთი კომერციული ბანკიდან მეორეში მოძრაობის პერიოდში. საბანკო, საკრედიტო და დეპოზიტური მულტიპლიკატორები ხასიათდება მულტიპლიკაციის მექანიზმით სხვადასხვა პოზიციიდან.

საბანკო მულტიპლიკატორი ახასიათებს მულტიპლიკაციის პროცესს მულტიპლიკაციის სუბიექტების პოზიციებიდან. აქ გაიცემა პასუხი კითხვაზე: ვინ ახორციელებს ფულის მულტიპლიცირებას? ასეთი პროცესი ხორციელდება კომერციული ბანკების საშუალებით. ერთი კომერციული ბანკი ვერ შეძლებს ფულის მულტიპლიცირებას, მას ახორციელებს კომერციული ბანკების სისტემა. კომერციული მულტიპლიკატორი ასახავს მულტიპლიკაციის ობიექტს – ფულს კომერციული ბანკების დეპოზიტურ ანგარიშებზე (სწორედ ისინი იზრდებიან მულტიპლიკაციის პროცესში).

საბანკო მულტიპლიკატორის მექანიზმი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ორიარუსიანი (ან მეტი) საბანკო სისტემის პირობებში. მაგალითად, 1-ლი საფეხური – ცენტრა-

ლური ბანკი მართავს ამ მექანიზმს, მეორე საფეხური – კომერციული ბანკები მას აიძულებენ იმოქმედოს, თუმცა მოქმედება ავტომატურად დამოუკიდებელია ცალკეული ბანკების სპეციალისტების სურვილისაგან. საბანკო მულტიპლიკატორის მექანიზმი უშუალოდაა დამოკიდებული საბანკო ოპერაციებთან.

კომერციულ ბანკებს შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი აქტიური ოპერაციები (გასცენ სესხები, შეიძინონ ფასიანი ქაღალდები, ვალუტა და ა.შ.), მხოლოდ არსებული რესურსების ფარგლებში. კომერციული ბანკების სისტემის თავისუფალი რეზერვი იქმნება ცალკეული კომერციული ბანკების თავისუფალი რეზერვებისაგან, ამიტომ ცალკეული ბანკების თავისუფალი რეზერვების გადიდებით ან შემცირებით კომერციული ბანკების მთელი სისტემის თავისუფალი რეზერვების საერთო სიდიდე არ იცვლება. ცალკეული კომერციული ბანკის თავისუფალი რეზერვის სიდიდე გამოითვლება შემდეგნაირად:

$$ო_{\kappa} = \kappa + \mu_{\kappa} + \zeta_{\kappa} \pm \beta_{\kappa} - \gamma \zeta_{\kappa} - \rho \beta_{\kappa}, \text{ სადა } \zeta$$

κ – კომერციული ბანკის კრედიტი;

μ_{κ} – კომერციული ბანკების მოზიდული რესურსები (საშუალებები დეპოზიტურ ანგარიშებზე);

ζ_{κ} – ცენტრალური კრედიტი, მიწოდებული კომერციულ ბანკზე ცენტრალური ბანკიდან;

β_{κ} – ბანკთაშორისი კრედიტი;

$\gamma \zeta_{\kappa}$ – გადარიცხვები ცენტრალიზებულ რეზერვში, რომელიც იმყოფება ცენტრალური ბანკის განკარგულებაში;

$\rho \beta_{\kappa}$ – რესურსები, რომელიც მოცემული მომენტისათვის ჩადებულია კომერციული ბანკების აქტიურ ოპერაციებში.

რამდენადაც მულტიპლიკაციის პროცესი შეუწყვეტილია, მულტიპლიკაციის კოეფიციენტი გამოითვლება დროის რომელიმე პერიოდისათვის (წელი) და ახასიათებს ფულადი მასის ზრდას ბრუნვაში.

საბანკო მულტიპლიკატორის მექანიზმის მართვისას, აღსანიშნავია, ის, რომ უნაღდო ფულის ემისია ხორციელდება უშუალოდ ცენტრალური ბანკის საშუალებით, იმ დროს როცა ემისია ხორციელდება კომერციული ბანკების საშუალებით. ცენტრალური ბანკი, ახორციელებს რა საბანკო მულტიპლიკატორის მექანიზმის მართვას, აფართოებს ან ავიწროვებს კომერციული ბანკების საემისიო შესაძლებლობებს, ამით კი ასრულებს ერთ-ერთ მის მთავარ ფუნქციას – ფულად-საკრედიტო რეგულირების ფუნქციას.

ნაღდი ფულის ემისია გულისხმობს მათ გამოშვებას მიმოქცევაში, რითაც იზრდება ნაღდი ფულის მასა.

ნაღდი ფულის ემისიაზე მონოპოლიას ფლობს სახელმწიფო ცენტრალური ბანკი. იგი წინასწარ განსაზღვრავს მოსალოდნელი ემისიის ზომას, რომლისთვისაც იყენებს კომერციული ბანკების საკასო ბრუნვის პროგნოზსა და ანალიტიკურ მასალებს. ამასთან, აუცილებელია არა მარტო ემისიის სიდიდის ოპტიმალური პროგნოზი, არამედ მათი განაწილება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებს შორის.

ნაღდი ფულის ემისია ხორციელდება დეცენტრალიზებულად. ეს დამოკიდებულია იმაზე, რომ კომერციული ბანკების მოთხოვნა ნაღდ ფულზე დამოკიდებულია იურიდიული და ფიზიკური პირების, რომელთაც ემსახურებათ ეს ბანკები მოთხოვნაზე და იგი მუდმივად იცვლება. ამიტომ ყოველთვის ცენტრიდან ფულის შემოტანა, რათა დაკმაყოფილდეს ეს მოთხოვნები, იქნებოდა შეუძლებელი.

ნაღდი ფულის ემისიას ახორციელებს ცენტრალური ბანკი და მისი საანგარიშო-საკასო ცენტრები, რომლებიც იხსნებიან ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში. საანგარიშო-საკასო ცენტრებში ნაღდი ფულის ემისიისათვის იხსნება სარევიზიო ფონდები და საბრუნავი სალაროები. სარევიზიო ფონდებში ინახება ფულადი ნიშნების მარაგი, რომელიც გამიზნულია მიმოქცევაში გაშვებისათვის. ფულის ეს ნიშნები არ

წარმოადგენენ ფულს, რადგანაც ისინი არ ასრულებენ მოძრაობას და წარმოადგენენ რეზერვს.

საბრუნავ სალაროში მუდმივად ირიცხება ნაღდი ფული კომერციული ბანკებისაგან, მაგრამ ამასთანავე აქედანვე მუდმივად გაიცემა ნაღდი ფული. აქედან გამომდინარე, საბრუნავ სალაროში ფული მუდმივად იმყოფება მოძრაობაში, ამიტომ ისინი ითვლება ფულად, რადგანაც იმყოფებიან მიმოქცევაში. თუ საანგარიშო-საკასო ცენტრის საბრუნავ სალაროში მიღებული ნაღდი ფული გადაამეტებს მის მიერ გაცემულ თანხას, მაშინ ეს ნამეტი ამოიღება მიმოქცევიდან და გადაიტანება საანგარიშო-საკასო ცენტრის სარეზერვო ფონდში.

აღსანიშნავია, რომ ნაღდი ფული ტრანსფორმირდება უნაღდო ფულისაგან, რომელიც შექმნილია კომერციული ბანკების მიერ, საბანკო მულტიპლიკატორის მექანიზმის მოქმედების საშუალებით.

ეხლა რაც შეეხება ფულის ბრუნვას.

დასავლეთის მრავალ გამოცემაში ფულადი ბრუნვის სხვადასხვაგვარი განმარტება არის მოცემული. ერთი ნაწილი ფულის ბრუნვას განმარტავს, როგორც ფულადი გადასახადის ერთობლიობას, რომელიც ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით და ნაღდი ფულის დახმარებით. მეორე – როგორც უნაღდო და ნაღდი ფულადი ბრუნვის ერთობლიობას. მესამე – როგორც ფულის არსის გამოვლენას მის მოძრაობაში. არსებობს ფულის მიმოქცევის ასეთი განმარტებაც: ალბა, რომელიც თავისთავად წარმოადგენს პროცესს ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტებს შორის ფულის შეუჩერებელი გადადინებისა მათივე მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის წარმოადგენს ფულის ბრუნვას.

აქ მოტანილ ყველა განმარტებას, ჩვენი აზრით, აქვს თავისი ნაკლი. 1-ლი განმარტება – რაოდენობრივია და იგი ძირითადად გამოდგება ფულის ბრუნვის სიდიდის ასახვისათვის, მე-2 – ახასიათებს მის სტრუქტურას და არა მის ში-

ნაარსს; მე-3 – ალბათ იმიტომ, რომ ფულის არსი აიხსნება მისი ფუნქციებით და არა მოძრაობით, ფულის ბრუნვა კი ფლობს საკუთარ არსს, აზრს.

ჩვენი აზრით, არაა ურიგო მესამე განმარტება, რომელშიც ფულის ბრუნვა წარმოდგენილია პროცესის სახით. თუმცა, არ შეიძლება დავეთანხმოთ იმას, რომ თითქოს ფულის მიმოქცევა ხორციელდება მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტებს შორის. ფულს შეუძლია მიმოქცევა ეკონომიკური ურთიერთობების საზღვრების მიღმაც.

მაგრამ, ვფიქრობთ, ყველაზე მეტად კონკრეტულია და ამდენად ზუსტი შემდეგი განმარტება: ფულის ბრუნვა წარმოადგენს ფულის უწყვეტი მოძრაობის პროცესს ნაღდი და უნაღდო ფორმით. ასეთი განმარტება შეესაბამება თანამედროვე ფულად ბრუნვას, სადაც მოძრაობს ფული და არა სხვადასხვა შემცვლელები ან ფულის სუროგატები.

თანამედროვე ფულის ბრუნვა ხორციელდება ფულადი ერთეულის საშუალებით, რომელიც არ ფლობს ნომინალის შესაბამის ღირებულებას, ამიტომ დღეს ღირებულებითია მხოლოდ საქონლური ბრუნვა.

ეკონომიკურ ლიტერატურაში „ფულის ბრუნვის“, „საგადასახადო ბრუნვის“, „ფულის მიმოქცევის“, „ფულადი-საგადასახადო ბრუნვის“ ცნებები ხშირად გაიგივებულია, თუმცა ჩვენი აზრით, მათ შორის არის სხვაობა. მაგალითად, „საგადასახადო ბრუნვა“ უფრო ფართოა, ვიდრე „ფულის ბრუნვა“.

საგადასახადო ბრუნვა – საგადასახადო საშუალებების მოძრაობის პროცესია, რომელიც გამოიყენება მოცემულ ქვეყანაში. ის მოიცავს არა მარტო ფულის მოძრაობას, როგორც გადახდის საშუალებას ნაღდი და უნაღდო ბრუნვის დროს, არამედ სხვა საგადასახადო საშუალებების ბრუნვასაც (ჩეკი, სადეპოზიტო სერტიფიკატები, თამასუქები და ა.შ.). ფულის ბრუნვა წარმოადგენს ფულის ბრუნვის შემადგენელ ნაწილს. მიმოქცევა ფულადი ნიშნებისა წარმოადგენს

მათ მუდმივ გადასვლას ერთი იურიდიული თუ ფიზიკური პირიდან მეორეზე. მაგალითად, ბანკი გასცემს ფულად ნიშნებს ინსტიტუტზე, რომელიც მიიღება ბანკის სალაროში. სალაროდან ეს ფული მიეცემა სტუდენტს სტიპენდიის სახით. სტუდენტები ამ ფულის ნიშნებით ბაზარზე ყიდულობენ საქონელს. მაღაზია კი ამ ფულად ნიშნებს აბარებს ბანკს. ბანკი ისევ გადასცემს ფულად ნიშნებს ინსტიტუტს და ა.შ.

მიმოქცევა შეუძლია მხოლოდ ნაღდ ფულს. უნაღდო ბრუნვის დროს ფულის ნიშნების მოძრაობა აისახება ბანკში ანგარიშებზე. „ფულის მიმოქცევის“ გაგებას მიეკუთვნება მხოლოდ ფულის ბრუნვა, სახელდობრ, ნაღდი ფულის ბრუნვა.

ფულად-საგადასახადო ბრუნვის ქვეშ იგულისხმება ფულადი ბრუნვის ნაწილი, სადაც ფული ფუნქციონირებს, როგორც საგადასახადო საშუალება იმისაგან დამოუკიდებლად უნაღდოა ეს ბრუნვა თუ ნაღდი.

ფულის ბრუნვა შედგება ფულის მოძრაობის შემდეგი ცალკეული არხებისაგან: ცენტრალურ და კომერციულ ბანკებს; კომერციულ ბანკებს; სანარმოს და ორგანიზაციებს; ბანკებს და მოქალაქეებს; სანარმოებს, ორგანიზაციებს და მოსახლეობას; ფიზიკურ პირებს; ბანკებსა და სხვადასხვა დანიშნულების საფინანსო ინსტიტუტებს; სხვადასხვა დანიშნულების საფინანსო ინსტიტუტებსა და მოსახლეობას შორის.

ამ არხებს შორის ფული ასრულებს შემხვედრ მოძრაობას.

ფულის ბრუნვის სტრუქტურა შეიძლება განისაზღვროს სხვადასხვა ნიშნებით. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ფულის ბრუნვის კლასიფიკაცია, რომელიც დამოკიდებულია მათში ფუნქციონირებად ფულის ფორმებზე. ამ ნიშნით ფულის ბრუნვა იყოფა უნაღდო და ნაღდ ფულის ბრუნვად, მაგრამ მიუხედავად ამ ნიშნით (ფულის ბრუნვა) კლასიფიცირების მნიშვნელობისა, იგი მაინც ვერ ასახავს

ფულის ბრუნვის ცალკეული ნაწილების ეკონომიკურ შინა-არსს. ამიტომ, გამოიყენებს შემდეგ ნიშანს, როგორცაა ხასიათი, რომელსაც ემსახურება ფულადი ბრუნვის ესა თუ ის ნაწილი.

ამ ნიშნის გათვალისწინებით, ფულის ბრუნვა იყოფა სამ ნაწილად:

- ფულად-საგადასახდო ბრუნვად, რომელიც ემსახურება საგადასახდო ურთიერთობას საქონლისა და მომსახურებისათვის და ასევე არასაქონლურ ვალდებულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შორის;

- ფულად-საკრედიტო ბრუნვად, რომელიც ემსახურება საკრედიტო ურთიერთობებს;

- ფულად-საფინანსო ბრუნვად, რომელიც ემსახურება ფინანსურ ურთიერთობებს.

დაბოლოს, შეიძლება ფულადი ბრუნვის კლასიფიკაცია სუბიექტების მიხედვით, რომელთა შორისაც მოძრაობს ფული. ამ ნიშნით ფულის ბრუნვის სტრუქტურა იქნება შემდეგი სახით:

- ბრუნვა ბანკებს შორის (ბანკთაშორისი ბრუნვა);

- ბრუნვა ბანკებს, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შორის (საბანკო ბრუნვა);

- ბრუნვა იურიდიულ პირთა შორის;

- ბრუნვა იურიდიულ და ფიზიკურ პირთა შორის;

- ბრუნვა ფიზიკურ პირთა შორის;

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფულის ბრუნვის თავისებურებებია:

- ემსახურება ძირითადად საბაზრო ურთიერთობებს და უმნიშვნელოდ – განაწილების ურთიერთობებს;

- გამოიყენება საპროგნოზო-საგეგმო ობიექტად სახელმწიფოს, კომერციული ბანკების, იურიდიული და ფიზიკური პირების;

- ფუნქციონირებს საკუთრების სხვადასხვა ფორმების არსებობის პირობებში;

– უნაღდო და ნაღდი ფულის ბრუნვა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია – ნაღდი-ფულადი ბრუნვა ხორციელდება მხოლოდ უნაღდო ბრუნვის ბაზაზე;

– უნაღდო ფულის ემისიას ახორციელებს კომერციული ბანკები, ნაღდი ფულისას – სახელმწიფო ბანკი;

როგორც ზემოთ ავლენებთ, ფულის ბრუნვა ხორციელდება ორი ფორმით: ნაღდი და უნაღდოთი.

ნაღდი-ფულადი ბრუნვა (მიმოქცევა) – მიმოქცევის სფეროში ნაღდი ფულის მოძრაობა და მათ მიერ ორი ფუნქციის (გადახდის საშუალება და მიმოქცევის საშუალება) შესრულებაა. ნაღდი ფული გამოიყენება:

- საქონლისა და მომსახურების წრებრუნვისათვის;
- ანგარიშსწორებისათვის, რომელიც უშუალოდ არაა დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების ბრუნვასთან, არამედ ხელფასის, პრემიის, პენსიების და ა.შ. გაცემასთან, სადაზღვევო შენატანების დაფარვასთან და ფასიანი ქაღალდების განაღდებასთან.

ნაღდი-ფულადი ბრუნვა მოიცავს მთელი ნაღდი-ფულადი მასის მოძრაობას დროის გარკვეულ პერიოდში. მოსახლეობასა და სახელმწიფო ორგანოთა შორის, იურიდიულ პირებსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის.

ნაღდი-ფულადი მოძრაობა ხორციელდება სხვადასხვა სახის ფულის საშუალებით – ბანკნოტით, ლითონის მონეტებით, სხვა საკრედიტო ინსტრუმენტებით (თამასუქით, საბანკო თამასუქით, საკრედიტო ბარათებით). როგორც ზემოთ აღინიშნა, ნაღდი ფულის ემისიას ახორციელებს ცენტრალური (სახელმწიფო) ბანკი. იგი უშვებს და იღებს მიმოქცევიდან ნაღდ ფულს, თუ ისინი დაზიანდნენ, ასევე ცვლის ფულს ახალ კუპიურებსა და მონეტებზე.

უნაღდო-ფულადი ბრუნვა – ღირებულების მოძრაობა ნაღდი ფულის მონაწილეობის გარეშე. ესაა ფულადი საშუალებების გადარიცხვა საკრედიტო დაწესებულებების ანგარიშზე, ურთიერთმოთხოვნების ჩათვლა. საკრედიტო სის-

ტემის განვითარებამ და ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებების ანგარიშზე კლიენტების საშუალებების გაჩენამ მიგვიყვანა ასეთი მიმოქცევის წარმოშობამდე.

უნაღდო ანგარიშსწორება ხორციელდება ჩეკებით, თამასუქებით, საკრედიტო ბარათებით და სხვა საკრედიტო ინსტრუმენტებით:

- სანარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა შორის, რომლებსაც აქვთ ანგარიში საკრედიტო დაწესებულებებში;
- იურიდიულ პირებსა და საკრედიტო დაწესებულებათა შორის კრედიტის მიღებისა და დაბრუნებისათვის;
- ფიზიკურ და იურიდიულ პირებსა და სახელმწიფოს ხაზინას შორის გადასახადების გადახდისას, ასევე საბიუჯეტო საშუალებების მიღებისას.

უნაღდო ბრუნვის ზომა დამოკიდებულია ქვეყანაში საქონლის მოცულობაზე, ფასების დონეზე, ასევე განაწილებითი და გადანაწილებით ურთიერთობების ზომებზე, რომლებიც ხორციელდება საფინანსო სისტემის საშუალებით. უნაღდო მიმოქცევას აქვს მნიშვნელოვანი ეკონომიკური მნიშვნელობა საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის დასაჩქარებლად, ნაღდი ფულის მიმოქცევის ხარჯების შესამცირებლად. ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ანსხვავებენ სასაქონლო ოპერაციებისა და საფინანსო ვალდებულებების უნაღდო ბრუნვის ორ ტიპს.¹²

პირველს მიეკუთვნება უნაღდო ანგარიშსწორება საქონლისა და მომსახურებისათვის. მეორეს – გადასახადები ბიუჯეტში (გადასახადი მოგებაზე, დღგ და სხვა სავალდებულო გადასახადები), არასაბიუჯეტო ფონდებში, საბანკო სესხების დაფარვა, კრედიტზე პროცენტის გადახდა, ანგარიშსწორება სადაზღვევო კომპანიებთან.

¹² Финансы. Денежное обращение. Кредит. Учебник. Под ред. Л.А. Дробозиной. - М., 2000. с. 36.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნაღდო და ნაღდი ბრუნვა აყალიბებს ქვეყნის საერთო ფულად ბრუნვას, რომელშიც მოქმედებს ერთი და იგივე დასახელების ერთიანი ფული.

სასაქონლო—ფულადი ურთიერთობები მიმოქცევისათვის მოითხოვენ ფულის განსაზღვრულ რაოდენობას.

ფულის მიმოქცევის კანონი, რომლის ფორმულირება ეკუთვნის კარლ მარქსს, ადგენს ფულის რაოდენობას, რომელიც აუცილებელია მათ მიერ მიმოქცევისა და გადახდის ფუნქციების შესრულებისათვის.

ფულის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია ფულის მიმოქცევის ფუნქციის შესასრულებლად, დამოკიდებულია სამ ფაქტორზე:

– ბაზარზე გაყიდული საქონლისა და მომსახურების რაოდენობაზე (პირდაპირი კავშირი);

– საქონლის ფასებისა და ტარიფების დონეზე (პირდაპირი კავშირი);

– ფულის მიმოქცევის სიჩქარე (უკუკავშირი).

ყველა აღნიშნული ფაქტორი განსაზღვრავს წარმოების პირობებს. რაც უფრო განვითარებულია შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, მით მეტია ბაზარზე გასაყიდი საქონლისა და მომსახურების მოცულობა. რაც უფროა მაღალია შრომის მწარმოებლურობის დონე მით ნაკლებია საქონლისა და მომსახურების ღირებულება და ფასები. ამ შემთხვევაში ფორმულა ფულის რაოდენობისა, რომელიც აუცილებელია მისი მიმოქცევის ფუნქციის შესრულებისათვის ასეთია:

$$F^a = \frac{სფ}{ფმს}, \text{ სადაც}$$

F^a – ფულის რაოდენობაა, რომელიც აუცილებელია მისი მიმოქცევის ფუნქციის შესრულებისათვის;

სფ – საქონელთა ფასების ოდენობა;

ფმს – ფულის მიმოქცევის სისწრაფეა.

ფულის მიმოქცევის სიჩქარე – ეს იგივე ერთსახელიანი ფულადი ერთეულის საშუალო ბრუნვის რიცხვი – განისაზღვრება ფულის ერთეულის ბრუნვის რიცხვით გაღV პერიოდში. ერთი და იგივე ფული განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში მუდმივად გადადის ხელიდან ხელში, ემსახურება რა საქონლის გაყიდვას და მომსახურების გაწევას.

ოქროს ფულის ფუნქციონირებისას მისი რაოდენობა აუცილებელ დონეზე მყარდება სტიქიურად, რადგანაც რეგულატორად გვევლინება განძეულობის ფუნქცია. ეს ფუნქცია ამყარებდა შედარებით მართებულ ურთიერთობას ფულსა და საქონელს შორის, რაც აუცილებელი იყო ბრუნვისათვის. მიმოქცევაში ზედმეტი ფული ამოიღებოდა და მიდიოდა განძეულობაში, სასაქონლო მასის ზრდასთან დაკავშირებით ფული ბრუნდებოდა განძეულობიდან.

ფულის გადახდის ფუნქციის წარმოშობასთან ერთად, ფულის საერთო რაოდენობა უნდა შემცირდეს. კრედიტი ფულის რაოდენობაზე ახდენს უკუგავლენას. ასეთი შემცირება გამოწვეულია სავალო მოთხოვნათა და ვალდებულებათა განსაზღვრული ნაწილის ურთიერთჩათვლით დაფარვის გზით. ფულის რაოდენობა მიმოქცევისა და გადასახადისათვის განისაზღვრება შემდეგი პირობებით:

- მიმოქცევაში არსებული საქონლისა და მომსახურების საერთო მოცულობით (დამოკიდებულება პირდაპირია);

- საქონელთა ფასებისა და მომსახურებაზე ტარიფების დონით (დამოკიდებულება პირდაპირია, რადგანაც რაც უფრო მაღალია ფასები მით მეტი ფულია საჭირო);

- უნაღდო ანგარიშსწორების განვითარების დონით (უკუკავშირი);

- ფულის მიმოქცევის სიჩქარით, მათ შორის საკრედიტო ფულისაც (უკუკავშირია).

აქედან გამომდინარე, კანონი, რომელიც განსაზღვრავს მიმოქცევაში ფულის რაოდენობას, ღებულობს შემდეგ სახეს:

$$2 \quad \frac{\begin{array}{l} \text{რეალიზებულ} \\ \text{საქონლისა და} \\ \text{მომსახურების} \\ \text{საერთო თანხა} \end{array} - \begin{array}{l} \text{კრედიტით გაყიდული} \\ \text{საქონლის საერთო} \\ \text{თანხა, რომელიც} \\ \text{განაღების დრო} \\ \text{ჯერ არ დამდგარა} \end{array}}{\begin{array}{l} \text{ფულის, როგორც მიმოქცევის ისე გადახდის} \\ \text{საშუალების საშუალო ბრუნვათა რიცხვზე} \end{array}} = \begin{array}{l} \text{საგალო} \\ \text{ვაღდებუ} \\ \text{დების} \\ \text{გადახდის} \\ \text{თანხა} \end{array} - \begin{array}{l} \text{ურთიერთ-} \\ \text{დაფარვითი} \\ \text{გადასახა-} \\ \text{დების} \\ \text{თანხა} \end{array}$$

ლითონური მიმოქცევის დროს ფულის რაოდენობა სტიქიურად რეგულირდებოდა განძეულობის ფუნქციით, ფულის მასა იზრდებოდა და იკვეცებოდა, თავისუფლად ეგუებოდა საქონლური წარმოების მოთხოვნებს, ფულის რაოდენობა ყოველთვის ნარჩუნდებოდა მოთხოვნის დონეზე. ეს კი განსაზღვრევდა ფულის მიმოქცევის სიმტკიცეს.

ოქროს სტანდარტის გაუქმების შემდეგ მოქმედებდა ფულად-საქალაქო მიმოქცევის კანონი, რის შესაბამისადაც ღირებულების ნიშნების რაოდენობა უტოლდებოდა ოქროს ფულის შეფასებით რაოდენობას, რომელიც საჭირო იყო მიმოქცევისათვის. ასეთი მდგომარეობის გამო ფულის სტაბილურობა შეირყა, იქმნებოდა მისი გაუფასურების შესაძლებლობა.

დღეს, ოქროს დემონეტიზაციის პირობებში ე.ი. ოქროსათვის ფულის ფუნქციების ჩამორთმევით ფულის მიმოქცევის კანონმა განიცადა მოდიფიკაცია. უკვე აღარ შეიძლება ფულის რაოდენობის შეფასება თუნდაც მიახლოებით მისი გაანგარიშებისას ოქროს საშუალებით. ის გამოვიდა მიმოქცევის სფეროდან და არ ასრულებს არა მარტო მიმოქცევის და გადახდის ფუნქციებს, არამედ ღირებულების საზომის ფუნქციასაც.

საქონლისა და მომსახურების ღირებულების საზომად იქცა ფულადი კაპიტალი, რომელიც ზომავს ღირებულებას არა ბაზარზე საქონლის ფულთან შედარებისას, არამედ წარ-

მოების პროცესში – საქონლისა საქონელზე. აღსანიშნავია, რომ დაუხურდავებელი საკრედიტო ფულის რაოდენობა უნდა განისაზღვრებოდეს ქვეყანაში არსებული მთელი ფასეულობის ღირებულებით ფულად კაპიტალზე. საკრედიტო ფულის ბატონობის პირობებში სტიქიური რეგულატორი ფულის სიდიდისა არ არსებობს. აქედან გამომდინარეობს სახელმწიფოს როლი ფულის მიმოქცევის რეგულირებაში. საკრედიტო ფულის ემისია ქვეყანაში წარმოების, განაწილების და გაცვლის პროცესში, წარმოებული საქონლის და გაწეული მომსახურების ღირებულების აღრიცხვის გარეშე აუცილებლად გამოიწვევს მათ სიჭარბეს, რაც საბოლოო ანგარიშით მიგვიყვანს ფულის ერთეულის გაუფასურებამდე. ქვეყნის ფულადი ერთეულის სტაბილურობის ძირითადი პირობაა – ფულზე მეურნეობის მოთხოვნისა და ნაღდ და უნაღდო ბრუნვაში მათ ფიქტიურ მიღებას შორის შესაბამისობა.

2.2. ფულის მიმოქცევის სტაბილიზაციის ამოცანები და ღონისძიებები

მნიშვნელოვნად იზრდება სახელმწიფოს როლი ფულის მიმოქცევის სტაბილიზაციაში უნაღდო ფულადი ბრუნვის ფართოდ გავრცელების პირობებში. ფულის ბრუნვაზე სახელმწიფოს ზემოქმედება შეიძლება გამოვლინდეს ფულის მასის რეგულირებისათვის გაწეულ ზომებში, რომლითაც ხორციელდება ფულის მასის გადიდებით გამოწვეული ნეგატიური მოვლენების თავიდან აცილება, ასევე გადახდისუნარიანი მოთხოვნის გაზრდითა და ფულადი ერთეულის მსყიდველობითი უნარის დაქვეითებით. ამასთან ერთად, სახელმწიფოს შეუძლია გაატაროს სხვადასხვა ზომა ფულადი ერთეულის გაუფასურებით უკვე გამოწვეული ნეგატიური შედეგებისას.

ფულის გაუფასურებას, მისი მსყიდველობითი უნარის ვარდნას გულისხმობს ინფლაცია, რომელსაც მივყავართ ეროვნული შემოსავლის გადანაწილებისაკენ ეკონომიკის სექტორებს, კომერციულ სტრუქტურათა, მოსახლეობის ჯგუფებს, სახელმწიფოსა და მოსახლეობას, მეურნეობის სუბიექტთა შორის.

ინფლაცია დამახასიათებელია ეკონომიკის ნებისმიერი მოდელისათვის, სადაც სახელმწიფოს შემოსავლები და ხარჯები არ ბალანსირდება, შეზღუდულია ცენტრალური ბანკის შესაძლებლობები დამოუკიდებლად განახორციელოს ფულად – საკრედიტო პოლიტიკა.

ინფლაციის გამომწვევი მიზეზები არსებობენ, როგორც მიმოქცევის სფეროში, ასევე წარმოების სფეროში და ხშირ შემთხვევაში გამომწვეულია ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობით.

ფულის მიმოქცევის ფაქტორებს მიეკუთვნება: მიმოქცევის სფეროს შევსება ჭარბი ფულადი მასით, რომელიც გამომწვეულია ზომაზე მეტი ფულის ემისიით, რომელიც გამოიყენებოდა ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად; მთავრობის მეთოდები ეროვნული ვალუტის კურსის გამაგრებისათვის, მისი მოძრაობის შეზღუდვა და ა.შ.

ინფლაციის ფულად ფაქტორებს მიეკუთვნება: ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან საზოგადოებრივ წარმოებაში სტრუქტურულ დისპროპორციებთან, სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკასთან, ასევე საგადასახადო პოლიტიკასთან, ფასების პოლიტიკასთან, შიდაეკონომიკურ მოქმედებებთან და ა.შ.

ყველაფერი ეს მეტყველებს იმაზე, რომ ინფლაცია წარმოადგენს რთულ მრავალფაქტორიან მოვლენას, რომელიც გამომწვეულია კვლავწარმოების პროცესის რღვევით, ეროვნული მეურნეობის არაპროპორციული განვითარებით, სახელმწიფოს პოლიტიკით, საემისიო და კომერციული ბანკების პოლიტიკით.

ინფლაცია შეიძლება განვითარდეს ასევე მიმოქცევაში სტაბილური ფულადი მასის შემთხვევაშიც. მაგ: საქონლისა და მოსამსახურების მოცულობის შემცირებამ მიმოქცევაში არსებული ფულის მასის პირობებში, აშშ-ში 40-იან წლებში გამოიწვია ინფლაციური პროცესი, რაც გამოწვეული იყო ფულის ბრუნვის დაჩქარებით. ეკონომიკური ეფექტით ფულის ბრუნვის დაჩქარება სხვა პირობების უცვლელობის უტოლდება მიმოქცევაში ფულის დამატებითი მასის გამოშვებას.

ინფლაციის დროს კაპიტალი წარმოების სფეროდან გადაინაცვლებს მიმოქცევის სფეროში, რადგან აქ მიმოქცევის სიჩქარე მნიშვნელოვნად მაღალია, რაც იძლევა დიდ მოგებას, მაგრამ ამავდროულად აძლიერებს ინფლაციის ტენდენციებს.

აქედან გამომდინარე, ინფლაციის ფაქტორები მოქმედებენ როგორც საქონლის წარმოებაში, ისე რეალიზაციაში, ასევე ფულადი მასის და მიმოქცევის სიჩქარის ცვლილებისას.

საბაზრო ეკონომიკის დროს მაკროეკონომიკური პროპორციების ბალანსირების დროებით რღვევა გადაილახება საბაზრო მექანიზმით ფასების, ფულადი და სასაქონლო რესურსების გადანაწილების, ცენტრალური ბანკისა და სახელმწიფოს მოხერხებული პოლიტიკის საშუალებით.

თანამედროვე პირობებში ინფლაცია მთელს მსოფლიოში ატარებს ქრონიკულ, ყოვლისმომცველ ხასიათს, რომელიც გამოწვეულია არა მარტო ფულადი, არამედ არაფულადი ფაქტორებით, ხშირად პოლიტიკურით. ინფლაციის სრული აღკვეთა მეურნეობის საბაზრო პირობებშიც შეუძლებელია, ლაპარაკი, შეიძლება იყოს მხოლოდ მართვად ინფლაციაზე.

ფასები, რომელიც სახელმწიფოს მიერ რეგულირდება, ხანგრძლივი დროით შეიძლება დარჩნენ უცვლელნი, რადგანაც ისინი არ არიან თავისუფალი გაყიდვაში. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, წარმოიშობა ოფიციალური და არაოფიციალური ნორმირება, ძლიერდება განაწილებითი ურთიერ-

თობები, მეურნეობაში წარმოიშობა ახალი ბაზრები, სადაც საქონელთა რეალიზაცია მიმდინარეობს მაღალ ფასებში.

ასეთ იფლაციას ეწოდება „დათრგუნული“, ფარული, განსხვავებული ღია ინფლაციისაგან, რომელიც ოფიციალურად რეგისტრირდება სტატისტიკური სამსახურების საშუალებით. ფარული ინფლაცია გამოვლინდება იმაშიც, რომ ადრინდელ თანხაში შეიძლება დაბალი ხარისხისა და ნაკლები რაოდენობის პროდუქციის შეძენა. სახალხო მეურნეობაში წარმოების ხარჯების გაზრდითა და სტაბილური ფასების შენარჩუნებით ქვეითდება რენტაბელობა, იზრდება სახელმწიფო დოტაციები.

„დათრგუნული“ ინფლაცია შეიძლება არსებობდეს საბაზრო ურთიერთობის პირობებშიც. მთავრობა ცდილობს ზეწოლა მოახდინოს ინფლაციაზე არა წარმოების განვითარების გზით, არამედ კუმშავს ფულის მასას და აფიქსირებს დოლარის კურსს ასეთ შემთხვევაში ინფლაცია გამოვლინდება უზარმაზარ გადაუხდელობებში, (непосреджках) მეურნეობრივი ურთიერთობის ნატურალიზაციაში, წარმოების დაცემაში.

ინფლაცია, როგორც წესი, იზომება ფასების ზრდით, მაგრამ ფასების ყოველი გადიდება არ არის დაკავშირებული ინფლაციასთან. სასაქონლო ფასების მატება შეიძლება მოხდეს ვალუტის მიმოქცევის პირობებში, ასევე ეკონომიკის გამოცოცხლებისა და ზრდის პირობებში, როცა ფასების ზრდასთან ერთად იზრდება შემოსავალი.

ინფლაციის დროს სხვადასხვა ჯგუფის საქონელზე ფასები არათანაბრად იზრდება, რის შედეგადაც იცვლება ფასების სტრუქტურა და ეროვნული შემოსავალი გადანაწილდება არა მარტო კვლავწარმოების სფეროში და ეროვნული მეურნეობის დარგებში, არამედ მოსახლეობის ჯგუფებს შორის. ინფლაციის პროცესში ბაზარზე დამატებითი ფულადი რესურსების გამოჩენისას საქონელზე ფასები სხვადასხვაგვარად და სხვადასხვა სიჩქარით მატულობს ზედმეტი ფუ-

ლის არსებობის პირობებში, პირველ რიგში, ფასები იზრდება პირველადი აუცილებლობის საქონელზე, ხოლო შემდეგ ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე და განსაკუთრებით უძრავ ქონებაზე. ინფლაციის პირობებში არ არის აუცილებელი გაიზარდოს ყველა ფასი. ინფლაციის სწრაფი ზრდის პირობებშიც კი ზოგიერთი ფასი, შეიძლება დარჩეს სტაბილური, ზოგი კი შემცირდება კიდევ. მაგ: აშშ-ში 1970-1980 წლებში, როცა დაფიქსირებული იყო ინფლაციის მაღალი დონე, ფასები ისეთ საქონელზე, როგორიცაა — ვიდეომაგნიტოფონები, ციფრული საათები და პერსონალური კომპიუტერები ფაქტიურად დაეცა.¹³

დასავლეთის ეკონომისტები ინფლაციას, როგორც წესი, განიხილავენ ფასების ზრდის ფაქტორების ანალიზით, რომლებიც დაკავშირებულია სამომხმარებლო მოთხოვნის ფორმირებასთან, საქონლისა და მომსახურების მიწოდებასთან, მიწოდების და მოთხოვნის ფორმირებასთან; ზემოქმედებენ ფასების ფორმირებაზე და წარმოების ფაქტორებზე. ეს ფაქტორები განიხილავენ ინფლაციის ორ სახეს: მოთხოვნისეულ ინფლაციას, რომელიც გამომწვეულია ჭარბი მოთხოვნით და ხარჯებისეულ ინფლაციას, რომელიც იწვევს ფასების ზრდას წარმოების ხარჯების გაზრდიდან გამომდინარე.

მოთხოვნისეული ინფლაცია ეფუძნება ფულადი მასის „გაბერვას“ და ამასთან დაკავშირებით გადახდისუნარიან მოთხოვნას ფასების მოცემული დონისას წარმოების არასაკმარისი ელასტიურობის პირობებში, რომელიც სწრაფად რეაგირებს ბაზრის მოთხოვნებზე. ერთობლივი მოთხოვნა, რომელიც აღემატება ეკონომიკის მწარმოებლურ შესაძლებლობებს, იწვევს ფასების ზრდას.

ფულადი მასის „გაბერვის“ ძირითადი მიზეზია საომარი ხარჯების ზრდა, როცა ეკონომიკა ორიენტირებულია შე-

¹³ См.: Кембели М., Стенли Б., Экономика: принципы, проблемы и политика. т. 1. – М. ``Республика``, 1992. С. 163-164

იარაღებისათვის მნიშვნელოვან ხარჯებზე და ამ მიზეზით სახელმწიფოს ეზრდება ბიუჯეტის დეფიციტი, რომელიც იფარება ემისიის ხარჯზე, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი სასაქონლო რესურსებით. პირველ ეტაპზე ქარბი ფულადი მასის დანაზოგით სტიმულირდება წარმოება და გაყიდვა; უმუშევრობის, ფასების დაცემა და, საბოლოო ჯამში, წონასწორობის დამყარება. ამიტომ კეთდება დასკვნა, რომ მინიმალური ზომებით ინფლაცია სასარგებლოა. შემდგომში, როცა მთლიანი დასაქმება ვრცელდება ეკონომიკის ყველა სფეროში და უკვე ვეღარ პასუხობს გაზრდილ მოთხოვნას, პროდუქციის დამატებითი მიწოდებით, მიმდინარეობს ფასების ზრდა. ამის შემდეგ ამოქმედდება ფაქტორები, რომლებიც იწვევენ წარმოების დაცემას, მისი ელასტიურობის დაქვეითებას და ინფლაციის გამწვავებას.

მოთხოვნისეული ინფლაციისას საგადასახადო ბრუნვაში არსებობს ფულადი საშუალებების ქარბი მასა შეზღუდულ მიწოდებასთან შედარებით, რაც იწვევს ფასების ზრდას და ფულის გაუფასურებას.

ხარჯებისეულ ინფლაციას განიხილავენ ჩვეულებრივ ფასების ზრდის პოზიციიდან, რაც გამოწვეულია წარმოების გაზრდილი ხარჯებით, პირველ ყოვლისა, შრომის ანაზღაურების ხარჯების ზრდით. საქონელზე ფასების ზრდა ამცირებს მოსახლეობის შემოსავალსა და მოითხოვს შრომის ანაზღაურების ინდექსაციას. მისი ზრდა იწვევს პროდუქციის წარმოების ხარჯების გაზრდას, მოგების შემცირებას, გამოსაშვები პროდუქციის მოცულობის შემცირებას არსებული ფასებით. მოგების შენარჩუნების სურვილი მწარმოებლებს აიძულებს გაზარდონ ფასები. წარმოიშობა ინფლაციური სპირალი: ფასების ზრდა ითხოვს ხელფასის გაზრდას, ხელფასის გაზრდა მასთან ერთად იწვევს ფასების ზრდას. ესაა „ინფლაციური სპირალის“ თეორია.

ხარჯებისეული ინფლაცია შეიძლება იმ შემთხვევაში, როცა იზრდება ხარჯებო ერთეულ პროდუქციაზე და ამას-

თან დაკავშირებით იზრდება ფასები. თუმცა შრომის ანაზღაურება წარმოადგენს ფასების მხოლოდ ერთ ელემენტს, როგორც წესი, საქონლის წარმოება ძვირდება ნედლეულის, ენერგომატარებლების, სატრანსპორტო მომსახურების ხარჯების ზრდით. მატერიალური დანახარჯების ზრდა მთელს მსოფლიოში – კანონიერი პროცესია, რომელიც დაკავშირებულია მასალებისა და ნედლეულის ტრანსპორტირების, ენერგომატარებლების გაძვირებასთან, და ეს ყოველთვის იმოქმედებს წარმოების ხარჯების ზრდაზე. საპირისპირო ფაქტორს წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, რომლებიც აქვეითებენ დანახარჯებს ერთეულ პროდუქციაზე.

შრომის ანაზღაურების ზრდა იწვევს წარმოების ხარჯების ზრდას და, შესაბამისად, ფასების ზრდასაც, თუ მიმდინარეობს მისი ერთდროული ზრდა მეურნეობის ძირითად დარგებში, რომელიც არ არის დაკავშირებული შრომის მწარმოებლურობის ზრდასთან. რეალურ ცხოვრებაში შრომის ანაზღაურება სახელმწიფოს მასშტაბით ყოველთვის მნიშვნელოვნად ჩამორჩება ფასების ზრდას და მთლიანი კომპენსაციით არასდროს ხორციელდება.

ხარჯებისეული ინფლაციისას ფულის რაოდენობა მისი მიმოქცევის სიჩქარის გათვალისწინებით აღწევს გაზრდილი ფასების დონეს, რომელიც გამოწვეულია არაფულადი ფაქტორების ზემოქმედებით წარმოების მხრიდან და საქონლის მიწოდებით. თუ ფულის მასა გაზრდილ ფასების დონესთან მიმართებაში არ ადაპტირდება სწრაფად, დაიწყება ფულის ბრუნვაში პრობლემები – საგადასახადო საშუალებების დეფიციტი, არგადახდები და მათ ფეხდაფეხ დაცემა, წარმოების შეჩერება, სასაქონლო მასის შეჩერება.

ხარჯებისეული ინფლაცია და მოთხოვნისეული ინფლაცია ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ერთმანეთით განპირობებულია. მათი დაყოფა რთულია. ეკონომიკაში ჭარბი ფულის მასა ყოველთვის წარმოშობს გაზრდილ მოთ-

ხოვნას, ინვესტს რა ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების სფეროებში ბაზრის უწონასწორობას, რომელთა რეაქციაზეც პასუხობს ფასების ზრდა. აზარალებს წარმოებასა და მოხმარებას, ახდენს მომხმარებელთა მოთხოვნის დეფორმაციას, აძლიერებს არათანაბარზომიერებასა და არაპროპორციულობას მეურნეობის სხვადასხვა სფეროების განვითარებაში, რასაც საბოლოო ჯამში, მიყვავართ ხარჯებისეულ ინფლაციამდე.

ინფლაციური პროცესების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს შიგაეკონომიკური ფაქტორები. ისინი წარმოჩნდებიან მაშინ, როცა ქვეყანა აქტიურად იყენებს იმპორტულ საქონელს. ნედლეულსა და ენერგომატარებლებზე მსოფლიო ფასების კანონიერი ზრდა ყოველთვის პროვოცირდება ხარჯების ინფლაციის ზრდით. იმპორტული ფასები არა მარტო „უბიძგებენ“ ეროვნული პროდუქტის ფასებს, არამედ ზრდიან წარმოების ხარჯებს იმპორტული კომპლექტური ნაკეთობების გამოყენებისას, რითაც ზრდიან მზა პროდუქციის ღირებულებას.

ინფლაციურ პროცესებზე განსაკუთრებით ზემოქმედებს საზღვარგარეთის სესხების, ვალუტის მოზღვავება, რადგანაც უცხოური ვალუტის შემოტანით და მათი ცენტრალური ბანკების მიერ შესყიდვით ქვეყანაში იზრდება ფულადი მასა, რაც განაპირობებს ფულის გაუფასურებას, ინფლაციის გაძლიერებას. აქ არც თუ მცირე მნიშვნელობა აქვს ფულადი პოლიტიკის ანონ-დანონას, რომელსაც ატარებს ქვეყნის ცენტრალური ბანკი სავალუტო მარაგების შექმნის ნაწილში. სავალუტო კურსის რეგულირებისა და ფორმირების მექანიზმის გამოყენებას და ამავედროულად ეკონომიკაზე მისი ინფლაციური ზემოქმედების დაქვეითებას.

მნიშვნელოვან ინფლაციურ ფაქტორად გვევლინება ეკონომიკის დოლარიზაცია, როცა დოლარი იქცევა პარალელურ ვალუტად, ასრულებს რა ფულის ფუნქციას. ფულის ბრუნვაში მყარი ვალუტის არსებობა გამოდევნის მიმოქცე-

ვიდან ეროვნულ ვალუტას და დააჩქარებს მისი კურსის დაცემას.

ინფლაცია შეიძლება გამოიწვიოს ადაპტირებულმა ინფლაციურმა მოლოდინმა, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკური არასტაბილურობის ზემოქმედებაზე, მასობრივ ინფორმაციულ საშუალებათა მოქმედებაზე, მთავრობის მიმართ ნდობის დაკარგვაზე. დიდი ინფლაციური მოლოდინის და უცხოური ვალუტის კურსის ზრდის ფონზე მოსახლეობა უპირატესობას ანიჭებს დანაზოგის უცხოური ვალუტით შენახვას.

ინფლაცია შეიძლება პროვოცირდებოდეს სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკით. ინფლაციის პირობებში ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირება მიმდინარეობს ინფლაციურ ბაზაზე. წარმოების დაცემის დროს მოგება ყალიბდება უპირველესად ფასების ზრდის ანგარიშზე და არარეალური მატერიალური ფასეულობების შექმნის ხარჯზე. თუ ბიუჯეტში ამოიღება მეურნეობის მოგების დიდი ნაწილი, მაშინ ძლიერდება გადასახადების გადახდიდან გადახრის ტენდენცია, ეცემა ინვესტიციური აქტივობის შესაძლებლობები. წარმოების მოცულობის დაცემისას გადასახადი დამატებულ ღირებულებაზე პირდაპირ ზემოქმედებს ფასების ზრდაზე.

ინფლაცია შეიძლება წარმოიშვას ქვეყანაში პოლიტიკური არასტაბილურობისას და მოსახლეობის სოციალური აქტივობისას, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკის საბაზო დარგებში გაფიცვებთან.

ინფლაცია კლასიფიცირდება ფასების ზრდის ტემპებთან დამოკიდებულებით. იგი იყოფა მცოცავ — ნელინადში ფასების ზრდა 5-დან 10 %-მდე ინფლაციად, რომელიც დამახასიათებელია განვითარებული ქვეყნებისათვის, სადაც მიმდინარეობს წლიდან წლამდე ზომიერი არც თუ ისე დიდი ფულის გაუფასურება და იგი ითვლება საბაზრო ეკონომი-

კის ნორმალური განვითარების გარდაუვალ მომენტად და განიხილება როგორც ეკონომიკური ზრდის ფაქტორი.

სწრაფი (ჭეხებითი) ინფლაცია (ფასების ზრდა 10-15%) და ჰიპერინფლაცია დამახასიათებელია, უპირატესად, განვითარებადი ქვეყნებისათვის. იგი განიხილება როგორც ნეგატიური მოვლენა, რომელიც იწვევს საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ დაძაბულობას.

ჰიპერინფლაციაში გამოყოფენ სუპერინფლაციას, რომლის დროსაც თვეში ფასები იზრდებიან 50%-ზე მაღლა, ასეთი ინფლაცია დამახასიათებელი იყო საქართველოსთვის კუპონების არსებობის პერიოდში.

ხანგრძლივობის მიხედვით ანსხვავებენ ქრონიკული ინფლაციის სტაგფლაციას, როცა ინფლაციას თან ახლავს წარმოების დაცემა, რაც ასევე ახასიათებდა თანამედროვე საქართველოს.

ინფლაციის ამ სახეებს შორის ზღვარი რა თქმა უნდა არსებობს, მაგრამ საერთო ნიშნებად გვევლინებიან ბრუნვის სიჩქარის ზრდა, ფულის მასის ერთობლივი მსყიდველობითი უნარის სწრაფი დაცემა და ფულის ბრუნვიდან არა მარტო ხურდა ფულის ასევე წვრილი ქალაღდის კუპიურების გამოსვლა.

როცა ნაღდი და უნაღდო ფულის ბრუნვის პირობებში როგორც წესი, ფუნქციონირებს საკრედიტო ფული, არსებობს რეალობა საკრედიტო სისტემის შესაძლებლობების გამოყენებისა ფულადი მასის მოცულობის შემცირებისათვის, რაც ემსახურება ფულადი ერთეულის სიმტკიცის შენარჩუნებას.

ასეთი დამოკიდებულებისას მთავარია ის, რომ ნაღდი ფულის ემისიის უფლება, ბანკის საკუთარი კაპიტალის საკმარისობის ნორმატივების დაცვა, კომერციული ბანკების სავალდებულო რეზერვების განსაზღვრა ცენტრალურ ბანკში ენიჭება თავად ცენტრალურ ბანკს, ხოლო დაკრედიტების გაფართოების შესაძლებლობა სხვადასხვა ზომებით რეგულირდება კომერციული ბანკებით.

ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში ხორციელდება საკმაოდ მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც მოწოდებულია, სხვა ამოცანებთან ერთად, ხელი შეუწყოს ფულადი ერთეულის სიმტკიცეს, მათ შორის ფულადი მასის მოცულობის შეზღუდვას.

ფულადი მასის სიდიდის შეზღუდვისკენ სწრაფვა ხშირად უკავშირდება ინფლაციის თავიდან აცილების ამოცანებს. ეს დაკავშირებულია ინფლაციის პროცესთან, რომლის მიზეზები ძირითადად დაკავშირებულია ფულის ბრუნვასთან. კერძოდ, მხედველობაში მიღებულია ის, რომ მიმოქცევაში ჭარბი ფულადი მასის არსებობა იწვევს გადახდისუნარიანი მოთხოვნის უსაფუძვლო გადიდებას, რაც ხელს უწყობს ფასების ზრდას. ამიტომ ხშირად აღნიშნავენ შემდეგ ფაქტს: ინფლაციის გადალახვის მნიშვნელოვან ხერხს წარმოადგენს ბრუნვაში ფულის მასის შემცირება.

მსგავსი ხერხი მართლაც იწვევს ფასების ზრდის შეზღუდვას და შესაბამისად ინფლაციის ტემპის შემცირებას. თუმცა ასეთ დროს წარმოიშობა ასევე ნეგატიური შედეგები: მსხვილი დავალიანების წარმოქმნა გაუცემელი ხელფასების, პენსიების და ა.შ. სახით.

ასეთი დავალიანება მოწმობს ფარულ ინფლაციაზე, როცა არ არსებობს ინფორმაცია ინფლაციის დონეზე, ასევე ახასიათებს ამ საშუალებების მიმღებთა მატერიალური მდგომარეობის გაუარესება.

ბრუნვაში ფულადი მასის ხელოვნურად შემცირებასთან ახლავს ასევე სხვა ნეგატიური შედეგები. ფულადი მასის მოცულობის შეზღუდვისას ფულის ბრუნვის მონაწილეები ეძებენ საშუალებებს ისეთი ანგარიშწორებისათვის, რომელშიც შეიძლება გამოვიდნენ ფულის ბრუნვის გარეშე. გამოიყენონ ბარტერი, თამასუქი. ანგარიშწორების ასეთი საშუალებების გამოყენება აწყდება საკმაო სირთულეებს. მაგალითად: მას მივყავართ იქამდე, რომ მხარეს, რომელსაც ძალიან სჭირდება შესაბამისი მატერიალური რესურსები, იძულებუ-

ლი ხდება დათანხმდეს განახორციელოს ოპერაციები მაღალ ფასად, რაც უარყოფითად მოქმედებს მყიდველის ქცევაზე.

ყველაფერი ეს მოწმობს შემდეგზე:

- ფულის როლის დაქვეითებაზე;
- ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე სახელმწიფოს მიზანმიმართულ კორექტირებას ფულის ბრუნვის გარეშე ანგარიშსწორების განხორციელებისას;
- პროდუქციის რეალიზაციისას ანგარიშსწორების პირობების შემსუბუქებაზე, წარმოების რამდენადმე ზრდის თანხლებით;
- გარკვეული რგოლის საანგარიშსწორებო ოპერაციების გატარებისას (ბარტერი, ჩათვლა, თამასუქი) უსაფუძვლო ფასების მატების თავიდან აცილებაზე.

იმ ზომებს შორის, რომლებიც გამოიყენება ფულადი ერთეულის სიმტკიცის შემცირების შედეგად გამოწვეული ნეგატიური მოვლენების შერბილების ან აღკვეთისათვის, ყურადღებას იქცევს სხვადასხვა ქვეყნებში პერიოდულად განხორციელებული ფულადი ერთეულის სიდიდის, მისი სახელწოდების, ასევე გატარებული ფულადი რეფორმების ცვლილებები. მსგავსი ზომები ტარდება დენომინაციის, დევალვაციის და ფულადი რეფორმების საშუალებით. თავისი შედეგებით ყველაზე რადიკალური გახლავთ ფულადი რეფორმა.

რაც შეეხება დენომინაციას, მას აქვს ნაკლები მნიშვნელობა და გულისხმობს ფულადი ერთეულის სახელწოდების შეცვლას, როგორც წესი, არსებული ფულადი ერთეულის ახალ ფულად ერთეულზე ერთგვარი დამოკიდებულების პირობებში(მაგალითად: 10:1). ასეთ ზომებს ვერ მივყავართ ფულადი სისტემის რეალურ გარდაქმნამდე და გვევლინება მხოლოდ ფულადი ერთეულის ცვლილებად, რაც ძირითადად ტექნიკურ მნიშვნელობას ატარებს, რადგანაც ამსუბუქებს და ამარტივებს ანგარიშს, მაგრამ ვერ ახერხებს მტკიცე ფულადი ერთეულის შექმნას.

ფულადი ერთეულის ცვლილებების დახასიათებისათვის გამოყენებული ტერმინოლოგია ყოველთვის ვერ აფასებს სწორად ასეთი ზომების არსს — მაგალითად, გატარებული დენომინაცია, როგორც წესი, აღნიშნავს ემიტირებული ფულადი ნიშნების ნომინალური გამოსახვის შემცირებას.

ასეთი შეფასება პრაქტიკულად მიღებულია იმ დენომინაციის დახასიათებისათვის, რომელიც გატარებული იქნა რუსეთში 1922 წელს, როცა მანეთის გამოშვებამ შეცვალა ადრე არსებული ფულადი ნიშნები, ასევე 1923 წელს, როცა თავიდან გამოშვებული ნიშნები შეესაბამებოდა 1922 წლისას, როგორც 1:100.

1961 წელს მოხდა ადრე არსებული ფულადი ერთეულის შეცვლა 10:1. მოხდა ფულის ერთეულში ოქროშემცველობის შემცირება 4,5-ჯერ. იგი არ შეიძლება ჩაითვალოს დენომინაციად, არამედ წარმოადგენდა დამოუკიდებელ ზომას, რომელსაც ჰქონდა კავშირი ძირითადად უცხო ქვეყნებთან ოპერაციების დროს.

დევალვაციის განხილვისას არსებობს მისი შინაარსის, მიზეზების სხვადასხვა განსაზღვრება. დევალვაციის ქვეშ იგულისხმებოდა ფულადი ერთეულის ღირებულების შემცირება. მაგალითად: XX საუკუნის შუა ხანებში, ლიტერატურაში მითითებული იყო, რომ დევალვაცია წარმოადგენს ფულად ერთეულში ოქროს შემცველობის შემცირებას. მაგალითად, ფრანკის დევალვაცია 1928წ. გულისხმობდა იმას, რომ მისი ოქროშემცველობა შემცირდა 5-ჯერ ომამდელთან შედარებით. ამ მაგალითში დევალვაციის არსებობა უკავშირდება არა კურსის ცვლილებას, არამედ — ფულად ერთეულში ოქროს შემცველობის ცვლილებას.

დევალვაციის ადრე არსებული დახასიათება თანამედროვე პირობებში, როცა ფულად ერთეულში ოქროშემცველობა არ ფიქსირდება და ფულადი ნიშნების გადახურდავება ოქროზე არ ხდება, შეიცვალა.

ფართოდაა გავრცელებული ისეთი დახასიათება, რომელიც დევალვაციას უკავშირებს ეროვნული ვალუტის კურსის შემცირებას, საკმაო ოქრო – ვალუტის რეზერვების სავალდებულო შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მისი კურსის სტაბილურობას.

მსგავსი განხილვის უკმარისობას წარმოადგენს ის, რომ მასში მცირედ თუ დიდად იგნორირდება ისეთი ძირითადი გარემოებები, რომლებიც ზემოქმედებენ ეროვნული ვალუტის კურსზე, როგორიცაა – შიდა და გარე ბაზრებზე ფასების დონეთა თანაფარდობა, ინფორმაციული პროცესები.

ვალუტის კურსზე გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს სავაჭრო და საგადასახდლო ბალანსის მდგომარეობა, ასევე სახელმწიფოს ზემოქმედება ფასების დონეთა ცვლილებაზე საბაჟო და საგადასახადო პოლიტიკის მეშვეობით. არ შეიძლება ასევე ისეთი ფაქტორების იგნორირება, როგორიცაა – საქონელთა ღირებულების ცვლა, რომელიც დამოკიდებულია წარმოების ხარჯების მერყეობაზე, საქონელზე მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობა, ფასების შემცირება ნავთობზე, გაზზე და სხვა საქონელზე საერთაშორისო ბაზრებზე.

აქედან გამომდინარე, დევალვაცია – ეროვნული ვალუტის კურსის ისეთი ცვლილებაა უცხოურ ვალუტასთან შედარებით, რომელსაც თან ახლავს ფულადი ერთეულის მსყიდველობითი უნარის შემცირება.

აუცილებელია გათვალისწინებული იქნას, რომ ცვლილება და, პირველ ყოვლისა, ლარის კურსის დაქვეითება გამოიწვევს შემდეგ შედეგებს: დაინტერესებას ექსპორტის გაზრდაში, რადგანაც სავალუტო ამონაგების ერთ ერთეულზე შეიძლება მივიღოთ ლარის დიდი ოდენობა; შიდა ბაზარზე ფასების ზრდას, განსაკუთრებით იმპორტირებულ საქონელზე, რაც შეიძლება აისახოს მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუარესებაზე; დაგროვილი ფასის შემცირებას; მოწყობილობებისა და სხვა დანადგარების იმპორტის პირობების გაუარესებას.

ყველაფერი ეს უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფოს გარკვეულ ზომებს ლარის კურსის დაქვეითებით გამოწვეული ნეგატიური მოვლენების ასაშორებლად, როგორც დაწესებულებათა და საწარმოთათვის, ისე მოსახლეობისათვის.

ფულადი რეფორმა წარმოადგენს ფულად სფეროში წარმოშობილი უარყოფითი მოვლენების რადიკალურად გადაჭრის ფორმას, ითვალისწინებდეს მტკიცე ფულადი ერთეულის გამოყენებაზე გადასვლას, რომელიც გამოირჩევა მსყიდველობითი ძალის სტაბილურობით, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ურთიერთობების განვითარებას, ფულის როლის ზრდას ეროვნული მეურნეობის განვითარებაში.

ფულადი რეფორმები ხორციელდება საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, რომლებიც მიმართულია ქვეყნის ფულადი სისტემის განმტკიცებისაკენ. ფულადი რეფორმის გატარებისას მიმოქცევიდან ამოიღება გაუფასურებული ქალაქის ფული, გამოიშვება ახალი, იცვლება ფულადი ერთეული, მიმდინარეობს ერთი ფულადი სისტემიდან მეორეზე გადასვლა. ყველა ამ შემთხვევაში საუბარი მიმდინარეობს ფულადი ერთეულის ცვლილებაზე, როგორც ნაღდი ფულის ბრუნვისას, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებისას.

ფულადი რეფორმის დამთავრებისას არ იქმნება გარანტიები ახალი ფულადი ერთეულის შემდგომი სიმტკიცისათვის. ფულადი რეფორმის გატარების შემდეგ აუცილებელია ერთგვარი ზომების სისტემატური განხორციელება მიღწეული შედეგების შენარჩუნებისათვის. ამაში არც თუ ისე მცირე როლს თამაშობს დასაბუთებული ფულადი – საკრედიტო პოლიტიკა, რომლის საშუალებითაც შეიძლება განხორციელდეს ფულადი სფეროს აუცილებელი რეგულირება.

ფულადი რეფორმის გატარების ისტორიული გამოცდილება და შინაარსი საშუალებას იძლევა გამოიყოს სამი ძირითადი წინაპირობა მისი წარმატებულად განხორციელებისათვის: 1) წარმოების ზრდა, რომელიც ხელს უწყობს საქონლის

მიწოდების მოცულობის ზრდას და ზღუდავს ფასების ზრდის შესაძლებლობას, რომელსაც ენიჭება უპირველესი მნიშვნელობა ფულადი ერთეულის სინტეზის შენარჩუნებისათვის; 2) ბიუჯეტის არადეფიციტურობა, რომელიც საშუალებას იძლევა გვერდი აუაროს ფულის ემისიის გამოყენებას და კრედიტის მოზიდვას ბიუჯეტის ხარჯების დაფარვისათვის, რისი საშუალებითაც ხორციელდება გადახდისუნარიანი მოთხოვნის შეზღუდვა და ფასების ზრდაზე მისი მოსალოდნელი ზემოქმედება; 3) საკმაო ოქრო – ვალუტის რეზერვის არსებობა, რომელიც საშუალებას იძლევა ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობის შენარჩუნებისა, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში გამოყენებულ იქნას ასეთი რეზერვი საქონლის შემოზიდვისათვის, გაიზარდოს მისი მიწოდება ბაზარზე.

სხვადასხვა ფულადი რეფორმების გატარებისას ჩამოთვლილი ფაქტორების მნიშვნელობები სხვადასხვაა, ოღონდ ამ ფაქტორების არსებობისას რეფორმის გატარება შეიძლება იყოს წარმატებული.

მაშასადამე, ძირითადი მიმართულებები ფულადი რეფორმის გატარების მომზადებისათვის შეიძლება იყოს წარმოების ზრდა, საბიუჯეტო დეფიციტის გაქრობა, საკმაო ოქრო – ვალუტის რეზერვის დაგროვება.

2.3. ფულადი სისტემის თანამედროვე ტიპი, მისი ორგანიზების პრინციპები და თავისებურებანი საქართველოში

სახელმწიფო კანონებით რეგულირებადი ქვეყნის ფულის მიმოქცევას ეწოდება ფულადი სისტემა. ფულადი სისტემა სხვადასხვა ქვეყანაში ისტორიულად ყალიბდება. ცნობილია ფულადი სისტემების სხვადასხვა ტიპები. მაგალითად: ლითონური ფულადი მიმოქცევის პირობებში განასხვა-

ვებენ ფულადი სისტემის ორ ტიპს: ბიმეტალიზმს და მონომეტალიზმს.

ბიმეტალიზმი ისეთი ფულადი სისტემაა, რომლის დროსაც საყოველთაო ეკვივალენტის როლი მინიჭებული აქვს ვერცხლსა და ოქროს. განასხვავებენ ბიმეტალიზმის სამ სახეობას:

- პარალელური სავალუტო სისტემა, როცა ოქროსა და ვერცხლის მონეტებს შორის თანაფარდობა სტიქიურად ბაზარზე დგინდება;

- ორმაგი სავალუტო სისტემა, როცა მათ შორის თანაფარდობას ადგენს სახელმწიფო;

- „კოჭლი“ სავალუტო სისტემა, რომლის დროსაც ოქროსა და ვერცხლის მონეტები წარმოადგენენ გადახდის კანონიერ საშუალებებს, მაგრამ არა თანაბარი პირობებით, რადგანაც ვერცხლის მონეტების ჭედვა მიმდინარეობს დახურულად, ფარულად, მაშინ როცა ოქროს მონეტების ჭედვა თავისუფალია. ამ შემთხვევაში ვერცხლის მონეტები ოქროს ნიშნებს წარმოადგენენ.

მონომეტალიზმი ისეთი ფულადი სისტემაა, რომლის დროსაც საყოველთაო ეკვივალენტის როლი მინიჭებული აქვს ერთ ლითონს და მიმოქცევაში ერთდროულად არსებობენ ღირებულების სხვა ნიშნებიც (ბანკნოტები, სახაზინო ბილეთები), რომლებიც იცვლებიან ოქროზე. განასხვავებენ სამ სხვადასხვა ოქროს მონომეტალიზმს: ოქრომონეტური სტანდარტი, ოქროზოდური სტანდარტი და ოქროდევიზური სტანდარტი.

- ოქრომონეტური სტანდარტის დროს ოქრო ასრულებს ფულის ყველა ფუნქციას, მიმოქცევაში არსებობს როგორც ოქროს მონეტა, ასევე ოქროს ნიშნები.

- ოქროზოდური სტანდარტისათვის დამახასიათებელია, ის რომ ბანკნოტები იცვლება ოქროს ზოდებში, მაგრამ მხოლოდ განსაზღვრული მისი თანხის წარდგენისას.

- დაბოლოს, ოქროდევითური სტანდარტისათვის დამახასიათებელია ის, რომ ბანკნოტები იცვლებოდა დევიზებზე – უცხოურ ვალუტაზე, რომელიც იცვლებოდა ოქროზე. ოქროდევითური სტანდარტის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მან განამტკიცა სხვადასხვა ქვეყნებს შორის სავალუტო დამოკიდებულება, და სამომავლოდ გახდა საფუძველი საერთაშორისო სავალუტო სისტემისა, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტის შეფარდებით სიმტკიცეს.

30-იანი წლებიდან მსოფლიოში ფუნქციონირებენ ისეთი ფულადი სისტემები, რომლებიც ეფუძნებიან ფულად საკრედიტო ბრუნვას. ფულადი სისტემის ევოლუცია მიდის სულ უფრო და უფრო ეკონომიური ფულადი სისტემის ჩამოყალიბებისაკენ, სადაც ფულადი ბრუნვის ხარჯები თანდათანობით მეორდება.

ყველა ფულადი სისტემისათვის, რომლებიც ემყარებიან საკრედიტო ფულადი ნიშნების ბრუნვას, დამახასიათებელია:

1. ოქროს გამოდევნა როგორც შიდა ასევე გარე ბრუნვებიდან და მათი გადაცვლა ოქროს რეზერვში (ძირითადად ბანკებში); თუმცა ოქრო ძველებურად ასრულებს განძეულობის (დაგროვების) ფუნქციას;

2. ბანკის საკრედიტო ბაზაზე ნაღდი და უნაღდო ფულადი ნიშნების გამოშვება;

3. უნაღდო ფულადი ბრუნვის განვითარება და ნაღდი ფულადი ბრუნვის შემცირება (მსოფლიო ეკონომიკაში ნაღდი და უნაღდო ბრუნვების თანაფარდობა წარმოადგენს 1:3);

4. სახელმწიფოს მხრივ ფულის ბრუნვის ფულად-საკრედიტო რეგულირების მექანიზმების შექმნა და განვითარება.

საკრედიტო ფულადი ნიშნების მიმოქცევაზე დაფუძნებული ფულადი სისტემის ორი ტიპი არსებობს. **პირველი ტიპი** დამახასიათებელია ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკური სისტემისათვის. მას ახასიათებს შემდეგი:

1. ფულადი ბრუნვის (როგორც ნაღდი ისე უნაღდო) თავმოყრა სახელმწიფო ბანკში;

2. ფულადი ბრუნვის ნაღდი და უნაღდო ბრუნვების კანონიერი გამიჯვნა. ამასთან, უნაღდო ბრუნვა, როგორც წესი, ემსახურება წარმოების საშუალებების ნაწილებს, ხოლო ნაღდი ბრუნვა – მოხმარების საგნებისა და მომსახურების განაწილებას;

3. სახელმწიფო ბანკის ანგარიშზე საწარმოების საშუალებების აუცილებელი განთავსება. საწარმოს საღაროებში დარჩენილი ნაღდი ფულის ლიმიტირება;

4. ფულის ბრუნვისა და მისი შემადგენელი ელემენტების პირდაპირი დირექტიული დაგეგმარება, როგორც საერთო სახელმწიფო დაგეგმარების სისტემის შემადგენელი ნაწილისა;

5. ფულადი სისტემის ცენტრალიზებული დირექტიული მმართველობა;

6. სამეურნეო ბრუნვაში ფულის გაშვება სახელმწიფო ეკონომიკური განვითარების გეგმის შესაბამისად;

7. ფულადი ნიშნების სასაქონლო და ოქროში უზრუნველყოფის შეფარდება სასაქონლოს პრიორიტეტით;

8. ფასების მასშტაბისა და ეროვნული ფულადი ერთეულის სავალუტო კურსის კანონით დადგენა.

ასეთი ტიპის ფულადი სისტემები არსებობდა საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მის დაშლამდე.

თანამედროვე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამოიყენება **ფულადი სისტემის მეორე ტიპი**, რომელიც ემყარება საკრედიტო ფულადი ნიშნების ბრუნვას. ეს ტიპი ახასიათებს საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებს. მისი ნიშნებია:

1. სხვადასხვა ბანკებს შორის ფულადი ბრუნვის დეცენტრალიზაცია;

2. ნაღდი ფულის ემისიას ახორციელებს სახელმწიფო ცენტრალური ბანკი, ხოლო უნაღდო ფულის ემისიას – კომერციული ბანკები;

3. სახელმწიფო ფულად-საკრედიტო რეგულირების მექანიზმის ჩამოყალიბება და განვითარება;

4. ფულადი სისტემის ცენტრალიზებული მართვა სახელმწიფო ცენტრალური ბანკის საშუალებით;

5. ფულადი ბრუნვის პროგნოზული დაგეგმარება;

6. უნაღდო და ნაღდ ფულად ბრუნვებს შორის მჭიდრო კავშირი უნაღდო ბრუნვის უპირატესობით;

7. ფულადი ნიშნების უზრუნველყოფა საბანკო სისტემის აქტივებით (ოქრო, ძვირფასი ლითონები, სასაქონლო – სანედლეულო ფასეულობები, ფასიანი ქაღალდები);

8. მიმოქცევაში ფულადი ნიშნების გამოშვება სახელმწიფოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის კონცეფციების შესაბამისად;

9. სავალუტო კურსის ბაზრის საშუალებით დადგენის სისტემა, რომელიც ეფუძნება სავალუტო „კალათას“.


როგორც სხვა ნებისმიერი სისტემა, ფულადი სისტემაც შედგება სხვადასხვა ელემენტებისაგან. თანამედროვე პირობებში ფულადი სისტემის ტრადიციულ განსაზღვრებას აუცილებლად უნდა გავცდეთ. თანამედროვე ეტაპზე ფულადი სისტემა უნდა მოიცავდეს ორ ქვესისტემას: უნაღდო ანგარიშსწორების ქვესისტემას და ნაღდი ანგარიშსწორების ქვესისტემას.¹⁴

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ერთიანი ფულადი სისტემა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად (ნახაზი 1.):

ამ სქემის მიხედვით მთავარი ელემენტი ფულადი სისტემისა გახლავთ ფულადი სისტემის ორგანიზების პრინციპები. პრინციპების ქვეშ იგულისხმება წესები, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ორგანიზებას უწევს მოცემულ ფულად სისტემას.

¹⁴ ∴ Антонов Н.Г. и Пессель М.А., Денежное обращение, кредит и банки. – М. МАО ``Финстатинформ``. 1995. С. 18-19.

განვიხილოთ საბაზრო ტიპის თანამედროვე ფულადი სისტემის ორგანიზების პრინციპები.



ნახაზი 1. საბაზრო ტიპის ფულადი სისტემის ძირითადი საფუძვლები

ფულადი სისტემის ცენტრალიზებურად მართვის პრინციპი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფულადი სისტემის მართვისათვის დამახასიათებელია, ის, რომ აქ წინა პლანზე გამოდის მართვის არაადმინისტრაციული მეთოდები (თუმცა მათაც აქვთ ადგილი), არამედ ეკონომიკური, როცა სახელმწიფო ცენტრალური ბანკის საშუალებით ბაზარზე ადგენს ისეთ პირობებს, რომლებიც აიძულებენ ბანკებს, საფინანსო ინსტრუმენტებს და სხვა იურიდიულ პირებს მიიღონ სახელმწიფოსათვის სასურველი გადაწყვეტილებები.

ფულადი ბრუნვის საპროგნოზო გეგმების პრინციპი. ეს გულისხმობს იმას, რომ როგორც ცენტრალიზებული, ისე დეცენტრალიზებული გეგმები ფულის ბრუნვისა და მისი შემადგენელი ნაწილების მზადება არა როგორც დირექტიული გეგმები, რომელთა შესრულება სავალდებულოა კონკრეტული ორგანოებისათვის, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მათ შესრულებაზე, არამედ როგორც პროგნოზები, ორიენტირები, რომლისკენაც უნდა მოისწრაფოდნენ. გამოწვევის ნაწილადგენს ისეთი ფინანსური გეგმა, როგორიცაა სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც ფულადი სისტემის ნე-

ბისმიერი ტიპის დროს რჩება დირექტიულ გეგმად, რომლის შესრულებაზე პასუხს აგებს მოცემული ქვეყნის მთავრობა და ფინანსთა სამინისტრო.

ფულადი ბრუნვის ელასტიურობის და სიმტკიცის პრინციპი. ეს პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ფულადი სისტემა ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ერთი მხრივ, არ დაუშვას ინფლაცია; მეორე მხრივ – გააფართოოს ფულის ბრუნვა, თუ იზრდება მოთხოვნა ფულად საშუალებებზე და შეამციროს ის, თუ კი მეორდება მოთხოვნა.

ზოგ შემთხვევაში (წარმოების დაცემა, ბიუჯეტის დეფიციტი და ა.შ.)

ფულის ბრუნვის სიმტკიცე შეიძლება დაირღვეს და წარმოიშვეს ამ შემთხვევაში საგადასახადო კრიზისი. ასეთი კრიზისის დაძლევა შესაძლებელია შემდეგი ზომების გატარებით — წარმოების განვითარება, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება და ა.შ.

ფულადი ემისიის საკრედიტო ხასიათის პრინციპი. ამ პრინციპის თანახმად, მიმოქცევაში ახალი ფულადი ნიშნების გაშვება შესაძლებელია მხოლოდ ბანკების მიერ საკრედიტო ოპერაციების გატარებით. სხვა წყაროებიდან, ქვეყნის ხაზინის ჩათვლით, მიმოქცევაში ფულადი ნიშნები არ უნდა გამოდიოდეს.

მიმოქცევაში გაშვებული ფულადი ნიშნების უზრუნველყოფის პრინციპი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფულადი ნიშნების უზრუნველსაყოფად გამოიყენება ბანკების სასაქონლო, სანედლეულო ფასეულობები, ოქრო და სხვა ძვირფასი ლითონები, ფასიანი ქაღალდები და ა.შ.

ცენტრალური ბანკის მთავრობაზე დაუქვემდებარებლობის პრინციპი. ეს გულისხმობს იმას, რომ ფულადი ბრუნვის სიმტკიცის შენარჩუნება, ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს ცენტრალური ბანკის პრიორიტეტს. იგი ვალდებულია სისტემატურად ჩააბაროს ანგარიში ქვეყნის პარლამენტს, რომელიც მოწოდებულია იმისკენ, რომ გა-

დაილახოს ცენტრალურ ბანკსა და მთავრობას შორის წინააღმდეგობა.

პრინციპი მთავრობისათვის ფულადი საშვალეების გადაცემისა მხოლოდ კრედიტის სახით. ცენტრალური ბანკი არ უნდა ეწეოდეს მთავრობის ფინანსირებას, არამედ ფულადი საშვალეები მას უნდა გადაეცემოდეს კრედიტის სახით შესაბამისი უზრუნველყოფით (უძრავი ქონება, სასაქონლო-სანედლეულო ფასეულობები, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, სხვა ფასიანი ქაღალდები და ა.შ.). ასეთი პრინციპით იკრძალება ფულის გამოყენება ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად, რაც თავიდან იცილებს ინფლაციური პროცესის განვითარებას.

ფულად-საკრედიტო რეგულირების ინსტრუმენტების კომპლექსური გამოყენების პრინციპი. ამ პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ცენტრალური ბანკი არ უნდა შემოიფარგლებოდეს ფულად-საკრედიტო რეგულირების ერთი რომელიმე ინსტრუმენტით ფულის ბრუნვის სიმტკიცის შენარჩუნებისათვის, არამედ უნდა იყენებდეს ამ ინსტრუმენტების კომპლექსს, წინააღმდეგ შემთხვევაში სასურველი ეფექტი არ მიიღწევა.

ფულის ბრუნვაზე ზედამხედველობის და კონტროლის პრინციპი. სახელმწიფო საბანკო, ფინანსური სისტემის, საგადასახადო ორგანოების მეშვეობით უნდა ახორციელებდეს მუდმივ კონტროლს როგორც მთელ ფულად ბრუნვაზე, ასევე მიმოქცევაში ცალკეულ ფულად ნაკადებზე.

ქვეყნის ტერიტორიაზე მხოლოდ ეროვნული ვალუტის ფუნქციონირების პრინციპი. ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ ქვეყნის შიგნით საქონელსა და მომსახურებაზე გადახდა ხორციელდებოდეს მხოლოდ ეროვნულ ვალუტაზე. ეს არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, რომ მოსახლეობას არ შეეძლოს ქვეყნის ტერიტორიაზე თავისუფლად გაცვალოს ეროვნული ვალუტა სხვა ქვეყნის ვალუტებზე, მაგრამ ამ ვალუტის გამოყენება ნებადართულია საზღვარგარეთ.

ფულადი სისტემის აგების პრინციპები აისახება ფულადი სისტემის სხვა ელემენტებში ან ერთობლიობაში და ზემოქმედებენ მათზე. განვიხილოთ ეს ელემენტები:

ფულადი ერთეულის დასახელება. ფულადი სისტემის ეს ელემენტი ისტორიულად ყალიბდება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში (მაგ. რევოლუციის დროს) სახელმწიფოს შეუძლია დაადგინოს ფულის ერთეულის ახალი სახელწოდება. მაგალითად: საქართველოში მთავრობის დადგენილებით 1994 წელს შემოღებული იქნა ეროვნული ფულადი ერთეული სახელწოდებით „ლარი“.

ფულადი ნიშნის უზრუნველყოფის წესი. სახელმწიფო კანონმდებლობით დგინდება, რომ უზრუნველყოფის მიზნით შეიძლება გამოიყენებოდეს სასაქონლო – ფულადი ფასეულობები, ოქრო და ძვირფასი ლითონები, თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა, ფასიანი ქაღალდები, სადაზღვევო პოლისები, გარანტიები მთავრობის, ბანკებისა და სხვა ორგანიზაციების და ა.შ. სხვა სახის უზრუნველყოფების გამოყენება არ უნდა იქნას დაშვებული.

საემისიო მექანიზმი. იგი წარმოადგენს მიმოქცევაში ფულის გამოშვებისა და ბრუნვიდან მათი ამოღების წესს. უნაღდო ფულის გამოშვებას ახორციელებს კომერციული ბანკები მათ მიერ შესრულებული საკრედიტო ოპერაციების პროცესში. სესხის დაფარვისას ხორციელდება ფულის ამოღება ბრუნვიდან. ნაღდი ფულის გამოშვება ხორციელდება ცენტრალური ბანკის საანგარიშო – საკასო სალაროებიდან. ნაღდი ფულის ამოღება ხდება კომერციული ბანკების მიერ ნაღდი ფულის ჩაბარებით საანგარიშო – საკასო ცენტრებში.

ფულადი მასის სტრუქტურა ბრუნვაში. იგი განიხილება ორნაირად. იგი უნაღდო და უნაღდო მასის დამოკიდებულებათა, ან ფულადი მასის მთელ მოცულობაში სხვადასხვა კუბიურების ფულად ნიშნებს შორის.

ფულის ბრუნვის საპროგნოზო გეგმირების წესი. ასეთი წესი მოიცავს ფულადი ბრუნვის საპროგნოზო გეგმე-

ბის სისტემას; ამ გეგმათა შემდგენელ ორგანოებს; მაჩვენებელთა ერთობლიობას, რომლებიც განისაზღვრებიან ამ გეგმების საშუალებით, ამოცანებს, რომლებიც ამოიხსნებიან ამ გეგმის მეშვეობით.

ფულად-საკრედიტო რეგულირების მექანიზმი. ეს მექანიზმი წარმოადგენს ფულად-საკრედიტო რეგულირების ელემენტების ერთობლიობას; ორგანოთა უფლებას და მოვალეობას, რომლებიც ახორციელებენ ფულად-საკრედიტო რეგულირებას, ფულად-საკრედიტო რეგულირების ამოცანებს და ობიექტებს.

სავალუტო კურსის დადგენის ან ვალუტის კოტირების წესი. ეს აღნიშნავს მოცემული ქვეყნის ვალუტის დამოკიდებულებას სხვა ქვეყნის ვალუტაზე. მაგ: აქედან 1 დოლ. = 1 ლ. 94 თ. ადრე ვალუტის კურსის დადგენა ხორციელდება სხვადასხვა ვალუტაში ოქროშემცველობით. ვინაიდან, თანამედროვე პერიოდში არც ერთი ქვეყნის ფულად ერთეულში არ ფიქსირდება ოქროშემცველობა, გამოიყენებენ კოტირების მეთოდს, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის მერყეობას, ასევე ამა თუ იმ ვალუტაზე მოთხოვნას სავალუტო ბაზრებზე. შედარებით პოპულარული კოტირების მეთოდი დაფუძნებულია ვალუტის „კალათაზე“, რომლის დროსაც ეროვნული ვალუტა გაუტოლდება სხვა ეროვნულ ვალუტებს, რომლებიც შედის „კალათაში“.

მეურნეობაში საკასო დისციპლინის წესი. ის ასახავს საერთო წესების ერთობლიობას, სალაროს პირველადი დოკუმენტების ფორმებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ საკუთრების ყველა ფორმის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ნაღდი ფულის ბრუნვის ორგანიზაციისას, მიმდინარე მათი სალაროების მეშვეობით. ამ წესის დაცვაზე კონტროლი ეკისრება კომერციულ ბანკებს, რომლებიც ახორციელებენ მეურნეობის საკასო მომსახურებას. თანამედროვე ფულადი სისტემები აგრძელებენ განვითარებას და ხდებიან სულ უფრო ეკონომიურნი და ეფექტურნი. სხვადასხვა ქვეყნების ფუ-

ლადი სისტემების საერთო ტენდენციას წარმოადგენს თანამედროვე გამომთვლელი, კომპიუტერული, ელექტრონული ტექნიკის ფართო დანერგვა და გამოყენება. ფულის ბრუნვის ორგანიზაციის დროს თანდათან უფრო მეტად გამოიყენება „ელექტრონული ფული“, რომელც წარმოადგენს არა მინაწერს ქაღალდზე, არამედ ელექტრონულ სიგნალებს. ეს საშუალებას იძლევა გაიზარდოს უნაღდო ბრუნვის წილი ერთობლივ ფულად მიმოქცევაში, დააჩქაროს ანგარიშები, უზრუნველყოფს ბანკებსა და საგადასახადო ორგანოებზე უკეთეს კონტროლს ფულის ბრუნვაზე, მიაღწიოს მიმოქცევის ხარჯების ეკონომიას.

რაც შეეხება საქართველოს ფულად სისტემას და მის სამართლებრივ საფუძვლებს.

ლარი წარმოადგენს გადახდის ერთადერთ კანონიერ საშუალებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

საქართველოს ეროვნული ბანკი ადგენს და არეგულირებს ლარის გაცვლის კურსს უცხოური ვალუტის მიმართ. თუ ეროვნული ბანკი არ გამოაცხადებს ლარის კურსს უცხოური ვალუტის მიმართ, მაშინ კურსი განისაზღვრება ბირჟაზე თავისუფალი მოთხოვნისა და მიწოდების საფუძველზე.

ლარი (მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული, მიმდინარე, ვადიანი და საბანკო ანგარიში) უზრუნველყოფილია ოქროს მარაგით, უცხოეთის ქვეყნების სავალუტო კრედიტებით და საქართველოს ეროვნული ბანკის სხვა აქტივებით.

საქართველოს ეროვნულ ბანკს ექსკლუზიური უფლება აქვს განახორციელოს ბანკნოტებისა და მონეტების, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე გადახდის კანონიერი საშუალებების ემისია.

ბანკნოტებისა და მონეტების ემისიის გამოყენება უშუალოდ სახელმწიფოს ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად აკრძალულია.

ეროვნული ბანკის მიერ გადახდის კანონიერი საშუალებების სახით გამოშვებულ ბანკნოტებსა და მონეტებს,

რომლებიც მიმოქცევიდან არ არის ამოღებული, შესასრულებლად იღებენ ნებისმიერი სახელმწიფო და კერძო ვალის დასაფარავად ქვეყნის ტერიტორიაზე.

საქართველოს ტერიტორიაზე გადახდის კანონიერ საშუალებად მიჩნეული ბანკნოტებისა და მონეტების ნომინალი, ნონა, გაფორმება და სხვა მახასიათებლები განისაზღვრება ქვეყნის მთავარი ბანკის – ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით.

საქართველოს ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს ბანკნოტების ბეჭდვას და მონეტების მოჭრას, მიმოქცევაში გასაშვები ბანკნოტების საიმედო შენახვას. აგრეთვე საბეჭდი ფორმების, შტამპებისა და მიმოქცევიდან ამოღებული ბანკნოტებისა და მონეტების შენახვას და აუცილებლობის შემთხვევაში, მათ განადგურებას.

ეროვნული ბანკი მიმოქცევიდან ამოიღებს და გაანადგურებს შემდგომი გამოყენებისათვის უვარგის ფულის ნიშნებს და ცვლის მათ ახლით.

ქვეყნის მთავარი ბანკი უშუალოდ აკონტროლებს ნაღდი ფულის მარაგს, ადგენს მისი ემისიის გეგმებს, ბანკნოტებით და მონეტებით უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკას.

ნებისმიერ პირს დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, თუ იგი:

- გააყალბებს გადახდის კანონიერ საშუალებად გამოყენებულ ბანკნოტას და მონეტას. უკანონოდ დაბეჭდავს ან სახეს შეუცვლის, მიუხედავად იმისა, საქართველოში ხდება ეს თუ საზღვარგერეთ, იგივე ქმედებას ჩაიდენს ნებისმიერ ვალუტაში დენომონირებული ჩეკის, ფასიანი ქაღალდის, ან საგადასახდელო ბარათის სახით;

- ფლობს, გადაზიდავს, ან გამოუშვებს ისეთ ბანკნოტებს, მონეტებს, ჩეკებს, ფასიან ქაღალდებს ან საგადასახდელო ბარათებს, იცის რა მათი გაყალბების, უკანონო ბეჭდვის, ფალსიფიკაციის, ან ამოშლის შესახებ;

— ამზადებს, ფლობს ან გადაზიდავს ნებისმიერი სახის საბეჭდო ფორმებს, მატრიცებს, ქაღალდს, საღებავს და სხვა საგნებს და ნივთიერებებს, იცის რა, რომ ისინი გამიზნულია ბანკოტების, მონეტების, ჩეკების, ფასიანი ქაღალდების ან საგადასახდლო ბარათების გაყალბების უკანონო ბეჭდვის, ფალსიფიკაციის ან ამონაშლისათვის.

საქართველოს ეროვნული ბანკი შეიმუშავებს და ახორციელებს საქართველოს სავალუტო პოლიტიკას. მას ეკისრება პასუხისმგებლობა: სავალუტო ბაზარზე ოპერაციების წარმოების წესებისა და დებულებების შემუშავებისათვის; ქვეყნის ტერიტორიაზე სავალუტო ოპერაციების წარმოების წესის, დებულებებისათვის; ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის უცხოური ვალუტით ოპერაციების წარმოების ლიცენზიების გაცემისა და გამოთხოვისათვის, აგრეთვე მათი საქმიანობის რეგულირებისა და კონტროლისათვის; უცხოური ვალუტით ოპერაციების მწარმოებელი ფიზიკური და იურიდიული არსებისათვის სავალუტო პოზიციის ლიმიტების დაწესებისათვის; ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების ფორმის, შენახვისათვისა და მართვისათვის.

თავი 3. ფულის მიმოქცევის რეგულირება და მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში

3.1. ფულად-საკრედიტო ურთიერთობების პრობლემები და საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლი მათ გადაწყვეტაში

ფული მიმოიქცევა ფულზე მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისად, რომლის რეგულირების ფუნქცია ძირითადად ცენტრალურ ბანკს აკისრია. საქართველოს ეროვნული ბანკი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოებისაგან „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში. ფულის მიმოქცევის რეგულირებისას იგი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად შემუშავებული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებით.

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისშივე საქართველოს ფაქტობრივად არ გააჩნდა საკუთარი ფულად-საკრედიტო სისტემა და არც პოლიტიკა. ამიტომ ახალ, არაორდინალურ პირობებში მათი ჩამოყალიბება განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამოცანად დგებოდა.

ქვეყნის სამეურნეო ურთიერთობათა საფინანსო და ფულად-საკრედიტო რეგულირების პრაქტიკას ბევრი პრობლემა გააჩნია ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკის რაციონალური შეთანხმების საკითხებში, რომლებიც გარეგნულად გამოდიან, როგორც ორგანიზაციული საკითხები, მაგრამ ფაქტობრივად ისინი ფუნდამენტური ხასიათისაა, რომელნიც განსაზღვრავენ არა მარტო სტრატეგიას,

არამედ თვით საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობათა შინა-
არსს.

ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემის სრულყოფის
საკითხები შეიძლება კომპლექსურად გადაწყდეს იმის გათ-
ვალისწინებით, თუ როგორი გვინდა იყოს თვით საფინანსო
სისტემა და საკრედიტო, საბიუჯეტო, საგადასახადო, თვი-
თანაზღაურებისა და ფულადი რესურსებით სანარმოთა
მოთხოვნების დაკმაყოფილების მექანიზმი. აქვე გასათვა-
ლისწინებელია ინფლაციური პროცესების მიმდინარეობა,
რომელიც მოითხოვს ფულადი სისტემის აუცილებელ რე-
ფორმირებას.

პროფ. რ. კაკულიას და ლ. ბახტაძის აზრით, აუცილებე-
ლია განვიხილოთ ორი ჯგუფის ფაქტორების გავლენა სა-
ქართველოში ახლო წარსულში მძვინვარე ინფლაციურ პრო-
ცესებზე.¹⁵

პირველი ჯგუფის ფაქტორები გავლენას ახდენს ფუ-
ლადი მასის ავტონომიურ მოძრაობაზე და ხელს უწყობს ინ-
ფლაციური პროცესების დაჩქარებას.

მეორე ჯგუფის ფაქტორები იწვევს მიმოქცევაში ფუ-
ლის მასის გადიდებას საქონელთა და მომსახურების ფასე-
ბის ზრდის კვალობაზე.

ქვეყანაში ინფლაციურ პროცესებზე ამ ფაქტორების
ზემოქმედება, როგორც წესი, განისაზღვრება ფულად-საკ-
რედიტო სისტემის ფუნქციონირების თავისებურებებით. ეს
სისტემა ფაქტობრივად უკანასკნელ პერიოდამდე არ არსე-
ბობდა.

ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელმაც დააჩქარა
ჰიპერინფლაციის დამანგრეველი შედეგების ფორმირება,
იყო ქართული კუპონის მოუშზადებლად გაშვება მიმოქცევა-

¹⁵ კაკულია რ., ბახტაძე ლ., საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო
და საკრედიტო ურთიერთობები. თბ. გამომც. „ვერჟე“, 2007, გვ.
262-263.

ში. სახელმწიფოში არავითარი მოსამზადებელი სამუშაოები არ ჩატარებულა. მისი შემოღება არც შესაბამისი საკანონმდებლო აქტით განმტკიცებულა. ასევე ნაჩქარევად განხორციელდა ფასების ლიბერალიზაცია, რამაც საქონელთა საყოველთაო დეფიციტის პირობებში ფასების გაუგონარი ზრდა გამოიწვია.

ფულის რეფორმის და თავისუფალი ფასების მოუმზადებლად განხორციელებამ გამოიწვია ის, რომ მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი არარაობამდე დაეცა, რამაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობაში მოაქცია.

ასეთ რთულ პირობებში სახელმწიფოს მიერ ანტიინფლაციური ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა. საკითხი ეხებოდა იმას, რომ იგი დაკავშირებული იყო მთელ რიგ ეკონომიკურ და სოციალურ საშიშროებებთან, რომელიც ინფლაციას თან ახლავს. იგი წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკურ წინააღმდეგობათა მძლავრ კატალიზატორს რამდენიმე მიმართულებით:

პირველი — მეწარმეები დაინტერესებულნი არ იყვნენ თავიანთი კაპიტალის წარმოებაში დაბანდებით;

მეორე — ჰიპერინფლაციური პროცესი ინვესტა საგარეო-ეკონომიკურ და საგარეო სავალუტო ურთიერთობათა შეწყვეტას;

მესამე — ქვეყნის შიგნით მწვავედებოდა სოციალური წინააღმდეგობები.

სახელმწიფო ბიუჯეტის გიგანტურმა დეფიციტმა და დაუსაბუთებელმა, ფაქტობრივად საკრედიტო რესურსებისა და სარგებლის გარეშე, ე.წ. „ჰაერის“ სესხების გაცემამ, ქვეყანა მიიყვანა ჰიპერინფლაციამდე, რომელიც გამოიწვია ფასების ზრდამ ყველგან და ყველაფერში, განსაკუთრებით ენერგომატარებლებზე. ენერგოტევადი ეკონომიკის პირობებში შემოთავაზებულმა ენერგოდამზოგავი ეკონომიკისათვის დამახასიათებელმა ფასებმა კიდევ უფრო გააძლიე-

რა კუპონის გაუფასურება და გამოიწვია რენტაბელობის დაცემა და გადასახდელთა კრიზისი. თავის მხრივ, ფასების ზრდას ხელი შეუწყო საქონელმწარმოებელთა შორის კონკურენციის არარსებობამ, რაც საბაზრო ეკონომიკის განვითარების შემაფერხებელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. ამას ისიც დაემატა, რომ ფინანსური სიტუაციის სტაბილიზაციისათვის მკაცრი საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკის გატარების ნაცვლად ქვეყანაში ფართოდ გავრცელდა ანარქიული საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც არავითარ კანონზომიერებებს არ ემორჩილებოდა და რამაც დააჩქარა ქვეყნის ეკონომიკის მთლიანი ნგრევისა და სოციალური დაძაბულობის გამწვავების პროცესი. სერიოზული პრობლემების წინაშე დადგა ქვეყნის საბანკო სისტემა.

უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა მთელი ეროვნული მეურნეობის ფინანსური სისტემა. ამორტიზაციამ დაკარგა ინვესტიციების საიმედო წყაროს თვისებები და უძლური გახდა ხელი შეეწყო ძირითადი ფონდების თუნდაც მარტივი კვლავწარმოებისათვის, ლაპარაკი არაა გაფართოებულ კვლავწარმოებაზე.

ქვეყანაში საგადასახადო კრიზისი ანუ თავისი მასშტაბებით საგადასახადო ურთიერთობათა უპრეცედენტო მოშლა დაიწყო ფასების ლიბერალიზაციისა და არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფონზე რასაც თან დაერთო განუკითხაობა, საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების განხორციელებაში.

ფინანსური სისტემების კრიზისს ხელი შეუწყო ცენტრისა და რეგიონის ურთიერთობაში დომინირებულმა განუკითხაობამ, როდესაც რეგიონების ერთი ნაწილი აღრიცხვა-ანგარიშგებათა მოუწესრიგებლობით ფაქტობრივად მონაწილეობას არ ღებულობდა სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირებაში.

ყოველივე ამის შედეგად მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ფაქტიური ფასებით, შესაბამისად, 1995 წელს

1990 წელთან შედარებით 30,3%, ხოლო ეროვნული შემოსავლის — 29,2%-ს შეადგენდა.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ეროვნული შემოსავლის სტრუქტურამ. თუ 1980 წელს მრეწველობასა და მშენებლობაში იწარმოებოდა ქვეყნის მთელი ეროვნული შემოსავლის (მიმდინარე ფასებში) 50,2%, იგი 1995 წლისათვის შემცირდა 41,9%-მდე. მაშინ, როდესაც სოფლის მეურნეობაში, შესაბამისად 30,2% დან 47.0%-მდე გაიზარდა. თუ ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპი (მუდმივ ფასებში) 1988 წელს 5.8%-ს შეადგენდა, 1995 წელს ზრდის ნაცვლად შემცირებით ხასიათდებოდა და დაცემის ტემპმა 41.5%-ს მიაღწია. ანალოგიურად 1994 წელს 1993 წელთან შედარებით წარმოებული ეროვნული შემოსავლის დაცემის ტემპმა 31.5% შეადგინა.¹⁶

ინფლაციური პროცესის მეორე ეტაპი დაიწყო 1993 წლის ოქტომბრიდან და 1995 წლის ოქტომბრამდე გაგრძელდა. ამ ეტაპზე ფულად-საკრედიტო სფეროში შეიმჩნეოდა სტაბილიზაციის პროცესი, სახელდობრ გამოიკვეთა თვითური ინფლაციის ტემპების შემცირება, სამომხმარებლო ფასების რამდენადმე დარეგულირება, კუპონის გაცვლითი კურსის განმტკიცება. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ნაადრევი იყო გრძელვადიან პოზიტიურ ტენდენციებზე დასკვნების გაკეთება. ეს კი ბევრად იყო დამოკიდებული იმ რეალურ ფინანსურ გარემოზე, რომელიც ქვეყნის საბანკო სისტემას ექმნებოდა მომავალში.

1994 წლის ბოლოს ქვეყნის მთავრობისა და ეროვნული ბანკის ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელი გახდა კუ-

¹⁶ მონაცემები აღებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტში.

პონის გაცვლითი კურსის სტაბილიზაცია და გამოიკვეთა ჰიპერინფლაციის დაძლევის პერსპექტივა.¹⁷

1995 წელს კიდევ უფრო გაძლიერდა ქვეყნის ფინანსური სტაბილიზაციის პროცესი, რასაც მოჰყვა კუპონის მნიშვნელოვანი გამყარება და ჰიპერინფლაციის გადალახვა. შეიქმნა ოპტიმალური პირობები სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის — ლარის შემოღებისათვის.

საქართველოში ფულის რეფორმა მოკლე დროში გატარდა და უნიკალურ შემთხვევას წარმოადგენს ფულის რეფორმების გატარების მსოფლიო ისტორიაში. ეროვნული ვალუტის — ლარის შემოღება ძირითადად 1995 წლის დეკემბერში დასრულდა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის — ლარის შემოღებამდე საქართველოში დასრულდა სავალუტო შეზღუდვათა ლიბერალიზაციის ერთი ეტაპი, რომელმაც, მიუხედავად წინააღმდეგობრივი ხასიათისა, ბოლო მოუღო სახელმწიფოს სავალუტო მონოპოლიას ქვეყანაში და დაამკვიდრა საბაზრო ეკონომიკისათვის მეტნაკლებად ადეკვატური სავალუტო რეგულირებისა და კონტროლის სისტემა თავისი საკანონმდებლო ბაზითა და ინსტიტუციური მოწყობით.¹⁸

საქართველოში ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა სრულყოფის მიზნით საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელშეწყობით დარეკომენდაციით შემუშავებული იქნა წლების მიხედვით მოქმედების კომპლექსური გეგმა. ჩამოყალიბებული იყო საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის პროგრამის ძირითადი მიზნები: ჰიპე-

¹⁷ კაკულია რ., ბახტაძე ლ., საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობები. თბ. გამომც. „ვერჟე“, 2007, გვ. 264-265.

¹⁸ კაკულია მ., სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში. თბ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. 2001, გვ. 69.

რინფლაციის დაძლევა, კუპონის კურსის სტაბილიზაცია, ფასების ლიბერალიზაცია, ბიუჯეტის საკანონმდებლო ორგანოებში მიღება და დამტკიცება; ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრება და კრედიტორებთან ურთიერთობათა ნორმალიზაცია. შემდგომში პროგრამა დაკონკრეტდა შემდეგნაირად:

1. ინფლაციის შემცირება 1%-მდე;
2. ფისკალური დეფიციტის შემცირება;
3. ფულადი რეფორმის განხორციელება;
4. საერთაშორისო რეზერვების გადიდება;
5. პრივატიზაციის პროცესის დაჩქარება;
6. კრედიტორებთან მოლაპარაკებების დასრულება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისაგან 1996 წლის 28 თებერვალს საქართველომ მიიღო 83,25 მილიონი აშშ დოლარის პირველი ტრანში.

1996 წლის პროგრამის მიზნები და შედეგები ასეთი სახით ჩამოყალიბდა:

1. ეკონომიკური ზრდის დაჩქარება;
2. წლიური ინფლაციის წლიური 15-20%-ის ფარგლებში მოქცევა;
3. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მშპ-ის 7.1%-მდე დაყვანა;
4. საერთაშორისო რეზერვების 2,7-ჯერ იმპორტით გადაფარვა;
5. სახელმწიფო შემოსავლების მშპ-ის 6.7%-მდე გაზრდა;
6. პრივატიზაციის ფორმირებული ტემპებით გაგრძელება;
7. ახალი საკანონმდებლო დოკუმენტების მიღება.

საქართველომ მეორე ტრანში 76 მილიონი აშშ დოლარის მოცულობით 1997 წლის 27 მარტს მიიღო.

სსფ-ის 1997 წლის მიზნები დაშედეგები ასეთი სახით იყო წარმოდგენილი:

1. ეკონომიკური ზრდის შემდგომი დაჩქარება (წლიური 8-10%);
2. წლიური ინფლაციის 10-12%-მდე შემცირება;
3. ფისკალური დეფიციტის შემდგომი შემცირება;
4. ენერგეტიკის სტრუქტურების რესტრუქტურისაცია;
5. სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და პროცესის დაჩქარება.

საქართველომ სსფ-სგან მესამე ტრანში (80 მილიონი აშშ დოლარი) მიიღო 1998 წლის 28 ივნისს. ამასთან, სსფ-მა 1998 წელს საქართველოს დაუსახა:

1. ეკონომიკური ზრდის მიღწეული ტემპების შენარჩუნება;
2. ინფლაციის წლიურ 10%-მდე დაყვანა;
3. ფისკალური დეფიციტის შემცირება;
4. ენერგეტიკის რესტრუქტურისაციის დასრულება;
5. სასოფლო-სამეურნეო და ურბანული მიწების პრივატიზაციის გაგრძელება;
6. მსხვილ საწარმოთა პრივატიზაციის დაჩქარება;
7. ფინანსური დასავალუტო კრიზისის აღმოფხვრა;

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად, 1999 წელს შეიმუშავა სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი დაფინანსების მექანიზმი, რომლის მიზანია 1999 წელს ხანგრძლივი დახმარების გაწევა უფრო ღრმა და გაჭიანურებული სტრუქტურული პრობლემების მოგვარებისა და სიღარიბის დაძლევისაკენ მიმართული მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევაში.

საჭირო გახდა სიღარიბის დაძლევის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მოიცავს მიკროეკონომიკურ, სტრუქტურულ და სიღარიბის დაძლევის პოლიტიკას.

სწორედ ამ პრობლემის დასაძლევად 2001 წლის 12 იანვარს დამტკიცდა სსფ-ის პირველი 3 წლიანი პროგრამა 141

მილიონი აშშ დოლარის დაფინანსებით. ეს პროგრამა სამი წლის მანძილზე ითვალისწინებდა:

1. ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას (1.8%-ის ნაცვლად 3.5%-ის მიღწევას);
2. წლიური ინფლაციის 6%-ის დონეზე დაყვანას;
3. ფისკალური დეფიციტის შემცირებას;
4. ანტიკორუფციული პროგრამის ამოქმედებას;
5. სახელფასო და საპენსიო დავალიანებების შემცირებას;
6. სოციალურ სექტორში რეფორმების დაწყებას, სოციალური დახმარების სისტემის სიღარიბის შემსუბუქებაზე ორიენტირებას.

სსფ-მა, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, 2004 წლის ივნისს დამტკიცდა მეორე 3-წლიანი პროგრამა 141.6 მილიონი აშშ დოლარის მოცულობით, სადაც 2004-2006 წლებისათვის გათვალისწინებული იქნა:

1. ეკონომიკური ზრდის შემდგომში დაჩქარება (6%-იანი წლიური ზრდა);
2. წლიური ინფლაციის 5-6%-მდე დაყვანა;
3. ფისკალური დისციპლინის შემდგომი განმტკიცება;
4. ხელფასებისა და პენსიების დავალიანებათა სრული დაფარვა;
5. ძირითადი სოციალური ხარჯების გაზრდა;
6. რეფორმების მხარდაჭერა ენერგეტიკულ სექტორში;
7. საერთაშორისო რეზერვების გაზრდა (1.5 თვის იმპორტის მოცულობით);
8. ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანი კოორდინაცია;

საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოს უწევდა და უწევს ტექნიკურ დახმარებას შემდეგ ძირითად მიმართულებებში:

1. მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში;

2. ეროვნული ბანკის ფუნქციონირებისა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გაუმჯობესებაში;
3. საბანკო ზედამხედველობისა და ფინანსური სექტორის რეგულირებაში;
4. საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკაში;
5. მაკროეკონომიკური სტატისტიკის სრულყოფაში

3.2. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და მისი როლი ფულის მიმოქცევის რეგულირებაში

როგორც ყველა ქვეყანაში, საქართველოშიც ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. ამ პოლიტიკის ძირითადი მიზანია მაკროეკონომიკისადმი დახმარება წარმოების საერთო დონის აცილებად, რომელიც ხასიათდება სრული დასაქმებითა და ინფლაციის მინიმალური დონით. „საკრედიტო-ფულადი“ პოლიტიკა მდგომარეობს ფულის მიწოდების რეგულირებაში, ეკონომიკური ზრდის დასაქმებისა და ფასების დონის სტაბილიზაციის მიზნით. უფრო კონკრეტულად, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა დაქვეითების ფაზაში იწვევს ფულის მიწოდების გადიდებას დანახარჯების წასახალისებლად, ხოლო ინფლაციის დროს, პირიქით, ზღუდავს ფულის მიწოდებას დანახარჯების შესაკვცადად.¹⁹

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ობიექტია ქვეყანაში ფულადი მიმოქცევის რეგულირება. მიმოქცევაში ფულადი მასის დინამიკა სერიოზულ ზემოქმედებას ახდენს ინფლაციურ პროცესებზე, ეროვნულ მეურნეობაზე, საგარეო-ეკონომიკურ კავშირებზე და ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მთელ პროცესებზე.

¹⁹ კემპბელი რ. მაკკონელი. სტენლი ლ. ბრიუ. ეკონომიკსი. თბ. „საქპროფგამი“. 1993. ნაწ. II. გვ. 267-268

საქართველოში არ არსებობს ფულის მიმოქცევის რეგულირების გზების შესწავლის ტრადიციები, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებშია. ამიტომ ამ ნაწილში აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული მათი დიდი გამოცდილება, როგორც თეორიული, ასე პრაქტიკული. ეს სფერო მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

1. ფულის რაოდენობის განსაზღვრისას ქვეყნის ეკონომიკური და ინსტიტუციური თავისებურებების გათვალისწინებას;

2. განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებთან მიმართებაში ფულის მიწოდებისა და მოთხოვნის მსგავსება-განსხვავების გამოვლენას;

3. ქვეყნის ცენტრალური ბანკის მხრივ ფულის მასის მიმოქცევის კონტროლის შესაძლებლობის გარკვევას;

4. მას თუ ეს შეუძლია, მაშინ ფულის მიმოქცევაზე და ქვეყნის ეკონომიკურ ეფექტიანობაზე ზემოქმედებისათვის საჭირო ინსტრუმენტებსაც განსაზღვრავს.

სამ ათეულ წელზე მეტია, რაც თანამედროვე ეკონომისტების შესწავლის ობიექტია იმ ფულის მასის განსაზღვრა, რომლითაც ამა თუ იმ ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს შეუძლიათ განახორციელონ მაკროეკონომიკური პოლიტიკა.

ცენტრალური ბანკებისათვის მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აკონტროლოს ისეთი ფულადი აგრეგატი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ეკონომიკურ აქტივობასთან დაკავშირებით ფულზე შედარებით სტაბილური მოთხოვნა. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ პროცენტის მომტანი ბევრი ფულადი აქტივი ფულის სუბსტიტუტებს (შემცვლელებს) უახლოვდება – ნაღდი ფულის მასა პლიუს მოთხოვნამდე დეპოზიტები (M_1). აუცილებლობის შემთხვევაში ისინი (M_1) შეიძლება კონვერტირებადი იქნეს რისკის განევის გარეშე ნაკლები დანახარჯებით. მაგალითად, თუ მოთხოვნამდე დეპოზიტები ადვილად შეიცვლება შემნახველი დეპოზიტებით, მათი შეფარდებით შემოსავლიანო-

ბა, თუნდაც უმნიშვნელოდ მაინც გამოიწვევს დიდ ძვრებს მათსავე შეფარდებით მოცულობებში. ასეთ შემთხვევაში მოთხოვნამდე დეპოზიტებზე მოთხოვნა პლუს შემნახველი დეპოზიტები უფრო სტაბილურია (ე.ი. რეალურ შემოსავალთან უფრო მუდმივად არის დაკავშირებული), ვიდრე მოთხოვნა თითოეული ამ დეპოზიტებზე ცალ-ცალკე და ფულის ოპტიმალურად განსაზღვრისათვის გამოიყენება უფრო ფართო ფულადი აგრეგატი (M_2 ან შეიძლება 3).

მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ეკონომისტთა (ჯ. კონლიკსი, დ. ვილიანუევი, ნ.არიი და სხვ.) ძალისხმევით დადგინდა, რომ ნომინალურ ფულად მასასა და მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის (ფული, მთლიანი შიდა პროდუქტი, საგადასახდელო ბალანსი) შეფარდება დამოკიდებულია ქვეყნის შიგნით ეკონომიკაში ფულის მოთხოვნაზე. სწორედ ცენტრალური ბანკის უნარი, მოახდინოს ამ მოთხოვნის პროგნოზირება ეფექტიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ფულზე მოთხოვნა როგორც განვითარებად ისე განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, დროის ფაქტორის გათვალისწინებით სტაბილურია, ე.ი. შეიძლება მისი წინასწარ განსაზღვრა, განჭვრეტა. ეს დასკვნა ფულადი პოლიტიკის გატარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია, იგი ცენტრალურ ბანკს შესაძლებლობას აძლევს მთელი ძალისხმევა მიმართოს იმ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ფულის მიწოდებაზე.

ფულის მიწოდება წარმოადგენს რთული შედეგის მომცემ სიდიდეს, რომლის ჩამოყალიბება დამოკიდებულია კომერციული ბანკების, არასაფინანსო სექტორის (მთავრობა, კორპორაციები, მოსახლეობა), ფინანსთა სამინისტროს, გარე სამყაროს ქცევებზე, აგრეთვე ცენტრალური ბანკის მოქმედებაზე.

საქართველოში, ფულის მიმოქცევის რეგულირებაში უპირატესად უარყოფით როლს ასრულებს ცენტრალური

ბანკის მიერ კრედიტის მეშვეობით ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება. მოსახლეობა და იურიდიული პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ იმაში, რომ რა პრობლემებიც არ უნდა დადგეს აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე, ქვეყნის ცენტრალური ბანკი არ მიმართავს ემისიას, როგორც მათი გადანყვეტის გზას. დღეს საქართველოში მთავრობის დაკრედიტება ძირითადად ქვეყნის საგარეო ვალდებულებების მომსახურებას ხმარდება, რაც უზრუნველყოფს მის არაინფლაციურ ხასიათს.

ფულის მიმოქცევის რეგულირების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ცენტრალური ბანკის წმინდა უცხოური აქტივები. ამ კომპონენტის ძირითად ბაზად შეიძლება ჩაითვალოს ის ქვეყანა, რომელსაც გააჩნია სავალუტო სააგენტოს ტიპის ცენტრალური საბანკო დაწესებულება ან უცხოური ვალუტა, რომელიც მათ იყენებს მიმოქცევისა და გადახდის კანონიერ საშუალებად. ორივე შემთხვევაში მოსახლეობის ხელთ არსებული ნაღდი ფულის მასა ყოველთვის ქვეყნის სავალუტო აქტივების ჯამის ტოლია. ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს იმას, რომ ქვეყანაში არსებული ფულადი მასა მთლიანად დამოკიდებულია საგადასახადო ბალანსზე.

ფულის მიმოქცევის რეგულირებისას უნდა აღინიშნოს ასევე ცენტრალური ბანკების მიერ კომერციულ ბანკებზე გაცემული სესხები.

ერთ-ერთ სპეციფიკურ ელემენტს წარმოადგენს და გათვალისწინებული უნდა იქნეს ფულის მიმოქცევის რეგულირებაში ცენტრალური ბანკის მიერ კერძო არასაბანკო სექტორის დაკრედიტება.

ფულის მიმოქცევის რეგულირებისას ორი უმნიშვნელოვანესი ელემენტი ძნელად ექვემდებარება ცენტრალური ბანკის კონტროლს. ამ უკანასკნელის მიერ მთავრობის დაკრედიტებაზე ფულად-საკრედიტო დაწესებულებათა ხელმძღვანელობის მხრივ ზეგავლენის მოხდენა, ცნობილი მიზეზების გამო, ნაკლებად რეალურია.

ზემოჩამოთვლილი სირთულეების მიუხედავად, საქართველოს ეროვნულ ბანკს შესაბამისი ინსტრუმენტების არსებობისას შეუძლია კომერციულ ბანკებზე გაცემული კრედიტის მანიპულირებით კომპენსირება გაუწიოს ფულის მასაზე როგორც საგადასახდელო ბალანსის, ისე ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის პოზიციებიდან არაკონტროლირებადი დაარასასურველი ფაქტორების ზემოქმედებას, მაგრამ ე.მ.დ. რ.კაკულიასა და ე.მ.დ. ლ. ბახტაძის აზრით, რომელსაც მეც ვიზიარებ „აქ პრობლემა ერთშია, საქართველოს ფულადი პოლიტიკის ინსტრუმენტების ეფექტიანობა შეიძლება შეზღუდული იყოს, პირველ რიგში, ამაზე გავლენას ახდენს საფინანსო-საკრედიტო სტრუქტურების არასაკმარისი განვითარება და ეკონომიკური დუალიზმი, რომლებიც განვითარებადი ქვეყნების თანდაყოლილი მანკია, როგორც წესი, ფულადი მასის 50-75% ინახება ნალდი ფულის ფორმით, რაც ასუსტებს საბანკო კრედიტის მიკროეკონომიკურ როლს. საბანკო სისტემის ფუნქციები თანამედროვე მრეწველობისა და ვაჭრობის კრედიტით მოთხოვნების დაკმაყოფილებით არის შეზღუდული, მაშინ როდესაც დანარჩენი სამეურნეო ერთეულები სარგებლობენ არაორგანიზებული ბაზრის ფულადი რესურსებით. ცენტრალური ბანკის მხრივ კომერციული ბანკების კონტროლის გაძლიერება და კრედიტზე მოთხოვნის დაკმაყოფილების გართულება დიდ ეფექტს არ იძლევა იმ უბრალო ჭეშმარიტების გამო, რომ არაორგანიზებულ ბაზარზე მას ზემოქმედების რაიმე ხელშესახები მექანიზმი არ გააჩნია.²⁰

განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, ყურადსაღებია საქართველოში ფულის მიმოქცევის რეგულირების შემდეგი გზები:

²⁰ კაკულია რ. ბახტაძე ლ. საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობები. თბ. გამომც. „ვერჟე“ 2007. გვ. 256

საბანკო დაკრედიტების პირდაპირი ლიმიტები ან მისი მატების ტემპების შეზღუდვა. იგი კომერციულ ბანკებს აიძულებს მოზიდული დეპოზიტების გარკვეული ნაწილი დაიტოვოს ე.წ. „უმოქმედო“ რეზერვად, რომელიც სხვა შემთხვევაში გამოყენებული იქნებოდა ლიმიტის ზევით სესხების გასაღიდებლად. როცა ლიმიტი ამოიწურება, რეგულირების ამ სახსრებით შეიზღუდება მიმოქცევაში ფულის მასის ზრდა (ფულის მიწოდება) იმ დონეზე, როგორც ეს იყო 100%-იანი სარეზერვო მოთხოვნის დროს.

განვითარებადი ქვეყნების ორგანიზებულ საფინანსო ბაზრებზე საკრედიტო შეზღუდვათა გაძლიერება აიძულებს ფირმებსა და ფიზიკურ პირებს დაფინანსების უზრუნველსაყოფად სესხებისათვის მიმართონ არაორგანიზებული ბაზრის კრედიტორებს. ამიტომ საბანკო დაკრედიტების ლიმიტების გამოყენებას თან ახლავს არაორგანიზებულ ფულად საპროცენტო განაკვეთების ზრდის ტენდენცია.

წინამდებარე ინსტრუმენტის მეორე ნეგატიური მხარეა ის, რომ მისი გამოყენება მოითხოვს კაპიტალის მოძრაობის მკაცრ შეზღუდვას. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკები დაკრედიტების ლიმიტის ამოწურვის პროცესში იძულებულნი იქნებიან თავიანთი ფინანსური რესიურსების დიდი ნაწილი დეპოზიტების სახით მოაქციონ უცხოურ ბანკებში ან გასცენ სესხად უცხოელ მსესხებლებზე.

ფულის მიმოქცევის რეგულირების ერთ-ერთი გავრცელებული საშუალებაა – ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკების მიმართ სარეზერვო მოთხოვნების გამოყენება. სარეზერვო მოთხოვნების ნორმა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფულის მულტიპლიკატორის სიდიდეზე და აქედან გამომდინარე, ფულის მასის დინამიკაზე.

ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ნიშნების შედარებით ოპტიმალური შეთანაწყობა ცალკეული ქვეყნის მიმართ შეიძლება განსაზღვრული იქნეს ინდივიდუალურად კომპლექსური ანა-

ლიზის ბაზაზე ისეთი კრიტერიუმების გამოყენებით, როგორიცაა:

1. საბანკო სისტემის ლიკვიდობაზე ზემოქმედება;
2. ფულის მიმოქცევისა და ფულადი მასის სასურველ დინამიკაზე კონტროლის უზრუნველყოფა;
3. სხვადასხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებს შორის რესურსების განთავსების ეფექტიანობის ამაღლება;
4. ადმინისტრაციული ხელმძღვანელების უბრალოება;
5. ფულადი პოლიტიკის უპირატესობანი ალტერნატიულ ინსტრუმენტებთან შედარებით;

დაბოლოს, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის ორგანული ნაწილია. იგი წარმოადგენს საკრედიტო რესურსების მობილიზაციას-გამოყენების, ნაღდი ფულის მიმოქცევაში ხელისუფლების მიერ დასახული და განხორციელებულ ღონისძიებათა სისტემას.

ეროვნული ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება-განხორციელება მაშინ არის ოპტიმალური, როცა ბანკის კონტროლს არის დაქვემდებარებული ეკონომიკური სისტემის მთელი რიგი პარამეტრები – ფულის მასის მახასიათებელი მაჩვენებლის ერთობლიობა; გასაცემი სესხების მთლიანი მოცულობა; წარმოების ნომინალური და რეალური მოცულობების დონეთა ცვლილებების ტენდენცია; ფასების სხვადასხვა ინდექსის ცვლილებები, აშშ დოლარის გაცვლითი კურსი და სხვა.

ქვეყნის მიმდინარე ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს კონკრეტული და შესრულებადი მიზნების მისაღწევად. კონკრეტული მიზნები მიღწეული უნდა იქნეს ფასიანი ქაღალდების ოპერაციებით ღია ბაზარზე, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნებით და საპროცენტო განაკვეთით.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გლობალური ამოცანები მიმართული უნდა იქნეს ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის, ინფლაციისა და საგადასახდელო ბალანსის მონერეგების პროგრამების განსახორციელებლად.

ქვეყანაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელებისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ნეგატიური გვერდითი მოვლენები, რომლებიც მას თან ახლავს. როგორც ცნობილია, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფუნქციონირება შეზღუდულია და რეალურად მის განხორციელებას მთელი რიგი სირთულეები გააჩნია:

1. თუ ქვეყნის ეროვნული ბანკი მთელი სირთულით გაატარებს ძვირი ფულის პოლიტიკას, მას მოჰყვება კომერციული ბანკების რეზერვების იმ დონემდე დაწევა, რომლის იქით იწყება სესხის მოცულობის შემცირება. იაფი ფულის პოლიტიკა კი აწყდება ისეთ პრობლემას, როგორიცაა: ქვეყნის მთავარი ბანკი კომერციულ ბანკებს უზრუნველყოფს საჭირო ფულადი რეზერვებით; ე.ი. ზრდის მათ მიერ სესხების გაცემის შესაძლებლობას. მაგრამ ეს პოლიტიკა არ იძლევა იმის გარანტიას, რომ კომერციული ბანკები ნამდვილად გასცემენ სესხებს და ფულის მიწოდება გაიზრდება. ასეთი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ნაკლებად ეფექტიანია დეპრესიის პერიოდში. უფრო ნორმალური ეკონომიკური ცხოვრების დროს ფულის ჭარბი რეზერვები იწვევს დამატებითი კრედიტების გაცემის სტიმულირებას და შესაბამისად, ფულის მიწოდების გადიდებას.

2. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ის, რომ ქვეყნის ეროვნულ ბანკს არ შეუძლია გააკონტროლოს და მოახდინოს ფულის მიწოდებისა და საპროცენტო განაკვეთების ერთდროულად სტაბილიზაცია.

3. ქვეყანამ დღემდე ვერ შესძლო ფასიანი ქაღალდების სრულყოფილი მეორადი ბაზრის ფორმირება – ფუნქციონირება.

მიუხედავად ამისა, საქართველოში ეროვნული ბანკი შესამჩნევ წარმატებებს აღწევს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება-ში. მისი საქმიანობის უმთავრესი მიზანია ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობის მიღწევის გზით ინფლაციის დონის შემცირება.

საქართველოს ეროვნული ბანკი ერთადერთი სახელმწიფო სტრუქტურაა, რომელიც ყველა პარამეტრებით ასრულებს მის წინაშე მდგარ ამოცანებს. 1995 წლიდან ჩამოყალიბდა საერთაშორისო რეზერვების ზრდის, ლარის კურსის გამყარებისა და ინფლაციის ტემპების შემცირების ტენდენცია.

საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს მკაცრი ფულად –საკრედიტო პოლიტიკის გატარებას, რომელიც ემყარება მონეტარისტული პოლიტიკის ძირითადი მიზნების, ინდიკატორებისა და ინსტრუმენტების ოპტიმალური შერჩევის სტრატეგიას. ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობის და ინფლაციის დაბალი დონის შენარჩუნებისათვის, აგრეთვე ქვეყნის საბანკო სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის, ხორციელდება ისეთი მიკროეკონომიკური პარამეტრების მონიტორინგი, როგორიცაა: წმინდა საერთაშორისო რეზერვები, ეროვნული ბანკის მიერ ფისკალური დეფიციტის დაფინანსება, საბანკო სისტემის ლიკვიდობა და მიმოქცევაში არსებული ფულის მასა.

ქვემოთ მოკლედ იქნება განხილული საქართველოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი შტრიხები საქართველოს ეროვნული ბანკისა და ჩ-ის ბოლოდროინდელი გაანგარიშების საფუძველზე*

ცხრილი 1: ეროვნული ბანკის ანგარიშები (ათასი ლარი, პერიოდის ბოლოს)

	მთლიანი საერთაშორისო რეზერვები	სებ-ის მიმართ მთავრობის სასესიო დაქვლიანება	სარეზერვო ფული (M1)	ფული მიმოქცევაში	ბანკების დეპოზიტები		რეალური საკასო ნაშთების ინდექსი (დეკემბერი 1995=100)*
					სავალდებულო რეზერვები	ნაშთები საკორესპონდენტო ანგარიშებზე	
2001	333594	749415	429857	365669	53300	10888	2256
2002	442529	766681	516337	417178	72228	26930	2242
2003	407090	795572	589941	473242	81405	35293	2590
2004	705616	841414	866659	676157	92334	74022	3442
2005	857973	832849	1007368	811400	129833	66135	3891
2006	1594957	748849	1272099	929538	224559	118002	4097
Q1	883251	832849	984685	778939	139334	66412	3680
Q2	969617	832849	1067290	807495	158689	86106	3665
Q3	1094474	832849	1115394	856959	202331	52954	3877
Q4	1594957	748849	1272099	929538	224559	118002	4097
2007	2166365	776300	1781802	1310488	278253	190361	5205
Q1	1732251	748849	1157369	861359	231147	64862	3709
Q2	2038618	775300	1409355	972672	226134	210549	4117
Q3	2436902	775300	1579084	1085260	257437	236387	4505
Q4	2166365	776300	1781802	1310488	278253	193061	5205
2008							
Q1	2098730	776300	1731215	1296336	282537	152157	4978
Q2	2164035	776300	1901146	1416852	296113	188181	5386

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკისა და GEPLAC-ის განგარიშებები

შენიშვნა: *რეალური საკასო ნაშთების ინდექსი მიიღება მიმოქცევაში არსებული ფულის მაჩვენებლის შესაბამისი პერიოდის სფი-ზე.

(1995=100) გაყოფით

2008 წლის პირველ ნახევარში საქართველს ეროვნული ბანკის (სებ-ი) უცხოური ვალუტის რეზერვები უმნიშვნელოდ (0.9 პროცენტით) გაიზარდა. ამასთან, პირველი კვარტლის განმავლობაში, მის დინამიკას, წინა პერიოდების მსგავსად, ძირითადად პირდაპირი უცხოური ინვენსტიციების შემოდინება განაპირობებდა. უცხოური ვალუტის მიზიდება ბევრად აღემატებოდა მასზე მოთხოვნას. შესაბამისად,

ეროვნული ბანკი იძულებული იყო განეხორციელებინა ჭარბი ვალუტის შესყიდვა, რომლის წმინდა მოცულობამ 239 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. იმავე პერიოდში მთავრობის დაავალებით განხორციელებული არასაბაზრო კონვერსიების საფუძველზე ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვები 208 მლნ აშშ დოლარო იყო. მთლიანობაში აღნიშნული ოპერაციების შედეგად, პირველ კვარტალში ფულის მიწოდებამ 40 მლნ ლარი შეადგინა. აპრილში სებ-ის უცხოური ვალუტის რეზერვები მკვეთრად გაიზარდა (500 მლნ დოლარი), რაც მთავრობის მიერ ევროობლიგაციების სადებიუტო განთავსებამ განაპირობა. პირველი კვარტლისაგან განსხვავებით, მეორე კვარტალში სავალუტო ბაზრის კონიუნქტურა შედარებით სტაბილური იყო: სებ-ის წმინდა შესყიდვებმა მხოლოდ 68.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, იმავე პერიოდში, სამთავრობო კონვერსიების შედეგად მიმოქცევიდან 307 მლნ ლარი იქნა ამოღებული. (იხ. ცხრილი 1).²¹


საანალიზო პერიოდში, ეროვნული ბანკი ჭარბი ლიკვიდობის შემცირების მიზნით კვლავ აქტიურად იყენებდა სადეპოზიტო სერთიფიკატებს: ამ ინსტრუმენტის მეშვეობით 2008 წლის პირველ კვარტალში მიმოქცევაში 91 მლნ ლარი იქნა სტერილიზებული. კვარტლის ბოლოსთვის ბრუნვაში არსებული სადეპოზიტო სერთიფიკატების მოცულობამ 467.2 მლნ ლარი შეადგინა, თუმცა მეორე კვარტალში იგი 180.1 მლნ ლარამდე შემცირდა. ეროვნული ბანკი შეეცადა კომერციული ბანკებისათვის ამ ინსტრუმენტის მიმზიდველობა საპროცენტო განაკვეთების აწევით გაეზარდა, კერძოდ, სებ-ის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 16 აპრილის გადაწყვეტილებით 7-დღიან სადეპოზიტო სერთიფიკატებზე საპროცენტო განაკვეთი წლიურ 12, ხოლო 91-დღიან-

²¹ საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. კვარტალური მიმოხილვა. ოქტომბერი, 2008 წ., გვ. 34-40.

ზე 18 პროცენტამდე გაზარდა, თუმცა ამ ნაბიჯმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.

მთლიანობაში, ზემოაღნიშნული ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად, სარეზერვო ფულის (M 1) მაჩვენებელმა 2008 წლის ექვსი თვის მონაცემებით 6.7 პროცენტით მოიმატა, რაც ძირითადად გამოიწვია ამ აგრეგატის ისეთმა კომპონენტმა როგორიცაა ნაღდი ფული მიმოქცევაში.

ნახაზი 2: სარეზერვო ფულის (M 1) დინამიკა 2006 წლის დეკემბრიდან 2008 წლის ივნისამდე ჩათვლით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სარეზერვო ფულის (M 1) დინამიკის საანალიზო პერიოდში მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა ეროვნულ ბანკში განთავსებული მთავრობის დეპოზიტები, რომლის მოცულობა 2007 წლის დეკემბერთან შედარებით 40.2 პროცენტით გაიზარდა და 627 მლნ ლარს მიაღწია. ამასთან, მთავრობის დეპოზიტების მკვეთრ ზრდას აპრილის თვეში ჰქონ-

და ადგილი, რაც ევროობლიგაციების განთავსებით იყო გამოწვეული. ამრიგად, საანალიზო პერიოდში მთავრობის ანგარიშებზე ფულადი ნაკადების მოძრაობა ძირითადად სარეზერვო ფულის კლების მიმართულებით ახდენდა გავლენას. (იხ. ნახაზი 2).

ცხრილი 2: კომერციული ბანკების ანგარიშები (ათასი ლარი პერიოდის ბოლოს).

	კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტება	არასაბიუჯეტო სექტორის დაკრედიტების წილი (%)	წმინდა უცხოური აქტივები	დეპოზიტები		შინამეურნეობების წილი დეპოზიტებში (%)
				ეროვნულ ვალუტაში	უცხოურ ვალუტაში	
2000	430315	100.0	-12610	67094	235868	-
2001	489783	99.51	3708	54989	328606	42.5
2002	629486	98.93	25040	71478	401301	53.5
2003	785923	98.42	42456	85863	532989	60.3
2004	964917	99.97	54595	230104	665836	50.5
2005	1730466	100.00	-231480	333611	841285	54.7
2006	2704384	100.00	-516560	565143	1293932	50.2
Q1	1947469	99.99	-282241	379698	930241	54.4
Q2	2235010	99.35	-333708	525086	1048275	47.6
Q3	2536840	100.00	-418525	502672	1165163	50.7
Q4	2704384	100.00	-516560	565143	1293932	50.2
2007	4632048	100.00	-1276116	984903	1878157	45.1
Q1	3019857	100.00	-627561	606075	1330634	50.8
Q2	3534481	100.00	-782822	798938	1626138	45.4
Q3	4180243	99.99	-1090722	980738	1810423	44.9
Q4	4632048	100.00	-1276116	984903	1878157	45.1
2008						
Q1	5062390	100.00	-1394522	1143304	1799803	47.4
Q2	5585455	100.00	-1742414	1192307	1801565	49.6

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი და PLAC-ის გაანგარიშებები.

2008 წლის პირველ ნახევარში კვლავ გრძელდებოდა საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტების ზრდის

ტენდენცია. მათმა მოცულობამ ივნისის ბოლოსთვის თითქმის 3 მლრდ ლარს მიაღწია, რაც 23.5 პროცენტით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით. საგულისხმოა, რომ ექვს თვეში ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა მნიშვნელოვნად (21 პროცენტით) გაიზარდა, მაშინ როდესაც უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტები პირიქით, შემცირდა (4 პროცენტით), რაც ძირითადად ეროვნული ვალუტისადმი ნდობის განმტკიცებით შეიძლება აიხსნას. (იხ. ცხრილი 2).

აღნიშნული ტენდენცია ნათლად აისახა დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელზე, რომელიც საანალიზო პერიოდის ბოლოსთვის წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თითქმის 7 პროცენტით შემცირდა და 60.1 პროცენტი შეადგინა. ეს დეპოზიტების დოლარიზაციის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ბოლო ათი წლის განმავლობაში. აღნიშნულ პროცესს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმანაც, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში კომერციული ბანკები ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალოდ უფრო მაღალ სარგებელს იხდიდნენ (10.4 პროცენტი), ვიდრე უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე (8.5 პროცენტი).

მკვეთრი ცვლილებები განიცადა უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების სტრუქტურამ: კერძოდ, თუ 2007 წლის პირველ ნახევარში აშშ დოლარის წილი უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების საერთო მოცულობაში 87.9 პროცენტს, ხოლო ევროს წილი – 11.5 პროცენტს შეადგენდა, 2008 წლის ივნისის ბოლოსთვის აშშ დოლარის წილი 67.5 პროცენტამდე შემცირდა, ევროს წილი კი - 31.8 პროცენტამდე გაიზარდა.

ზემოაღნიშნული პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად საანალიზო პერიოდში კვლავ მაღალი დარჩა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტების წილი მოსახლეობის ანაბრების სტრუქტურაში (78.5 პროცენტი), თუმცა წი-

ნა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, იგი 8.8 პროცენტით შემცირდა. ერთი წლის მანძილზე ფიზიკური პირების ანაბრები აბსოლუტურ გამოსახულებაში 397.4 მლნ ლარით გაიზარდა და 1.5 მლრდ ლარს მიაღწია, რაც ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 340 ლარს შეადგენს.

2008 წლის პირველ ნახევარში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ეკონომიკის დაკრედიტება 58 პროცენტით გაიზარდა. ამასთან, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხის მოცულობა 2.1-ჯერ გაიზარდა, მაშინ როდესაც უცხოური ვალუტით გაცემული სესხების ზრდამ მხოლოდ 37.3 პროცენტი შეადგინა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საანალიზო პერიოდში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წინმსწრები ტემპით იზრდებოდა გრძელვადიანი სესხების მოცულობა, რომლის წილმა ეროვნული ეკონომიკის დაკრედიტების საერთო მოცულობაში პერიოდის ბოლოს თითქმის 70 პროცენტი შეადგინა.

2008 წლის პირველ ნახევარში ფართო ფულის (2) მაჩვენებელი 13.2 პროცენტით გაიზარდა, რაც ეროვნული ვალუტით სადეპოზიტო ვალდებულებების მატებასთან ერთად ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფულის მოცულობის ზრდამ განაპირობა. იმავე პერიოდში უმნიშვნელოდ – 5.1 პროცენტით მოიმატა ფართო ფულის აგრეგატის (M 3) მაჩვენებელმა. გაცილებით მაღალი იყო ფართო ფულის (M 2) და (M 3) მაჩვენებლების წლიური ზრდის ტემპები, შესაბამისად, 46.9 და 29 პროცენტი. (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3: ფულის აგრეგატები (ათასი ლარი, პერიოდის ბოლოს)

	ფული ბანკებს გარეთ (M0)	სარეზერვო ფული (M1)	ფართო ფული (M2)	ფართო ფული (M3)	ფულის მულტიპლიკატორი		ფულის ბრუნვის სიჩქარე	
					M2	M3	M2	M3
2000	315007	391737	382101	617969	0.98	1.58	19.53	11.67
2001	348850	429857	403839	732445	0.94	1.70	17.89	10.23
2002	390791	516337	462398	870222	0.91	1.70	17.78	9.54
2003	441536	589941	527559	1068850	0.91	1.83	16.23	8.07
2004	615993	866659	847169	1521573	1.01	1.81	11.58	6.48
2005	736284	1007368	1071039	1924919	1.07	1.91	10.86	6.08
2006	827357	1272099	1392849	2689887	1.09	2.11	9.90	5.12
Q1	712598	984685	1092520	2023117	1.11	2.05	12.62	6.81
Q2	733341	1067290	1258674	2307293	1.18	2.16	10.95	5.97
Q3	776625	1115394	1279668	2448024	1.15	2.19	10.77	5.63
Q4	827357	1272099	1392849	2689887	1.09	2.11	9.90	5.12
2007	1152070	1781802	2149311	4027469	1.21	2.26	7.91*	4.22*
Q1	765376	1157369	1372487	2705882	1.19	2.34	12.39*	6.28*
Q2	856423	1409355	1655771	3281910	1.17	2.33	10.27*	5.18*
Q3	956649	1579084	1937606	3748029	1.23	2.37	8.77*	4.54*
Q4	1152070	1781802	2149311	4027469	1.21	2.26	7.91*	4.22*
2008								
Q1	1132136	1731215	2276128	4075932	1.31	2.35	8.14	4.55
Q2	1239022	1901146	2432518	4234084	1.28	2.23	7.62	4.38

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შენიშვნა: *დაზუსტებული მონაცემები

ფულის მოთხოვნაზე გავლენას კვლავ ეკონომიკის რეალური სექტორის ზრდა, საბიუჯეტო სფეროში მიმდინარე პროცესები, ინფლაციისა და გაცვლითი კურსის დინამიკა, სავალუტო ნაკადების მოძრაობა და სეზონური ფაქტორები ახდენდნენ.

ცხრილი 4: ფასების ცვლილება

	სამომხმარებლო ფასების ინდექსი დეკემბერი 1995=100 (პერიოდის ბოლოს)	სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილება (% ბოლო თვე წინა პერიოდის ბოლო თვესთან შედარებით)	საბაზო ინფლაციის ცვლილება (% ბოლო თვე წინა პერიოდის ბოლო თვესთან შედარებით)*	შწარმოებულთა ფასების ინდექსი დეკემბერი 2000=100 (პერიოდის ბოლო თვე)
2000	156.7	4.6	0.9	100.0
2001	162.1	3.4	1.3	108.9
2002	170.9	5.4	0.5	111.3
2003	182.7	7.0	2.3	118.7
2004	196.5	7.5	2.2	120.1
2005	208.6	6.2	3.0	129.2
2006	226.9	8.8	1.4	145.0
Q1	211.6	1.5	0.6	133.9
Q2	220.3	4.1	0.9	145.3
Q3	221.0	0.4	-1.1	146.1
Q4	226.9	2.6	-0.6	145.0
2007	251.8	11.0	4.5	173.6
Q1	232.2	2.3	-0.4	148.8
Q2	236.2	1.7	-0.8	155.8
Q3	240.8	1.9	1.6	169.7
Q4	251.8	4.5	3.5	173.6
2008				
Q1	260.7	3.5	12.2	177.6
Q2	263.0	0.9	9.9	185.4

წყარო: საქართველს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი. საქართველოს ეროვნული ბანკი

შენიშვნა: *საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი ძირითადად არ მოიცავს ეგზოგენურ ფაქტორებს და მეტწილად ასახავს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გავლენას ფასების ცვლილებაზე. სტაბილური საბაზო ინფლაცია მიუთითებს იმაზე, რომ გატარებულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას არ გამოუწვევია სამომხმარებლო ფასების მკვეთრი ცვლილება.

2008 წლის მეორე კვარტალში წლიურმა ინფლაციამ 11.3 პროცენტი შეადგინა, რაც ერთი პროცენტით ნაკლები იყო პირველ კვარტალთან შედარებით. ინფლაციური პროცესების განვითარებაზე საანალიზო პერიოდში ყველაზე დიდი გავლენა ბენზინის და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გაზრდამ იქონია. ფასების მნიშვნელოვანი მატება გამოიწვია აგრეთვე სამომხმარებლო კალათის ისეთ ჯგუფებში, როგორიცაა სურსათი და უალკოჰოლო სასმელები, საოჯახო ნივთები, ჯანდაცვა, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები. ფასები გაიზარდა კავშირგაბმულობის სექტორშიც. იმავე პერიოდში ფასები შემცირდა ტანსაცმელზე, თამბაქოსა და ალკოჰოლურ სასმელებზე. (იხ. ცხრილი 4).

ნახაზი 3: სამომხმარებლო ფასების ინდექსისა და საბაზო ინფლაციის დინამიკა 2006 წლის იანვრიდან 2008 წლის ივნისის ჩათვლით.



წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი

ინფლაციის შედარებით მაღალ დონეს უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ძირითადად რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მსოფლიო ფასების ზრდა ისეთ საქონელზე, როგორიცაა ნავთობპროდუქტები, პურის ფქვილი, მზესუმზირის ზეთი და შაქარი. სამომხმარებლო კალათაში მათი მაღალი წილის გამო მსოფლიო ფასების ზრდა უარყოფით გავლენას ახდენდა საქართველოში ინფლაციის ტემპზე.

2008 წლის პირველ ნახევარში ქვეყანაში საშუალო ხელფასის მნიშვნელოვან ზრდას ჰქონდა ადგილი. კერძოდ, დაქირავებულთა საშუალო თვიური ხელფასი პირველ კვარტალში 57.4 პროცენტით აღემატებოდა 2007 წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს, თუმცა, იმავე პერიოდში ერთ დასაქმებულზე წარმოებული დამატებული ღირებულების ზრდამ 12.6 პროცენტი შეადგინა, რაც 3.1 პროცენტით ნაკლებია 2007 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. შრომის მწარმოებულობასთან შედარებით საშუალო ხელფასის წინმსწრები ტემპით მატებამ საანალიზო პერიოდში, მიწოდების მოთხოვნისგან საგრძნობი ჩამორჩენა გამოიწვია და შესაბამისად, ინფლაციის მაღალი ტემპებით ზრდა განაპირობა.

ინფლაციის დონის ზრდაზე გავლენას ახდენდა აგრეთვე სარეზერვო ფულის, ფართო ფულის (2) და (3) აგრეგატების მნიშვნელოვანი წლიური მატებაც, რაც აისახა კიდევ საბაზო ინფლაციის წლიური მაჩვენებლის აღმავალ დინამიკაში. 2007 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საბაზო ინფლაცია თითქმის 10 პროცენტით გაიზარდა. (იხ. ნახაზი 3).

2008 წლის პირველ კვარტალში, საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებზე (ბანკთაშორისი სასესხო განაკვეთების გაუთვალისწინებლად) რამდენადმე შემცირდა: მათი საშუალო მაჩვენებელი მარტის ბოლოსთვის 20.5 პროცენტს გაუტოლდა. ეროვნული ვალუტით სესხების საპროცენტო განაკვეთი 22.3 პროცენტი იყო, ხოლო უცხოური ვალუტით –

19.1 პროცენტი. მეორე კვარტალში ვითარება საგრძნობლად შეიცვალა. მაისიდან მოყოლებული, საბაზრო საპროცენტო განაკვეთები მატების ტენდენციას ავლენდა და ივნისის ბოლოს მათმა საშუალო მაჩვენებელმა თითქმის 22 პროცენტი შეადგინა. მათ შორის ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების განაკვეთი 22.6 პროცენტი იყო, უცხოური ვალუტით კი – 20.7 პროცენტი. (იხ. ცხრილი 5).

მსგავსი ტენდენციებით ხასიათდება საანალიზო პერიოდში სადეპოზიტო განაკვეთებიც. პირველი კვარტლის ბოლოს სადეპოზიტო განაკვეთებმა 8.5, ხოლო მეორე კვარტლის ბოლოსთვის 9.9 პროცენტი შეადგინა. ნიშანდობლივია, რომ 2008 წლის ექვსი თვის განმავლობაში კომერციული ბანკები ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე უფრო მაღალ სარგებელს იხდიდნენ, ვიდრე უცხოური ვალუტით განთავსებულზე. საშუალო შენონილმა საპროცენტო განაკვეთმა ყველა ვადიანობის დეპოზიტებზე ეროვნულ ვალუტაში 2008 წლის ივნისის ბოლოსთვის 11.4, უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე კი 8.7 პროცენტი შეადგინა. სადეპოზიტო განაკვეთების ასეთი ზრდა, ერთი მხრივ, ლიკვიდობის მწვავე დეფიციტით, მეორე მხრივ კი, ამ ფონზე ბანკებს შორის კონკურენციის გამწვავებით შეიძლება აიხსნას.

აღსანიშნავია, რომ საპროცენტო განაკვეთების საერთო დონის ზრდას ეროვნული ბანკიც უწყობდა ხელს. 2008 წლის იანვარ-ივნისში მან 3-ჯერ გაზარდა საბაზო საპროცენტო განაკვეთი ერთკვირიან სადეპოზიტო სერთიფიკატებზე, რის შედეგადაც აღნიშნული განაკვეთი 9-დან 12 პროცენტამდე გაიზარდა. ამ გადაწყვეტილებების მიზანი ინფლაციური ზეწოლის შემცირება იყო.

ცხრილი 5: საპროცენტო განაკვეთები

	ფულის ბაზრის განაკვეთი (ეროვნულ ვალუტაში)*	ფულის ბაზრის განაკვეთი (უცხოურ ვალუტაში)**	კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთები (წლიური საშუალო შეწონილი)							
			სესხებზე				დეპოზიტებზე			
			ეროვნულ ვალუტაში		უცხოურ ვალუტაში		ეროვნულ ვალუტაში		უცხოურ ვალუტაში	
			მოკლედ- ვადიანი	გრძელ- ვადიანი	მოკლედ- ვადიანი	გრძელ- ვადიანი	მოკლედ- ვადიანი	გრძელ- ვადიანი	მოკლედ- ვადიანი	გრძელ- ვადიანი
2000	-	-	22	17	30	20	11	2	11	13
2001	-	-	24	17	27	21	8	3	11	12
2002	24	16	25	16	25	20	11	12	11	12
2003	12	13	25	19	23	19	10	12	10	11
2004	8	8	27	20	22	17	8	12	9	11
2005	8	7	22	21	20	16	9	12	8	10
2006	9	11	20.5	20	18	15.7	7	13	6.3	10
Q1	7	11	20.6	20	19	15	6.3	13	6	11
Q2	8	9	20	20	19	16	7	13	6	10
Q3	9	11	20	20	18	16	7	13	6	10
Q4	13	12	21.3	19.6	18	16	7	13	7	10
2007	8.6	11.2	22	19.7	18.2	16	7.5	12	7.3	10.2
Q1	8	9	22	19	18	16	7	12	7	10
Q2	7.5	11	22.2	19.5	17.8	16.1	7.4	12.2	7.1	10.4
Q3	7.8	12	22.7	20	17.3	16	8	11.7	7.3	10
Q4	11.2	12.8	22.3	20	19	16	8.3	12.6	8	10.6
2008										
Q1	12	10.5	21	20	19.3	16	7.3	13.3	8	11
Q2	12	11	21.3	21	19.3	16	8.6	13.6	8	11


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი და GEPLAC-ის გაანგარიშებები

შენიშვნა: *ფულის ბაზრის საპროცენტო განაკვეთი ეროვნულ ვალუტაში მოიცავს ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონის საშუალებებით და აუქციონის გარეშე ბანკთაშორის ბაზარზე გაცემულ 1 წლამდე ვადიანობის სესხების გასაშუალებულ საპროცენტო განაკვეთებს

**ფულის ბაზრის განაკვეთების უცხოურ ვალუტაში მოიცავს უშუალოდ ბანკთაშორის ბაზარზე გაცემულ 1 წლამდე ვადიანობის სესხებზე გასაშუალებულ წლიურ საპროცენტო განაკვეთებს

მსოფლიო საფინანსო ბაზარზე წარმოქმნილმა ლიკვიდობის დეფიციტმა ამავე პერიოდში გაართულა ქართული ბანკების მიერ უცხოეთიდან შედარებით იაფი საკრედიტო რესურსების მოზიდვა, რაც, ინფლაციური ზენოლის ფონზე, საპროცენტო განაკვეთების ზრდის ძალზე მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა. ლიკვიდობის ნაკლებობამ აიძულა ბანკები სებ-ის ერთდღიანი კრედიტით ესარგებლათ. ეროვნული ბანკი იძულებული გახდა აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტის დღიური ლიმიტი 75-დან 150 მლნ ლარამდე აენია, მაგრამ საპროცენტო განაკვეთი 16-დან 20 პროცენტამდე გაზარდა, რამაც სესხზე სარგებლის განაკვეთის შემდგომ მატებას შეუწყო ხელი.

ნახაზი 4: წმინდა საპროცენტო მარჟის დინამიკა
2004 წლის პირველი კვარტლიდან
2008 წლის მეორე კვარტლამდე ჩათვლით.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი და LAC-ის გაანგარიშებები

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გარკვეული ცვლილება განიცადა წმინდა საპროცენტო მარჟამ. ვინაიდან, ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში გრძელვადიან დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთების მატება ჩამორჩებოდა განაკვეთების ზრდას გრძელვადიან სესხებზე, წმინდა საპროცენტო მარჟის სიდიდე ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. რაც შეეხება მოკლევადიან დეპოზიტებსა და სესხებს, აქ წმინდა საპროცენტო მარჟა უმნიშვნელო შემცირებას ავლენდა. (იხ. ნახაზი 4)

ცხრილი 6: გაცვლითი კურსები და სებ-ის წმინდა ინტერვენციები

	ნომინალური გაცვლითი კურსი (საშუალოდ პერიოდისთვის)		ბანკოტური კურსი აშშ დოლარი/ლარი (საშუალოდ პერიოდისთვის)	რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი ლექსები 1995=100 (პერიოდის ბოლოს)	სებ-ის წმინდა ინტერვენციები (ათასი აშშ დოლარი)
	აშშ დოლარი/ ლარი	ევრო/ლარი			
2000	1.9759	-	-	110.2	-71416
2001	2.0723	1.8473	2.0816	108.2	-35448
2002	2.1945	2.0714	2.3822	102.7	-40459
2003	2.1459	2.4243	2.1502	94.9	-42685
2004	1.9168	2.3814	1.9160	107.0	-182662
2005	1.8126	2.2601	1.8154	110.3	-42919
2006	1.7766	2.2293	1.7608	110.1	-341237
Q1	1.8148	2.1810	1.8131	105.3	11323
Q2	1.8033	2.2637	1.8008	111.1	-74282
Q3	1.7552	2.2373	1.7146	110.7	-47544
Q4	1.7331	2.2352	1.7150	110.1	-230734
2007	1.6705	2.2860	1.6659	110.6	-660751
Q1	1.7115	2.2420	1.7072	110.5	-143659
Q2	1.6845	2.2693	1.6791	110.7	-245870
Q3	1.6641	2.2847	1.6648	109.9	-259302
Q4	1.6218	2.3481	1.6202	110.6	-11920
2008					
Q1	1.5561	2.3282	1.5488	116.1	-239033
Q2	1.4459	2.2594	1.4427	118.2	-68625

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი და ჩ-ის გაანგარიშებები

2008 წლის პირველ ნახევარში, აშშ დოლარის მიმართ ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის დინამიკა აღმავალი

ტენდენციით ხასიათდებოდა, რაც თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე არსებული კონიუქტურით იყო განპირობებული: კაპიტალის მასიური შემოდინების შედეგად მკვეთრად მოიმატა უცხოური ვალუტის მიწოდებამ. ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის გამყარება პირველ კვარტალში 4 პროცენტი, მეორეში კი – 10.8 პროცენტი შეადგინა. (იხ. ცხრილი 6).

2008 წლის მარტში, რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის წლიურმა ზრდამ 5.1 პროცენტი, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის მატებამ 4.4 პროცენტი შეადგინა. ამასთან, რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის უფრო სწრაფი გამყარება ნომინალურთან შეადრებით, საქართველოში მის ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან შედარებით უფრო მაღალ ინფლაციაზე მიუთითებდა. მეორე კვარტალში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვნად შეამცირა ინტერვენციები სავალუტო ბირჟაზე, რაც გაცვლითი კურსის წონასწორული მნიშვნელობისკენ სწრაფვაზე მეტყველებდა.

3.3 ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოში

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებებია: 1. ინფლაციური პროცესებისა და სავალუტო კურსების რეგულირება და სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება; 2. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დამკვიდრება; 3. შრომითი მიგრაციების ფულადი გზავნილების სისტემის მოწესრიგება და დაცვა.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ინფლაციური პროცესებისა და სავალუტო კურსების რეგულირება დასამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ბოლო წლებში საქართველოში შეინიშნება ფულზე მოთხოვნის დაბალი დონე, რასაც მრავალი მიზეზი განაპირობებს.

ფულზე ერთობლივი მოთხოვნა, როგორც ცნობილია, ყალიბდება ორი კომპონენტისაგან: გარიგებისათვის ფულზე მოთხოვნა (რომელიც ძირითადად დამოკიდებულია ტრანსაქციათა მოცულობაზე) და დანაზოგების ფორმით ფულზე მოთხოვნა.

ფულზე მოთხოვნა აქტივების სახით, თავის მხრივ დამოკიდებულია შემოსავლების მოცულობაზე, პროცენტის ნომინალურ განაკვეთზე, ინფლაციის წარსულში არსებულ და მომავალში მოსალოდნელ დონეებზე და ნომინალურ გაცვლით კურსზე. ეს უკანასკნელი ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც.

შემოსავლების განსაზღვრულ დონემდე ამაღლების დროს იზრდება ფულზე მოთხოვნა, როგორც ტრანსაქციათა განხორციელებისათვის, ასევე დანაზოგების ფორმით, ვინაიდან მოსახლეობას შესაძლებლობა ეძლევა თავისი შემოსავლების მეტი ნაწილი გადაინახოს აქტივების სახით ფულად ფორმაში. სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის შემოსავლების ერთობლივი დონე ჯერჯერობით მკვეთრად დაბალია. შესაბამისად, დაბალია ფულზე მოთხოვნა აქტივების სახით. მოსახლეობის შემოსავლების ამაღლების მიზნით, აუცილებელია სათანადო ეკონომიკური ღონისძიებების გატარება ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად და ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი ტემპების მისაღწევად.

თუ პროცენტის ნომინალური განაკვეთი მაღალია, მაშინ აქტივების ფორმით ფულზე მოთხოვნა და შესაბამისად, ფულზე ერთობლივი მოთხოვნა დაბალია. აქტივების სახით

ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის შემცირებას განსაკუთრებით განაპირობებს მოსალოდნელი ინფლაციის მაღალი ტემპით გამოწვეული პროცენტის ნომინალური განაკვეთის ამაღლება. ეს იმითაა გამოწვეული, რომ როდესაც ინფლაციის მოსალოდნელი ტემპი მაღალია, მაშინ მაღალია დანაზოგების სახით ფულის შენახვის ხარჯები. საქართველოში ამ მიზეზით, ანუ მოსალოდნელი ინფლაციის მაღალი დონის შედეგად, აქტივების სახით ფულზე, კერძოდ კი ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნა დაბალია. ამ ფორმით ფულზე მოთხოვნა ძირითადად წარმოდგენილია უცხოური ვალუტის, კერძოდ კი, დოლარის სახით. ამას ადასტურებს როგორც დეპოზიტებზე განთავსებული დანაზოგების დოლარიზაციის მაღალი კოეფიციენტი, აგრეთვე ისიც, რომ ჩვენთან უძრავი ქონებისა და საბითუმო საქონლის შეძენა ძირითადად ხდება უცხოურ ვალუტაში, რომელიც ლარისადმი უნდობლობის შედეგად დაზოგილი ფულის ძირითადი კომპონენტია.

ლარისადმი გარკვეული უნდობლობის, მასზე მოთხოვნის დაბალი დონის გამომწვევი მნიშვნელოვანი ფაქტორია კუპონის პერიოდში განვითარებული ჰიპერინფლაციური პროცესები, რომლის უარყოფითი შედეგებიც ხალხის მეხსიერებაში დაიღეჟა და დიდი ხნით შეარყია ნდობა ეროვნული ვალუტისადმი. ამიტომ იმ პერიოდიდან ხალხი ინერციით უპირატესობას მყარ უცხოურ ვალუტას ანიჭებს. უპირველეს ყოვლისა კი დოლარს, რომელმაც მთელ რიგ ზემოაღნიშნულ ოპერაციებში პრაქტიკულად ჩაანაცვლა ლარი, რითაც შეზღუდა მისი ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სასიცოცხლო ეკონომიკური სივრცე. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სამეწარმეო საქმიანობის შემდგომ ლეგალიზებას და რაც მთავარია, საბითუმო გარიგებების განხორციელების და უძრავი ქონებით ვაჭრობის დროს ლარით უნაღდო ანგარიშსწორების გაფართოებას. ნაღდი ანგარიშსწორების განხორციელებისას კი მოთხოვნილ უნდა იქნას სათანადოდ დადასტურებული დო-

კუმენტი აღნიშნული ანგარიშსწორების ლარის მეშვეობით განხორციელების შესახებ.

ფულზე მოთხოვნის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წყაროა საფონდო ბაზრები, რომლებიც ჩვენთან არ არის განვითარებული, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მონეტიზაციის შედარებით დაბალ დონეს.

დღეისათვის საქართველოში როგორც ფულად-საკრედიტო სფეროში, ასევე სავალუტო ბაზარზე არსებული სიტუაცია მიმართულია სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის საწინააღმდეგოდ. ინფლაციის მაღალი დონის პარალელურად დოლართან მიმართებაში ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის ამაღლება განაპირობებს რეალური გაცვლითი კურსის ზრდას. ეს ხელს უშლის არა მხოლოდ სამამულო წარმოების აღორძინება-განვითარებას, არამედ აგრეთვე ეკონომიკური ინტერესების მქონე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ექსპორტზე ორიენტირებულ დარგებში. რეალური გაცვლითი კურსის ამაღლება ზრდის უცხოელი ინვესტორების მიერ ქართული პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე განეულ დანახარჯებს დოლარებში და შესაბამისად აძვირებს საბოლოო პროდუქციას, რაც თავის მხრივ ნაწილობრივ ანეიტრალებს საქართველოში შრომაზე, მასალებზე, ნედლეულზე, ელექტროენერგიაზე და ა.შ. განეულ დაბალ დანახარჯებს ლარებში და ამიტომ წარმოშობს პრობლემებს აღნიშნული პროდუქციის რეალიზაციის დროს მსოფლიო ბაზარზე.

ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსების ამაღლება ცხადყოფს, რომ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა გარკვეულ წინააღმდეგობაშია სამამულო წარმოების აღორძინება-განვითარების მოთხოვნებთან, რაც გამოწვეულია საქართველოში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამის დაწყების პერიოდიდან უკიდურესად და გადაჭარბებულად პოპულარული თეორიულ-მეთოდოლოგიური შეხედულებების ცალმხრივობით, რომლის თანახმადაც ეკონომი-

კის განვითარებისათვის საჭიროა, ერთი მხრივ, ინფლაციის დაბალ დონეზე, კერძოდ, მცოცავი ინფლაციის, ან უკიდურეს შემთხვევაში „ჯადოსნური“ ერთნიშნა რიცხვის ფარგლებში შენარჩუნება, ხოლო მეორე მხრივ, კი ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მაღალი დონის უზრუნველყოფა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია სამამულო წარმოების, უპირველეს ყოვლისა კი, მატერიალური წარმოების დარგების აღორძინება, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა, ეკონომიკური ზრდის ხარისხის გაუმჯობესება. ამ მიზნის მისაღწევად კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინფლაციის ოპტიმალური ტემპის უზრუნველყოფას, ანუ ფასების დონის მოძრაობის ისეთი ტრაექტორიის მიღწევას, რომელიც პროდუქციის გამოშვების გადიდებისას უზრუნველყოფს პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე განეული საშუალო დანახარჯების ზრდის ანაზღაურებას—მოგების საშუალო ნორმის შემცირების გარეშე.

ამიტომ მიმდინარე ეტაპზე ინფლაციის ტემპის რეგულირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც ფულადი ფაქტორები, აგრეთვე ერთობლივ მინოდებაზე ზემოქმედი ეგრეთწოდებული „ფასწარმომქმნელი“ ფაქტორებიც. ამის აუცილებლობას განაპირობებს ის, რომ გრძელვადიანი პერიოდისათვის ნებისმიერი მაკროეკონომიკური პოლიტიკა (მონეტარულ თუ ფისკალურ სფეროებში) განწირულია კრახისათვის ადეკვატური მიკროეკონომიკური პოლიტიკის გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე ინფლაციის ტემპის შემცირება ზემოთ აღნიშნულ მინიმალურ დონემდე, საითკენაც ჩვენთან ბოლო წლების განმავლობაში კურსია აღებული, არ შეესაბამება ადგილობრივი საქონელწარმოების აღორძინების ინტერესებს. ინფლაციის ასეთი დაბალი დონე ვერ უზრუნველყოფს პროდუქციის გამოშვების გადიდების დროს წარმოქმნილ დამატებითი დანახარჯების ანაზღაურებას —

მოგების საშუალო ნორმის არსებული დონის მკვეთრი შემცირების გარეშე.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, რომლებშიც მშპ-ის ფაქტობრივი მოცულობა პოტენციურს მაქსიმალურად უახლოვდება, ან მისი ტოლია, 1-3 %-იანი წლიური ინფლაცია სრულიად საკმარისია ეკონომიკური ზრდის მაქსიმალური ტემპის უზრუნველსაყოფად. ჩვენთან კი ინფლაციის ასეთი დაბალი ტემპი, მათ შორის ხშირად 10%-ის ფარგლებშიც კი, ვერ უზრუნველყოფს ფასების დონის მოძრაობის ისეთ ტრაექტორიას, რომელიც საჭიროა ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად და სამენარმეო საქმიანობის წასახალისებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაუმართლებლად მიგვაჩნია ჩვენთან ბოლო 9-10 წლის მანძილზე ჩამოყალიბებული ტენდენცია, რომელიც მდგომარეობს ინფლაციის ტემპის მინიმალურ დონემდე შემცირების გადაჭარბებულად გაპიარებული იდეის სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტად დეკლარირებაში, რასაც ეწირება ქართული საქონლის კონკურენტუნარიანობა. ამასთან, აღნიშნული იდეა რეალურ ცხოვრებაში პრაქტიკულად მიუღწევადი აღმოჩნდა, რაზეც მიუთითებს ფასების რეალური და არა ოფიციალური დონის მკვეთრი ამაღლება, რაც ნებისმიერი ფენისათვის საგრძნობია.

სავალუტო პოლიტიკა, ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსის ამაღლება და მათი მაღალ დონეზე შენარჩუნება მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკის დაწყებიდან დღემდე ემსახურება ინფლაციის ტემპის მინიმალური დონის მიღწევას. ლარის მაღალი და სტაბილური გაცვლითი კურსის პირობებში ინფლაციის ზენოლა ვლინდება იმპორტის სასარგებლო საგარეო დისბალანსში, აგრეთვე ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად და ეროვნული ვალუტის კურსის განსამტკიცებლად უცხოური სესხებისა და დახმარებების გაუმართლებელ მოზიდვაში. ლარის ნომინა-

ლური გაცვლითი კურსის ამალღების გზით იფლაციის მო-
თოკვა მართალია ინვეეს ინფლაციის ტემპის მინიმალურ
დონემდე შემცირებას, მაგრამ ამავე დროს ლარის რეალური
გაცვლითი კურსის ამალღების შედეგად განაპირობებს სამა-
მულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შემცირებას,
მისი დარგობრივი სტრუქტურის დეფორმაციას, რაც გამოი-
ხატება მრეწველობის დარგების პარალიზებაში, რითაც
ხელს უშლის ეკონომიკის დაბალანსებულ განვითარებას,
საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეროვნულ-ეკონომიკურ უსაფ-
რთხოებას და საფუძველს ქმნის მომავალში გაცვლითი კურ-
სების მკვეთრი მერყეობისათვის.

არასწორმა სავალუტო პოლიტიკამ, ანუ ბოლო წლებში
ლარის ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსის მკვეთ-
რმა ამალღებამ, მნიშვნელოვანი დარცემა მიაყენა სამამუ-
ლო პროდუქციის კონკურენტუნარიანობას, რაც აისახა ექ-
სპორტთან შედარებით იმპორტის უფრო სწრაფ ზრდაში,
რის შედეგადაც მოგებულნი დარჩნენ იმპორტიორები და სა-
ვალუტო კურსების მკვეთრი რყევებით დაინტერესებული
ფინანსური ჯგუფები.

თუ ეროვნული ვალუტის რეალური გაცვლითი კურსის
ამალღება გამონწვეულია სამამულო პროდუქციის კონკუ-
რენტუნარიანობის ამალღებითა და მასზე მოთხოვნის გადი-
დებით, მაშინ ეს ნორმალური სიტუაციაა, მაგრამ როცა იგი
გამონწვეულია სხვა ფაქტორებით, მაშინ იგი ინვეეს სამამუ-
ლო წარმოების კონკურენტუნარიანობის დაცემას, ექსპორ-
ტის შეზღუდვასა და იმპორტის ნახალისებას. ეს იმითაა გა-
მონწვეული, რომ როცა ეროვნული ვალუტის რეალური გაც-
ვლითი კურსი მაღალია, მაშინ უცხოური საქონლები შედა-
რებით იაფია, ხოლო სამამულო ნაწარმი შედარებით ძვირია.

ამგვარად, მცირე ღია ეკონომიკისათვის საშიშია არა
შედარებით მაღალი ინფლაცია (ზომიერი ტემპის ფარგლებ-
ში), არამედ ინფლაცია ეროვნული ვალუტის საგარეო ბა-

ზარზე ერთდროული გაძვირების პირობებში, რასაც სამწუხაროდ ადგილი აქვს საქართველოში.

ამიტომ ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ეტაპზე, უპირველეს ამოცანად მიგვაჩნია რეალური გაცვლითი კურსის შემცირება. ამ მიზნით საჭიროა დოლართან მიმართებაში ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის გეგმაზომიერი შემცირება მინიმალურ კონტროლირებად ფარგლებში — ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო ბაზარზე დოლარის შესაძენად განხორციელებული სავალუტო ინტერვენციის გზით. იმისათვის, რომ ამან არ გამოიწვიოს ფასების დონის შესაბამისი ტემპით ამაღლლება, საჭიროა ერთდროულად გონივრულ ფარგლებში შეიზღუდოს სახელმწიფო ხარჯები და შიდა კრედიტების გაცემა.*²² ამ შემთხვევაში აღნიშნული სავალუტო პოლიტიკა ძირითადად ზემოქმედებას მოახდენს იმპორტული საქონლის ფასზე, ხოლო სამამულო პროდუქციაზე ფასები ამაღლდება შედარებით უმნიშვნელოდ, ვინაიდან ადგილობრივი წარმოება, სავალუტო ბაზარზე მომხდარ ასეთ ცვლილებებს ფასების ამაღლებასთან ერთად უპასუხებს საქონლის მიწოდების გადიდებით.

ამგვარად, ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის მეშვეობით მიზანშეწონილად მიგვაჩნია უზრუნველყოფილ იქნას რეალური გაცვლითი კურსის ყოველწლიური შემცირება, თუნდაც 1%-ის ფარგლებში. რეალური გაცვლითი კურსის შემცირება გამოიწვევს სამამულო და იმპორტულ საქონელს შორის შეფარდებითი ფასების ისეთ ცვლილებას, რომელიც იმპორტულთან შედარებით გააიაფებს ქართულ საქონელს და წაახალისებს სამამულო საქონელწარმოებას, აგ-

²² * ინფლაციის რეალურმა დონემ, როგორც ჩანს, ბევრად გადააჭარბა მაქსიმალურ დასაშვებ დონეს. საქართველოში დღეს არსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გათვალისწინებით ასეთ დონედ ჩვენ მიგვაჩნია დაახლოებით 12-15 %.

რეთვე სასაქონლო ექსპორტს, რაც საბოლოო ანგარიშით ხელს შეუწყობს საგარეო ვაჭრობის დეფიციტის შემცირებას.

რეალური გაცვლითი კურსის შემცირების უზრუნველსაყოფად აუცილებელია დოლართან მიმართებაში ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი ყოველწლიურად გაუფასურდეს: საქართველოში და აშშ-ში ფასების დონეების თანაფარდობის ზრდის ტემპთან შედარებით უფრო მაღალი ტემპით. იგივე პოლიტიკა უნდა განხორციელდეს იმ ქვეყნების ვალუტების მიმართაც, რომლებიც საგარეო ვაჭრობის სფეროში წარმოადგენენ საქართველოს მთავარ პარტნიორებს (ძირითადად საუბარია რუსულ რუბლზე და თურქულ ლირაზე).

რეალური გაცვლითი კურსის შემცირება სამომხმარებლო პროდუქციის იმპორტთან ერთად გააძვირებს მანქანა-მონყობილობებისა და ტექნოლოგიების იმპორტსაც, მაგრამ ამის თავიდან აცილება შესაძლებელია, მაგალითად, იმპორტირებულ მანქანა-მონყობილობებზე და ტექნოლოგიებზე დღგ-ის შემცირების ან გაუქმების, ან მათი იმპორტის სუბსიდირების გზით.

გაცვლითი კურსების რეგულირებისას, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია, რომ პუი-ის (პირდაპირი უცხოური ინვესტიციების), უცხოური დახმარებებისა და უცხოეთში დასაქმებული ჩვენი თანამემამულეების ფულადი გზავნილების მოცულობების გადიდება განაპირობებს ლარზე მოთხოვნის ზრდას, რაც თავის მხრივ იწვევს ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსების ამაღლებას. უცხოური ვალუტის ბაზარზე ლარზე მოთხოვნა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსების ამაღლების პროცესი მიმდინარეობს მიმოქცევაში მყოფი ლარის მასის ზრდისა და ფასების დონის ამაღლების პირობებში, რაც ართულებს გაცვლითი კურსების ცვლილებას სასურველი მიმართულებით. გაცვლითი კურსებისა და ინფლაციის რეგულირებისას ძირითადი პრობლემაა ინფლაციის ტემპის ეკონომიკურად მიზანშეწონილი დიაპაზონის შერჩე-

ვა. ჩვენთან, როგორც აღვნიშნეთ, ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ ინფლაციის ტემპმა არ გადააჭარბოს დასაშვებ „ჯადოსნურ“ ერთნიშნა ნიშნულს, ანუ მისი მაქსიმალური დასაშვები ზღვარი 10%-ზე ნაკლებია. თუმცა ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ეტაპის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ინფლაციის ტემპის დასაშვები დონე ამაღლდეს 12-15 %-მდე. სწორედ ამ დონემდეა დასაშვები ინფლაციის ტემპის ამაღლება, ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსების ჩვენს მიერ ზემოთ მითითებულ მინიმალურ ფარგლებში შემცირებისას და მოქცევაში მყოფი ლარის მასის შესაბამისი ცვლილებებისას.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ოპტიმალური ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის გატარება, რომლის ფარგლებშიც ინფლაციის ტემპისა და სავალუტო კურსების რეგულირება მიმართული იქნება არა მხოლოდ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად, არამედ აგრეთვე სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად და ასაღორძინებლად, მოითხოვს ძლიერი და დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკის არსებობას. ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ ეროვნული ბანკი და საერთოდ ორსაფეხურიანი საბანკო სისტემა დამოუკიდებელი საქართველოს მნიშვნელოვანი მონაპოვარია და მას გაფრთხილება სჭირდება. სათანადო საკანონმდებლო ბაზისა და სათანადო გარემოს პირობებში ეროვნული ბანკი ქართული ეკონომიკური სივრცის ნორმალური ფუნქციონირებისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტიაა.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შემოღება.

ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა კომერციულ ბანკებში ფიზიკური პირების დეპოზიტების მოცულობა. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის ფართო ფენების ნდობა საბანკო დაწესებულებათა მიმართ ჯერ კიდევ დაბალია, რაც იმაში

გამოიხატება, რომ ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფულის მასა ფართო ფულის (2) მიმართ თითქმის 50 %-ს შეადგენს. თანამედროვე საბანკო პროდუქტების დანერგვამ, სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ გააქარწყლა ის შოკი, რომელიც ჯერ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ყოფილი საბჭოთა შემნახველი ბანკების სისტემის კრახს, მოგვიანებით კი, რამდენიმე წამყვანი კომერციული ბანკის გაკოტრებას მოჰყვა. მართალია, საბანკო ზედამხედველობის საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება კომერციული ბანკების სტაბილურობის გარკვეულ გარანტიას იძლევა, მაგრამ მას არ ძალუძს საკრედიტო დანესებულებათა სრული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მით უმეტეს ბოლოდროინდელი სასესხო ბუმის პირობებში, როდესაც ეკონომიკის დაკრედიტების კოლოსალურ ზრდას თან სდევს შესაბამისი რისკების მატება. ამიტომ სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება დეპოზიტების დაზღვევის ეფექტიანი სისტემის დანერგვა, რომელიც მეანაბრების შესაძლო დანაკარგების მთლიან ან ნაწილობრივ კომპენსაციას ისახავს მიზნად.

დეპოზიტების დაზღვევა უკვე მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში მოქმედებს, 12-ში კი მისი შემოღების მიზანშეწონილობა განხილვის პროცესშია. სწორედ ამ უკანასკნელთა შორისაა საქართველო, სადაც დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ მსჯელობა, დაახლოებით 12 წლის წინ დაიწყო. იმხანად საბანკო სისტემა, დღევანდელთან შედარებით, გაცილებით სუსტად გამოიყურებოდა. მასში ნაკლებად კაპიტალიზებული ბანკები ჭარბობდა, რომელთა ფინანსური მდგრადობა არასტაბილურ მაკროეკონომიკურ გარემოში საკმაოდ საფუძვლიან ეჭვს იწვევდა. ასეთ ვითარებაში დეპოზიტების დაზღვევის შემოღება პოტენციურ მეანაბრეს კომერციული ბანკის საიმედოობის უკმაყოფილებისაკენ უბიძგებდა, სუსტ ბანკებს კი — გაუმართლებელი რისკების გაზრდისაკენ. ამას ხელს ის გარემოებაც უწყობდა, რომ საბანკო ზედამხედველობა იმ დროს ჯერ კიდევ განვითარების

საწყის სტადიაში იყო. ცხადია, შედარებით ძლიერი კომერციული ბანკები არ იქნებოდნენ მოტივირებულნი, თავის თავზე აეღოთ, თუნდაც ნაწილობრივ, სუსტი ბანკების მებაზრეთა დაცვა.

წლების განმავლობაში საბანკო სისტემაში ბევრი რამ შეიცვალა: არსებითად გაიზარდა ბანკების კაპიტალი, მათ შორის — უცხოური ინვესტიციების ხარჯზე; ინსტიტუციურად დაიხვეწა საბანკო ზედამხედველობა; დაინერგა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები; გაუმჯობესდა შიდასაბანკო მენეჯმენტი და რისკების მართვა. შედეგად, მინიმუმამდე შემცირდა ბანკების მოულოდნელი გაკოტრების შესაძლებლობა. ამიტომ, უნდა ვივარაუდოთ, რომ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ამოქმედებას რაიმე განსაკუთრებული საფრთხე არ ემუქრება.

დეპოზიტების დაზღვევა, როგორც წესი, სავალდებულო ხასიათს ატარებს. იგი რომ ნებაყოფლობითი იყოს, მებაზრეებს უნდა შეეძლოთ დამოუკიდებლად შეაფასონ ამა თუ იმ ბანკის საიმედოობა, რათა დანაშოგები იმ ბანკებს მიანდონ, რომლებიც არ მოინდომებენ დეპოზიტების დაზღვევის სისტემაში მონაწილეობას. ასეთ შემთხვევაში ძლიერი ბანკები, სავარაუდოდ, სქემის მიღმა დარჩენას ამჯობინებენ. შედარებით სუსტ საბანკო დაწესებულებებს კი დეპოზიტების დაზღვევა უფრო ძვირი უჯდებათ, რაც არსებითად ამცირებს მის ეფექტიანობას.

რამდენადაც საქართველოში, ისევე როგორც თითქმის ყველგან, მებაზრეთა ძალზე შეზღუდულ რაოდენობას აქვს კომერციული ბანკების მდგრადობის ადეკვატურად შეფასების უნარი, დეპოზიტების სავალდებულო დაზღვევას ალტერნატივა არ გააჩნია. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბანკის მიმდინარე ლიკვიდურობა, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, სრულებითაც არ იძლევა მომავალში მისი უსაფრთხოების გარანტიას. ამიტომაც მოითხოვს ევროკავშირის სპეციალური ღირეექტივა, რომ წევრ-ქვეყნებს დეპო-

ზიტების სავალდებულო დაზღვევის ერთი სისტემა მაინც ჰქონდეთ.

„ფიზიკურ პირთა დეპოზიტების სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის კანონპროექტის თანახმად, დაზღვევას ექვემდებარება ფიზიკური პირების ანგარიშების ყველა კატეგორია როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში, მათ შორის- მიმდინარე ანგარიშებიც. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მეანაბრეს დაზღვეული თანხის 100 % აუნაზღაურდება, თუმცა მაქსიმალური საკონპენსაციო თანხა თითოეულ ბანკში გახსნილ დეპოზიტებზე 5 000 ლარი ან მისი ექვივალენტია. ^{*23}

თუ საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევის შედეგებს დავეყრდნობით, აღნიშნული ლიმიტი, საშუალოდ, მსოფლიოში ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის სამჯერად ოდენობას აღწევს, რაც საქართველოში, 2005 წლის მონაცემებით, 8 000 ლარს შეადგენს. ქვეყნის კომერციულ ბანკებში ფიზიკური პირების ანგარიშების საშუალო ზომის გათვალისწინებით ეს ერთობ დიდი მოცულობაა, რომლის დაფინანსება დეპოზიტების დაზღვევის ფონდის საშუალებით ძალზე გაჭირდება. საკონპენსაციო თანხის კანონპროექტით შემოთავაზებული ლიმიტი, ჩვენი აზრით, ამ ეტაპზე სავსებით საკმარისია მეანაბრეთა დიდი უმრავლესობის დაკმაყოფილებისათვის, თუმცა, არც მისი ფინანსური უზრუნველყოფა იქნება ადვილი.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ლარებში დენომინირებული დეპოზიტების განუხრელი ზრდის მიუხედავად ანაბრების დოლარიზაციის მაჩვენებელი მაინც ერთობ მაღალია და 85%-ს შეადგენს. ამდენად, უცხოურ ვალუ-

^{23*} აშშ-ში ანალოგიური ლიმიტი 250 ათას დოლარს შეადგენს, ხოლო ევროკავშირში — 25 ათას ევროს, რაც ცხადია, საქართველოს სინამდვილისათვის აბსოლუტურად არაადეკვატურია.

ტაში მოზიდული ანაბრების გაუთვალისწინებლობა, ფაქტობრივად, აზრს დაუკარგავდა დეპოზიტების დაზღვევას. თუმცა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ დეპოზიტები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში აფსოლუტურად იდენტურად უნდა დაიზღვეს. მაგალითად, შესაძლებლად მიგვაჩნია შემდეგი ვარიანტი: ლარში მოზიდული ანაბრების დაზღვევა მოხდეს უფრო მეტი საკონპენსაციო თანხის, ვთქვათ, 5 000 ლარის, ხოლო აშშ დოლარში და სხვა ვალუტებში დენომინირებული დეპოზიტის – 4 000 ლარის ექვივალენტის ფარგლებში. ამგვარი მიდგომა არ ეწინააღმდეგება დეპოზიტების დაზღვევის ძირითად მიზნებს და, ამავე დროს, შეიცავს ეროვნულ ვალუტაში ფინანსური შუამავლობის წახალისების საკმაოდ ქმედით მექანიზმს.*²⁴

დეპოზიტების დაზღვევის ეფექტიანობა ბევრად არის დამოკიდებული სქემაში მონაწილე ბანკების მიერ შენატანების ოდენობის განსაზღვრასა და მათი განხორციელების წესზე. ჩვეულებრივ, ბანკების შენატანები ან უნიფიცირებული განაკვეთით განისაზღვრება, ან რისკების შეფასების შედეგად დადგენილი ნორმით.

კანონპროექტის მიხედვით, ბანკების „შენატანების საერთო მოცულობა დაკავშირებული იქნება ბანკების რისკთან სააგენტოს ფონდთან მიმართებაში“. მართალია, ამ ჩანანერს სიცხადე აკლია, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საუბარია შენატანების ოდენობის რისკების შეფასების მეთოდით დადგენაზე. თუ ეს ასეა, მაშინ კანონპროექტის მოტანილი ფორმულირება დაზუსტებას საჭიროებს და თუ არა, მაშინ აუცილებელია შენატანების განსაზღვრის რომელიმე პრინციპის კანონპროექტში ასახვა. ჩვენი აზრით, სირთულის მიუხედავად, უმჯობესია რისკების შეფასების მეთოდით

²⁴* სხვათა შორის, ევროკავშირის დირექტივა დეპოზიტების დაზღვევის თაობაზე ითვალისწინებს დაცული დეპოზიტების გარკვეული პრინციპით განსხვავებულ კომპენსირებას.

სარგებლობა, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს, როგორც მუდმივი, ისე ფონდის საგრძნობი შემცირების შემთხვევაში, სპეციალური სადაზღვევო შენატანების განსაზღვრის დროს.

და მაინც, რა მექანიზმითაც არ უნდა განისაზღვროს კომერციული ბანკების შენატანების მოცულობა, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, დეპოზიტების დაზღვევის სისტემა სახელმწიფოს თანადგომის გარეშე ვერ იარსებებს. დღევანდელი ქართული რეალობის გათვალისწინებით, სადაზღვევო ფონდში, სულ ცოტა, 30 მლნ ლარი მაინც უნდა ირიცხებოდეს, რომლის შევსებას ბანკები თვალსაწიერ მომავალში დამოუკიდებლად ნამდვილად ვერ შეძლებენ.

დეპოზიტების სავალდებულო დაზღვევის სისტემის სახელმწიფო მხარდაჭერის ორი ფორმა არსებობს: ერთი გულისხმობს სახელმწიფოს ეგიდით შექმნილი თვითმართვადი სადაზღვევო კორპორაციის პირველად, განსაკუთრებულ შემთხვევაში კი — დამატებით კაპიტალიზაციას;

მეორე კი გულისხმობს სპეციალური საჯარო ინსტიტუტის დაქვემდებარებაში მყოფი დეპოზიტების დაზღვევის ფონდისათვის მთავრობის ან ცენტრალური ბანკის მიერ ფინანსური გარანტიის ან კრედიტის მიცემას.

კანონპროექტის თანახმად, დეპოზიტების დაზღვევის ფონდი საქართველოში სახელმწიფოს ფინანსური დახმარების კომბინირებული სქემით ისარგებლებს: მისი საწყისი კაპიტალი მთავრობის ფინანსური გარანტიის საფუძველზე შეიქმნება, ასევე მთავრობა გამოყოფს შეღავათიან სესხს ფონდში სახსრების უკმარისობის შემთხვევაში. საეჭვოა, რომ საქართველოს მთავრობა აღნიშნული ვალდებულებების აღებას დათანხმდეს. ამიტომ კომპრომისის სახით შეიძლება გამოდგეს ვარიანტი, რომლის მიხედვითაც ერთჯერად, პირველად შენატანს ფონდში ეროვნული ბანკი შეიტანს, კრედიტს ან ფინანსურ დახმარებას კი, განსაკუთრებულ შემთხვევებ-

ში, მაგალითად, სისტემური სირთულეების დროს, მთავრობა გამოყოფს.

სახელმწიფოს როლი დეპოზიტების დაზღვევის სისტემაში ამით არ ამოიწურება. კანონპროექტი ითვალისწინებს სადაზღვევო ფონდის განმკარგველის — დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს შექმნას, რომელსაც, სავარაუდოდ ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებით დაკომპლექტებული 5 –წევრიანი სამეთვალყურეო საბჭო უხელმძღვანელებს. ამ ტიპის ორგანოს, ჩვენი აზრით, გაუჭირდება თვითმმართველობის უზრუნველყოფა, მითუმეტეს, რომ კანონპროექტის მიხედვით, სააგენტოს „იურიდიული ზედამხედველობა“ და აუდიტი ეროვნულ ბანკს ეკისრება.

მართალია, საერთაშორისო გამოცდილებით ცენტრალური ბანკი წარმოდგენილი უნდა იყოს დეპოზიტების დაზღვევის ადმინისტრირების ხელმძღვანელ ორგანოში, თუმცა იგი არ უნდა დომინირებდეს სახელმწიფოს სხვა წარმომადგენლებთან ერთად. ასეთ შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭო, როგორც დეპოზიტების დაზღვევის უმაღლესი მმართველობითი ორგანო აზრს კარგავს, თვით სააგენტო კი დაქვემდებარებული აპარატის იერს იძენს. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სამეთვალყურეო საბჭოს 5 წევრიდან მხოლოდ ორი იყოს უშუალოდ სახელმწიფოს წარმომადგენელი, დანარჩენი სამი კი – სათანადო პროფესიული გამოცდილების მქონე დამოუკიდებელი პიროვნება, რომელიც დააკმაყოფილებს შესაბამისობის მკაცრად განსაზღვრულ კრიტერიუმებს და კიდევ, უმჯობესია აღნიშნული 3 პიროვნება ქვეყნის პრეზიდენტთან დასამტკიცებლად საბანკო ასოციაციამ წარადგინოს. ამგვარად, დაკომპლექტებულ სამეთვალყურეო საბჭოს უნდა მიეცეს, აგრეთვე, სააგენტოს დირექტორის დანიშვნისა და სამსახურიდან დათხოვნის უფლებამოსილება.

თუ დეპოზიტების დაზღვევის ევროდირექტივას დავესესხებით, სადაზღვევო შემთხვევა დგება მაშინ, როდესაც

კომპეტენტური ორგანო (ცენტრალური ბანკი ან ბანკების დამოუკიდებელი ზედამხედველი) დაადგენს, რომ კომერციული ბანკი 21 დღის განმავლობაში ვერ აკმაყოფილებს დეპოზიტართა მოთხოვნებს, რაც ჯერ კიდევ არ ნიშნავს მისთვის ლიცენზიის ჩამორთმევას. კანონპროექტის თანახმად კი, სადაზღვევო შემთხვევა იწყება მაშინ, როდესაც: 1. ეროვნული ბანკი აუქმებს ამა თუ იმ ბანკის ლიცენზიას; 2. დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმში მყოფი ბანკის ანგარიშების გაყინვის დღეების რაოდენობა 21-ს აღემატება ან ნებისმიერი მიზეზით კომერციული ბანკის ანგარიშების გაყინვის დღეების ჯამური ოდენობა 21-ზე მეტია. სადაზღვევო შემთხვევის ლიცენზიის ჩამორთმევასთან დაკავშირება აპრიორი ნიშნავს ბანკის უცებ, შესაბამისი საზედამხედველო რეჟიმის დროულად გამოყენების გარეშე გაკოტრების შესაძლებლობას, რაც, ჩვენი აზრით, არ შეესაბამება საბანკო ზედამხედველობის საუკეთესო პრაქტიკას და ეწინააღმდეგება მენაბრეთა ინტერესებს.

შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების სისტემის მონესრიგება და დაცვა. საქართველოს ეროვნული ბანკი სისტემატურად აქვეყნებს ინფორმაციას ელექტრონული ფულადი გზავნილების მოცულობის და ქვეყნების მიხედვით წარმომავლობის შესახებ, რომელიც საბანკო სექტორში მოქმედი სწრაფი გადარიცხვის ელექტრონული სისტემების მონაცემებს ეყრდნობა. უკანასკნელი ასახავს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ფიზიკური პირების მიერ საქართველოს მოქალაქეების ან ამ ქვეყანაში მყოფი სხვა ფიზიკური პირებისთვის გადმორიცხულ თანხებს. მათ შორისაა უცხოეთის ქვეყნების მოქალაქეების მიერ საქართველოში ჩარიცხული ის თანხებიც, რომელიც არ განეკუთვნება შრომითი მიგრანტების მიერ განხორციელებულ ფულად გზავნილებს, რადგან აღნიშნული მოქალაქეები საზღვარგარეთ დამკვიდრებული ქართველების ჩათვლით არ წარმოადგენენ უხცოვანებში სამუშაოდ ნასულ მიგრანტებს. იგივე შეიძლება ითქვას

საზღვარგარეთის ქვეყნების მოქალაქეების მიერ საქართველოში თავისი თანამემამულეებისთვის გადმორიცხულ თანხებზეც.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, ელექტრონული გზავნილები რაოდენობრივად სრულყოფილად ვერ ასახავენ ჩვენთვის საინტერესო ფენომენს, მით უმეტეს, რომ შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილები სხვა არსებითაც შეიძლება განხორციელდეს, მათ შორის უშუალოდ საბანკო ანგარიშების მეშვეობით ან კიდევ არასაბანკო გზით – ნაღდი ფულის სახით. მიუხედავად ამისა, სწრაფი გადარიცხვის ელექტრონული სისტემების მონაცემები საკმარისად ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ რომელი ქვეყნებიდან ხორციელდება ძირითადად ფულადი გზავნილები საქართველოში.

ცხრილი 7: ელექტრონული ფულადი გზავნილები საქართველოში (ათასი აშშ დოლარი)

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
სულ	63269	69559	72122	96085	259122	403133	546340	352801
აშშ	28196	24292	20297	23641	30612	42631	59497	48269
რუსეთი	14841	18776	21597	26382	132129	253523	364642	222141
გერმანია	2408	3057	3380	5439	5370	6025	4968	2814
ისრაელი	1903	2575	2632	2922	2492	3936	4189	3137
ესპანეთი	1504	1775	1716	2063	4170	6300	11348	10470
საბერძნეთი	1860	2762	3729	5895	7971	15671	16401	8860
ბელგია	1200	1559	1313	1472	1796	1368	1901	1637
უკრაინა	1206	1458	1706	1755	7361	15252	11146	8569
გაერთიანებული სამეფო	1170	1531	1677	2341	5902	4904	5923	3851
პოლონეთი	291	215	179	321	282	285	339	222
ნიდერლანდები	532	481	371	732	829	887	1022	477
ყაზახეთი	883	1002	838	863	2663	1638	3652	3845
კანადა	691	710	618	1266	1093	1604	2049	1055
თურქეთი	834	1221	1598	2819	5721	10215	13929	7299
საფრანგეთი	424	946	1627	3167	3148	3651	3545	1580

არაბთა გა- ერთიანებუ- ლი საამი- როები	510	499	609	670	899	1200	1302	457
აზერბაიჯა- ნი	46	52	49	100	160	2256	567	386
თურქმენე- თი	140	91	83	115	519	120	231	30
დანარჩენი ქვეყნები	4630	6558	8104	14123	46002	31667	39690	27703

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი: *World Bank Migration and Remittances Factbook*

ზემოთ მოტანილი ცხრილიდან აშკარად ჩანს, რომ ელექტრონული ფულადი გზავნილების ნაკადი საქართველოში მეტწილად რამდენიმე ქვეყნიდან მოედინება, რომელთა შორის დიდი უპირატესობით ლიდერობს რუსეთი. ბოლო სამ წელიწადში მასზე საშუალოდ გზავნილების 60 პროცენტი მოდიოდა, თუმცა წინა წლებში (2001-2003) მისი წილი საშუალოდ 27 პროცენტს არ აღემატებოდა და საგრძნობლად ჩამოუვარდებოდა აშშ-ს შესაბამის მაჩვენებელს. ამ პერიოდში სწრაფი ელექტრონული გზავნილები საქართველოში, ისე როგორც რუსეთში, შედარებით ახალი სერვისი იყო, რომლითაც მიგრანტთა ერთობ შეზღუდული ნაწილი სარგებლობდა, მითუმეტეს, რომ ორ ქვეყანას შორის ინტენსიური სანტრანსპორტო კომუნიკაცია არსებობდა, რომელიც ამარტივებდა ნაღდი ფულადი გზავნილების განხორციელებას. მომსახურეობის აღნიშნული სახეობით უფრო იმ ქვეყნებში სამუშაოდ წასული მოქალაქენი სარგებლობდნენ, სადაც მკაცრი სამემიგრაციო რეჟიმი მოქმედებს, რაც მგზავრობის სიძვირესთან ერთად, პრობლემატურს ხდიდა საქართველოსთან მიმოსვლას. ამით შეიძლება აიხსნას, ახალი საუკუნის დასაწყისში ელექტრონული გზავნილების მოცულობის ერთობ დაბალი მაჩვენებლები, რომლებიც ნამდვილი

არ იძლევა აღნიშნულ პერიოდში შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების რეალურ სურათს.

საგადამხდლო ბალანსის საჭიროებიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკი, რომელსაც 2007 წლიდან მისი შედგენა ევალება, ახორციელებს შინამეურნეობათა პერიოდული გამოკვლევების შედეგების საბანკო სექტორის, უნიარეს ყოვლისა, სწრაფი გადარიცხვების ელექტრონული სისტემების, მონაცემებთან შეჯერებას. ამის საფუძველზე ხორციელდება შრომითი მიგრანტების ფულად გზავნილებთან დაკავშირებული სამი ძირითადი სტატისტიკური კატეგორიის გამოყოფა. ესენია: საკუთრივ მუშაკთა ფულადი გზავნილები, რომლებშიც იგულისხმება საქართველოს იმ მოქალაქეთა მიერ გამოგზავნილი თანხები, ვინც საზღვარგარეთის ქვეყნებში სამუშაოდ ერთ წელზე მეტ ხანს იმყოფება; მუშაკთა შორის ანაზღაურება, რომელიც მოიცავს ერთი წლის ფარგლებში საზღვარგარეთ სეზონურ, დროებით და საზღვრისპირა სამუშაოზე დასაქმებულ მოქალაქეთა გზავნილებს და მიგრაციასთან დაკავშირებული ტრანსფერტები, რომელიც გულისხმობს მოქალაქის სამშობლოში დაბრუნების დროს უცხოეთის შესაბამისი ქვეყნიდან გამოყვანილი აქტივების ფულად ეკვივალენტს. სწორედ აღნიშნულ კატეგორიებში გატარებულ მაჩვენებელთა ჯამი წარმოადგენს, ჩვენი აზრით, ოფიციალური ფულადი გზავნილების მთლიან მოცულობას.

შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების მთლიანი მოცულობა საქართველოში (იხ. ცხრილი 8) არსებითად განსხვავდება ელექტრონული გზავნილების მონაცემებისაგან. ეს განსაკუთრებით 2000-2003 წლებზე ითქმის, როდესაც მიგრანტები ნაკლებად სარგებლობდნენ სწრაფი ელექტრონული გადარიცხვების სისტემებით. ინფორმაციული ვაკუუმის შევსება სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს სხვადასხვა წყაროების, მათ შორის შინამეურნეობათა მიმოხილვებისა და სპეციალური სტატისტიკური გამოკვლე-

ვების შედეგების საბანკო სისტემის შედარებით მწირ მონაცემებთან შედარების გზით უხდებოდა, რაც ცხადია, ვერ იძლეოდა სასურველ შედეგს. მოგვიანებით, ელექტრონული ტრანსფერების მოცულობის მკვეთრი ზრდის და მათი აღრიცხვის მონესრიგების კვალობაზე, შესაძლებელი გახდა უფრო კორექტული ოფიციალური მონაცემების მიღება, თუმცა სპეციალური სტატისტიკური კვლევების ნაკლებობა, რაც მათი დაფინანსებების პრობლემასთან არის დაკავშირებული, არ იძლევა ფულადი გზავნილების უფრო ზუსტი რაოდენობრივი შეფასების შესაძლებლობას.

ცხრილი 8: შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების სტრუქტურა და დინამიკა საქართველოში (მილიონი აშშ დოლარი)

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
სულ	274	181	231	235	303	346	485	305
მუშაკთა შრომის ანაზღაურება	179	94	152	168	236	247	315	182
მუშაკთა ფულადი გზავნილები	95	87	75	64	64	94	153	10
მიგრანტების ტრანსფერტი	-	-	4	3	3	5	17	22

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი: *World Bank Migration and Remittances Factbook*

ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ ოფიციალურ რემიტანსულ ნაკადში მუშაკთა შრომის ანაზღაურება პრივალირებს, ანუ საქართველოს იმ მოქალაქეთა გზავნილები, რომლებიც ერთ წელზე ნაკლები ვადით რჩებიან დონორ ქვეყანაში და საგადასახდელ ბალანსის სტატისტიკაში მიგრანტები

ბად არც კი ითვლებიან. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს მოქალაქეთა მიმართ სამიგრაციო და სავიზო რეჟიმის გამკაცრებას, განსაკუთრებით, ბოლო რამდენიმე წელიწადში, აგრეთვე მგზავრობის სიძვირეს და სირთულეს, ძნელი დასაჯერებელია, რომ მოკლევადიანი მიგრანტები 2-ჯერ და კიდევ უფრო მეტ თანხას აგზავნიან სამშობლოში, ვიდრე მიგრანტები, რომლებიც წლების მანძილზე რჩებიან დონორ ქვეყანაში. არადა, ქართველ მიგრანტთა სწორედ ეს კატეგორიაა ყველაზე მრავალრიცხოვანი. ამასთან, მიზეზულია მიგრანტების ტრანსფერტების წილი საერთო რემიტანსულ ნაკადში, რაც, საზოგადოდ, მათი აღრიცხვის სიძნელით აიხსნება და მართო საქართველოს პრობლემას არ წარმოადგენს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დგება შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების აღრიცხვის და კლასიფიკაციის უფრო სრულყოფილი პრაქტიკის დამკვიდრება, რისთვისაც აუცილებლად მიგვაჩნია ეროვნული ბანკისა და ან უკვე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ფულადი გზავნილების სპეციალური ერთობლივი კვლევების რეგულარულად წარმოება. ერთობლივის იმიტომ, რომ პრობლემასთან უშუალოდ დაკავშირებული რიგი საკითხების (ქვეყნის გარეთ მიგრაცია, შინამეურნეობათა ქცევა და სხვა) შესწავლა ცილდება ეროვნული ბანკის კომპეტენციას. მეორე მხრივ, სტატისტიკის დეპარტამენტს არა აქვს საბანკო სისტემის უნიკალური პირველადი მონაცემების წვდომა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ ეროვნულ ბანკს მეტი საშუალება აქვს, თუნდაც დონორების დახმარების გარეშეც, დააფინანსოს შედარებით მასშტაბური კვლევა, რასაც მოკლებულია სტატისტიკის დეპარტამენტი.

შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების წლიური აგრეგატული მოცულობა საქართველოში 2000 წელთან შედარებით დიდად არ შეცვლილა. ამასთან, ბოლო წლებში

არაოფიციალური ანუ ბაკნოტური ფულადი გზავნილების ნილი მთლიან რემიტანსულ ნაკადში დაეცა და აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე ნაკლებია. ამასთან, მნიშვნელოვნად მოიმატა ელექტრონული და უშუალოდ საბანკო ფულადი გზავნილების ნილმა, რომელიც 60 პროცენტს აღემატება.

ერთი მხრივ, რემიტანსული ნაკადის არც თუ ისე შთამბეჭდავი დინამიკა, მეორე მხრივ კი, ელექტრონული საშუალებებით განხორციელებული ოფიციალური ფულადი გზავნილების მოცულობის ზრდა მნიშვნელოვანწილად განაპირობა წამყვანი დონორი ქვეყნის — რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ სავიზო და ემიგრაციული რეჟიმების მკვეთრმა გამკაცრებამ და კომუნიკაციური ბლოკადის დაწესებამ.

რუსეთიდან ფულადი გზავნილების ნაკადის შენარჩუნებისა და ქართველ შრომით მიგრანტთა უფლებების დაცვის ამოცანა დღის წესრიგში აყენებს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ეფექტიანი მიგრაციური პოლიტიკის განხორციელების აუცილებლობას. ამ პოლიტიკის უპირველესი მიზანი უნდა იყოს რუსეთსა და სხვა დონორ ქვეყნებში მყოფი შრომითი მიგრანტების ლეგალიზება და სამომავლოდ შრომითი მიგრაციის რეალისტური ქვოტების დაწესება.

ფულადი გზავნილების აგრეგატული სიდიდის და მისი კომპონენტების შეფასება ექსპერტულია და სტატისტიკურ დასაბუთებას საჭიროებს, რისთვისაც აუცილებელია რემიტანსული ნაკადების რეგულარული სტატისტიკური კვლევის ორგანიზება. მის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტთან ერთად შესძლებს პერიოდულად მოამზადოს და გამოსცეს რემიტანსული მიმოხილვა.

მიუხედავად იმისა, რომ შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების მასშტაბმა მშპ-თან, ექსპორტის მთლიან მოცულობასა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სი-

დიდესთან შედარებით 2000 წლის შემდეგ მკვეთრად იკლო, შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილები კვლავ რჩება ქვეყანაში უცხოური ვალუტის ნაკადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ, რომლის ინტენსიურობის შენარჩუნება მაკროეკონომიკური სტაბილურობის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

ფულადი გზავნილები საქართველოში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანასთან შედარებით უფრო მეტად არის ორიენტირებული მოხმარებაზე, ვიდრე დაგროვებასა და ინვესტირებაზე. ამდენად, რემიტანსული ნაკადის გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე მხოლოდ მისი მულტიპლიკაციური ეფექტით შემოიფარგლება, რომელიც, თავის მხრივ, ერთობ შეზღუდულია მოხმარების იმპორტზე მკვეთრი ორიენტაციის გამო.

შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილები საქართველოს შინამეურნეობათა დიდი ნაწილისათვის სასიცოცხლო მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, თუმცა რემიტანსული ნაკადის განაწილება გარკვეული უთანაბრობით ხასიათდება: რეციპიანტთა შორის დედაქალაქის და დიდი ქალაქების მაცხოვრებლები სჭარბობენ, რომელთათვისაც ფულადი გზავნილები ხშირ შემთხვევაში შემოსავლის დამატებითი წყაროა და მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება.

შედარებით უკეთეს მდგომარეობაში მყოფი შინამეურნეობების მიერ მიღებული ფულადი გზავნილები ქვეყანაში საკრედიტო რესურსების არც თუ უმნიშვნელო წყაროდ შეიძლება იქცეს, თუ საბანკო დაწესებულებები შეიმუშავენ რემიტანსულ ნაკადზე ორიენტირებულ პროდუქტებს, რომელთა ფარგლებში, ერთი მხრივ, შესაძლებელი იქნება შრომითი მიგრანტის მიერ თანხების შედარებით ნაკლები ხარჯით გადმორიცხვა, მეორე მხრივ კი, ხელსაყრელი სადებო-ზიტო განაკვეთებით სარგებლობა. ამგვარი პროდუქტების

დამკვიდრება საჭიროებს ბანკების სათანადო მოტივირებას, რაზეც სასურველია ეროვნულმა ბანკმა იზრუნოს.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ვალუტის გამყარებამ ბოლო წლებში, რომელიც ინფლაციური პროცესების პარალელურად მიმდინარეობდა, სგრძნობლად დააზარალა ფულადი გზავნილების მიმღები ღარიბი შინამეურნეობები, რაც ხშირ შემთხვევაში მათი სოციალური მდგომარეობის დამძიმებას უწყობდა ხელს. ამდენად, მაკროეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის კოორდინირების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ფულადი გზავნილების გაუფასურების მასშტაბი.

დასკვნა

ჩატარებული გამოკვლევა შესაძლებლობას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი ძირითადი დასკვნები:

1. სახელმწიფოში ფულის მიმოქცევის რეგულირება ხორციელდება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მეშვეობით. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის ორგანული ნაწილია. იგი წარმოადგენს საკრედიტო რესურსების მობილიზაცია-გამოყენების, ნაღდი ფულის მიმოქცევაში ხელისუფლების მიერ დასახულ და განხორციელებულ ღონისძიებათა სისტემას.

ეროვნული ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება-განხორციელება მაშინ არის ოპტიმალური, როცა ბანკის კონტროლს არის დაქვემდებარებული ეკონომიკური სისტემის მთელი რიგი პარამეტრები – ფულის მასის მახასიათებელი მაჩვენებლის ერთობლიობა; გასაცემი სესხების მთლიანი მოცულობა; წარმოების ნომინალური და რეალური მოცულობების დონეთა ცვლილებების ტენდენცია; ფასების სხვადასხვა ინდექსის ცვლილებები, აშშ დოლარის გაცვლითი კურსი და სხვა.

2. ქვეყნის მიმდინარე ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს კონკრეტული და შესრულებადი მიზნების მისაღწევად. კონკრეტული მიზნები მიღწეული უნდა იქნეს ფასიანი ქაღალდების ოპერაციებით ღია ბაზარზე, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნებით და საპროცენტო განაკვეთით. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გლობალური ამოცანები მიმართული უნდა იქნეს ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის, ინფლაციისა და საგადასახდელო ბალანსის მოწესრიგების პროგრამების განსახორციელებლად.

3. ქვეყანაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელებისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ნეგატიური გვერდითი მოვლენები, რომლებიც მას თან ახლავს. როგორც ცნობილია, ფულად-საკრედიტო

პოლიტიკის ფუნქციონირება შეზღუდულია და რეალურად მის განხორციელებას მთელი რიგი სირთულეები გააჩნია:

თუ ქვეყნის ეროვნული ბანკი მთელი სირთულით გაატარებს ძვირი ფულის პოლიტიკას, მას მოჰყვება კომერციული ბანკების რეზერვების იმ დონემდე დაწევა, რომლის იქით იწყება სესხის მოცულობის შემცირება. იაფი ფულის პოლიტიკა კი აწყდება ისეთ პრობლემას, როგორიცაა: ქვეყნის მთავარი ბანკი კომერციულ ბანკებს უზრუნველყოფს საჭირო ფულადი რეზერვებით; ე.ი. ზრდის მათ მიერ სესხების გაცემის შესაძლებლობას. მაგრამ ეს პოლიტიკა არ იძლევა იმის გარანტიას, რომ კომერციული ბანკები ნამდვილად გასცემენ სესხებს და ფულის მიწოდება გაიზრდება. ასეთი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ნაკლებად ეფექტიანია დეპრესიის პერიოდში. უფრო ნორმალური ეკონომიკური ცხოვრების დროს ფულის ჭარბი რეზერვები იწვევს დამატებითი კრედიტების გაცემის სტიმულირებას და შესაბამისად, ფულის მიწოდების გადიდებას.

4. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ის, რომ ქვეყნის ეროვნულ ბანკს არ შეუძლია გააკონტროლოს და მაოხდინოს ფულის მიწოდებისა და საპროცენტო განაკვეთების ერთდროულად სტაბილიზაცია.

5. ქვეყანამ დღემდე ვერ შესძლო ფასიანი ქაღალდების სრულყოფილიმეორადი ბაზრის ფორმირება – ფუნქციონირება. მიუხედავად ამისა, საქართველოში ეროვნული ბანკი შესამჩნევ წარმატებებს აღწევს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებაში. მისი საქმიანობის უმთავრესი მიზანია ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობის მიღწევის გზით, ინფლაციის დონის შემცირება.

საქართველოს ეროვნული ბანკი ერთადერთი სახელმწიფო სტრუქტურაა, რომელიც ყველა პარამეტრებით ასრულებს მის წინაშე მდგარ ამოცანებს. 1995 წლიდან ჩამოყალიბდა საერთაშორისო რეზერვების ზრდის, ლარის კურსის

გამყარებისა და ინფლაციის ტემპების შემცირების ტენდენცია.

საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებას, რომელიც ემყარება მონეტარისტული პოლიტიკის ძირითადი მიზნების, ინდიკატორებისა და ინსტრუმენტების ოპტიმალური შერჩევის სტრატეგიას. ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობის და ინფლაციის დაბალი დონის შენარჩუნებისათვის, აგრეთვე ქვეყნის საბანკო სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის, ხორციელდება ისეთი მაკროეკონომიკური პარამეტრების მონიტორინგი, როგორიცაა: წმინდა საერთაშორისო რეზერვები, ეროვნული ბანკის მიერ ფისკალური დეფიციტის დაფინასება, საბანკო სისტემის ლიკვიდობა და მიმოქცევაში არსებული ფულის მასა.

6. პროცესი, რომლის მიხედვითაც ცენტრალური ბანკი ზოგადად ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებს აფასებს, და კერძოდ, ინფლაციის დონის პროგნოზს აკეთებს, დაფიქრებას და ორგანიზებას საჭიროებს. როგორც ეკონომიკის ზოგადი შეფასება, ისე პოლიტიკის ინსტრუმენტების შერჩევა ნებისმიერ ეკონომიკაში ანალიზის საფუძველზე უნდა მოხდეს. ინფორმაციულად უზრუნველყოფილი ანალიზის მნიშვნელობა კიგარდამავალ ეკონომიკაში იზრდება, საჭიროა მაჩვენებლების ფართო სპექტრის მონიტორინგი, რათა მივიღოთ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გადანყვეტილებებისათვის აუცილებელი ინფორმაცია. ეს მაჩვენებლები უნდა ასახავდეს ფულის და კრედიტის აგრეგატებს, რეალური სექტორის და შრომის ბაზრის ცვლილებებს, რეგიონულ და საერთაშორისო, განსაკუთრებით ძირითადი სავაჭრო პარტნიორების ცვლილებებს.

7. ფულზე მოთხოვნა, სავარაუდოდ, მერყევი იქნება. სებ-მა უნდა იფიქროს მისი ამჟამინდელი მონეტარული პროგრამის, რომელიც ძირითადად ფულის აგრეგატების მონიტორინგსა და შეფასებას ემყარება, ისეთი პროგრამით

შეცვლაზე, რომელშიც მეტი აქცენტი ინფლაციაზე გაკეთდება. ამავე დროს, მიგვაჩნია, რომ საუბარი ინფლაციის თარგეთირების შემოღებაზე საქართველოში ჯერ კიდევ ნაადრევია. ვფიქრობთ, რომ ქვეყანაში არსებულ პირობებში მისი წარმატებით დანერგვა უბრალოდ შეუძლებელია. პოზიტიური მხარე არის ის, რომ ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობა იზრდება და სებ-ის აღებული აქვს პასუხისმგებლობა ანგარიშვალდებულებაზე, გამჭვირვალობასა და თავისი სტრატეგიის შესახებ ფართო საზოგადოების ინფორმირებაზე. ამასთან, მეორე მხრივ: 1. ამჟამად არსებული მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები ძალზე შეზღუდულია; 2. მიუხედავად იმისა, რომ სებ-ში ამჟამად ეკონომიკური მოდელირების გაუმჯობესება მიმდინარეობს, ეკონომეტრიკული შედეგების გათვალისწინება და, შესაბამისად, მათი პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში ასახვა არ ხდება. ეს ხარვეზი, ალბათ, კიდევ ერთ ხანს არ გამოსწორდება და იგი გარდამავალ ეკონომიკაში ემპირიული კვლევის შეზღუდულობის შედეგია. ინფლაციის (არაფორმალური) მაჩვენებლის მიღწევაზე მეტად ფოკუსირება ცენტრალურ ბანკს ძალზე სასარგებლო გამოცდილებას შესძენს და მომავალში ინფლაციის ფორმალურ პროგნოზირებაზე გადასვლას გაუადვილებს, როდესაც ინფლაციის ასეთი პროგნოზირებისათვის შესაფერისი წინაპირობები შეიქმნება და მისი დანერგვა გონივრულიც იქნება და საიმედოც.

8. საქართველოს წარმატებული განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სათანადოდ კაპიტალიზებული, ქმედითი და კონკურენტული საბანკო სისტემის არსებობას. კომერციული ბანკები ხელს უწყობს დანაზოგების მობილიზებას (ვალუტის, მათ შორის უცხოური ვალუტაში არსებული დანაზოგების ჩათვლით, რომლებიც ამჟამად საბანკო სისტემის გარეთ არსებობს) და მათ ტრანსპორტირებას მწარმოებლურ ინვესტიციებში. ახლო მომავალში საქართველოში ფულზე მოთხოვნის უზრუნველყოფა კვლავ უცხოე-

თიდან შემოსული ნაკადებით, მათ შორის ფულადი გზავნილებით, მოხდება. კომერციულმა ბანკებმა კი უნდა უზრუნველყონ ისეთი საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ამ შემოსავლების ნაწილის მიმართვა მწარმოებლურ ინვესტიციებში ნაცვლად იმისა, რომ ნაღდი ფულის სახით, უქმად, საბანკო სექტორის გარეთ არსებობდეს ან მხოლოდ მოხმარება, მათ შორის იმპორტი, დააფინანსოს.

9. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფისკალურ პოლიტიკასთან ეფექტიანი კოორდინირება პოლიტიკის ისეთი ნარევის შექმნის წინაპირობაა, რომელიც შესაფერისია ზოგადად ქვეყნის განვითარების და, კერძოდ, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნებისათვის. აღსანიშნავია ფისკალური დეფიციტის მოცულობის მნიშვნელობაც, რომელიც პირობითად მშპ-ის წილით გამოიხატება. ფარდობით გამოსახულებაში მის შედარებით მცირე ზომასაც კი ისეთ გარდამავალ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა დიდი დატვირთვა აქვს, ვინაიდან იგი შეესაბამება სარეზერვო ფულის ძალზე დიდ წილს. ფისკალური დეფიციტის დაბალი მაჩვენებელი ხელს უწყობს ფასების სტაბილურობის შენარჩუნებას და ამცირებს სახელმწიფო სექტორის დაკრედიტების საჭიროების შედეგად საკრედიტო რესურსების ბაზრიდან, კერძო სექტორის განდევნის შესაძლებლობას.

10. ქვეყნის კონკურენტულობა გრძელვადიან პერსპექტივაში უმთავრესად ისეთ სტრუქტურულ რეფორმებზეა დამოკიდებული, რომელთა მიზანიც ეფექტიანობისა და მწარმოებლურობის გაზრდაა. აქედან გამომდინარე, კონკურენტუნარიანობის შეფარდებით მაჩვენებელზე (მათ შორის გაცვლითი კურსის ცვლილებებზე, ფასების დონეებსა და წარმოების შეფარდებით ხარჯებზე, ექსპორტის ზრდასა და ბაზარზე შეღწევაზე, ტრანსპორტირების და ბიზნესის წარმოების ხარჯებზე) რეგულარული მონიტორინგი უნდა ხორციელდებოდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი რ. ფული და ფულადი სისტემები. -თბ.: სიახლე, 1996, გვ. 62, 78.
2. გამსახურდია გ. ფინანსების როლი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში. – თბ: მერიდიანი, 1997, გვ. 217.
3. გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში. ი. მესხიას რედაქტორობით. – თბ, 1996, გვ.158.
4. დოლიძე მ. საკრედიტო დოლარიზაცია და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები საქართველოში. ბანკი. 2004.4. გვ. 67-75.
5. ვანიშვილი მ. ფინანსები, სახელმძღვანელო, —თბ., 2007, გვ. 340.
6. ვანიშვილი მ., ფიჩხაია ი., ფიჩხაია ბ., საფინანსო-საბაზრო სტატისტიკა.— თბ., 2009., გვ.266
7. ინგოროყვა ა. წიკლაური ს. „ფულის მიმოქცევისა და კრედიტის საფუძვლები“ თბ. , ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000, გვ.127.
8. თუთბერიძე გ. ფული და საბანკო საქმე. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, კვარტალური მიმოხილვა 2008, ოქტომბერი, გვ. 34-41.
9. კაკულია მ. ასლამაზიშვილი ნ. დოლარიზაცია საქართველოში: მასშტაბები, ფაქტორები, დაძლევის გზები. თბ. : საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, 2000, გვ.117.
10. კაკულია რ. ბახტაძე ლ. საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობები. — თბ. ვერჟე 2007, გვ. 280.
11. კაკულია რ. ხელაია გ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია. — თბ. : საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2000, გვ.469.
12. კაკულია რ. ხაბურზანია ლ. ფული და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკის პირობებში. — თბ.

- „საფინანსო ეკონომიკური აკადემია“, 1993, ნან.2, გვ.110.
13. კაპანაძე დ. ქართული ნუმიზმატიკა. — თბ., სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1950, გვ. 102.
 14. კახნიაშვილი ჯ. მაკროეკონომიკა. — თბ., სიახლე, 1996, გვ. 494.
 15. კეინზი ჯ. დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია — ქუთაისი. 1995, გვ.419.
 16. კემპელი რ. მაკკონელი. სტენლი ლ. ბრიუ. ეკონომიქსი. — თბ. „საქპროფგამი“, 1993, ტ II გვ.510.
 17. ლომოური თ. „ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში.“ თბ., არტანუჯი, 2005, გვ.79.
 18. ლორთქიფანიძე გ. გერაძე გ. კოლხური თეთრი — კულტურულოგიური ასპექტები. — თბ. „ნათლისმცემელი“, 2005, გვ.102.
 19. ლორთქიფანიძე რ. საკუთრების სტრუქტურის, ფინანსებისა და ფულის პრობლემები. — თბ., მეცნიერება, 1992, გვ.84.
 20. მარქსი კ. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, — თბ. სახელგამი, 1953, გვ.92.
 21. მარქსი კ. კაპიტალი. — თბ., სახელგამი, 1954, ტ.I. გვ.92.
 22. მოხსენება საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ. — თბ. :საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2002.
 23. ნადარაია ო. მონეტიზაციის რეალური და ფორმალური დონის განსაზღვრისათვის, ბანკი, 2004, გვ 9-16.
 24. პაპავა ვლ. საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე. — თბ. „მეცნიერება“, 1995, გვ.203.
 25. სამუელსონი პ. ნორდჰაუსი ვ. ეკონომიქსი. (სახელმძღვანელო) ძირითადი შინაარსი. — თბ. „ეკონომიკა და სამართალი“, 1992, გვ. 416
 26. ფული საქართველოში. ი. მანაგაძის რედაქტ. — თბ. საქართველოს ეროვნული ბანკი, 2001, გვ.67.

27. ქისტაური შ. ფულის, კრედიტისა და სარგებლის (პროცენტის) თეორიები. — თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1992, გვ.111.
28. ქისტაური შ. ინფლაცია თბილისი-გორი., 2000, გვ 83.
29. ქისტაური შ. ეროვნული ვალუტა (წარსული, დღევანდელი, მომავალი) — თბ. სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1993, გვ.79.
30. ქოიავა ნ. კაპიტალისტური ქვეყნების ფულის მიმოქცევა და კრედიტი. — თბ. სტალინის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1956, ნაწ 1, გვ.222.
31. ქოქიაური ლ. ფულადი ნაკადები: არსი, მართვა, ანალიზი. — თბ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2005, გვ. 295.
32. ჩანტლაძე ვ. ფულის კრედიტისა და ფინანსების ისტორია. — თბ. სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1986-1987, I-II ნაკვეთი — 230 გვ. III ნაკვეთი — 141 გვ.
33. ჩანტლაძე ვ. ფულის, კრედიტისა და ფინანსების ისტორია: ლექციების კურსი ეკონომიკური ფაქტორების სტრუქტურებისათვის. — თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1986, გვ 152.
34. ჩიქავა ლ. ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი. — თბ. „სიახლე“ 1997, გვ. 456.
35. ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. — თბ. საქართველოს ეკონომიკურ სამინისტროსთან არსებული ეკონომიკისა და სოციალური პრობლემების ინსტიტუტი.ს/ინტი, 1999, ნაწ.2, გვ.346.
36. ხელაია გ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგიერთი აქტუალური საკითხი. — თბ. „ლამპარი“, 1993, გვ. 147.
37. ხელაია გ. ფული, ბანკები და ბირჟები. — თბ. „სამთავისი“, 1996, გვ. 252
38. ხელაია გ. ინფლაცია, როგორ ვუმკურნალოთ? — თბ. სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1994, გვ.158.
39. ხელაია გ. საერთაშორისო სავალუტო და საანგარიშსწორებო ურთიერთობები — თბ. „ლამპარი“, 1996, გვ. 81.

40. ჯავახიშვილი ნ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები (1919-1921) — თბ. საქართველოს ეროვნული ბანკი, 1998, გვ.54.
41. ჯიბუტი მ. სარეზერვო მოთხოვნები, როგორც მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტი. ბანკი, 2003, გვ. 5-15.
42. Абрамов М.Александрова А. Финансы, денежное обращение и кредит. М. «Финансы и статистика». 1996.ст.338.
43. Анулова Г.Н. Денежно-кредитное регулирование: опыт развивающихся стран. М. Финансы и статистика. 1988.ст.394.
44. Антонов Н.Г.Пессель М.А.Денежное обращение,кредит и банки.М. «Финстатинформ».1995.ст. 192.
45. Брегель Е.Я. Денежное обращение и кредит капиталистических стран М. «Госфиниздат». 1955.ст.424.
46. Банковское Дело. Под.ред. О.И.Лаврушина.М. «Финансы и статистика».1999.ст.462.
47. Деньги. Кредит. Банки. Учебник. Под.ред. Б.А. Щегорицова. М. ЮНИТИ-ДАНА. 2005.ст.478.
48. Деньги. Кредит. Банки. Учебник Под.ред. Жукова Л. М. М. «ЮНИТИ» 2001. ст. 378.
49. Деньги. Кредит. Банки. Под.ред. О.И. Лаврушина. М. «Финансы и статистика». 2000.ст.560.
50. Деньги.Кредит.Банки.Учебник.Под.ред.О.И.Лаврушина.М. «КНОРУС».2005.ст. 560.
51. Денежное – обращение и кредит при капитализме. Под. Ред. Л. Н. Красовиной. М. «Финансы и статистика». 1989.ст. 328.
52. Кембели М. Стенли Б. Экономикс: принципы, проблемы и политика. М. «Республика». 1992. Т.1.ст.370
53. Крахенберг И. А. Денежное обращение и кредит при капитализме. М. Академия наук ССР. 1962.ст.183.
54. Кронрод Я. Деньги социалистическом обществе.М. «госфиниздат».1954.ст. 375.
55. Крутякова Ю.А. Денежное обращение, финансы и кредит. М. «приор.изд». 2004.ст.128.
56. Миллер Б.Л.Ван-Хуз Д.Д.Современные деньги и банковское дело.М. «Финансы и статистика».2000.ст.348.

57. Моисев С.Р.Официальная долларизация Латинской Америки. «Бизнес и Банки». 1999.№37.ст.43-62.
58. Рогова О.Л. Моисеева Л.Ф. Денежный оборот и проблемы управления.М. «Финансы и статистика». 1986.ст.188.
59. Родионов С.С; Бабичева Ю.А. Денежно-кредитное регулирование капиталистической экономики: М. «Финансы и статистика». 1991.ст.268.
60. Федоренко В. М. Федоренко А.В. Денежное обращение и кредит капиталистических стран. К. «Выща шк». 1989.ст. 178.
61. Финансы. Денежное обращение Кредит. Подред. Л.А. Дробозиной. М. «Финансы и статистика». 2000.ст.499.
62. Фишер И.Покупательная сила денег. Её определение и отношение к кредиту, процентом и кризисом.М. «Финиздат».1925.ст.278.
63. Юровицкий В. Эволюция денег: Денежное обращение в эпоху изменений. М.»Гроссмедина».2005.ст.245.
64. http://www.nbg.gov.ge/nbg_ntw_geo/about_the_bank/savaluto_pol.htm
65. World bank.2007.report on Standarts and Codes. January 2007. Available at: www.worldbank.org.
66. Papaphilippou, A.2006. Monetary Development's in Georgia: Recent Trends and Policy Implications, Georgian Economic Trends, Quarterly Review, June 2006. Available at: www.geplac.org.
67. Statistical Office of the European Communities (<http://europa.eu.int/comm/eurostat>; own calculations)
68. Monetary Policy in Dollarized Economies. Occasional Paper #171. By Staff Team led by Tomas J.T Balino, Adam Bennetand Eduardo borencztein . IMF, Washington DC.page 2-3.
69. Economic Forum: Participants debate benefits and challangs of dollarization for Latin American Economies. IMF Suway . July 19, 1999. Page 239.

ირინე თავაძე

ფულის მიმოქცევის რეგულირების
გაუმჯობესების გზები
საქართველოში

გამომცემლობის რედაქტორი:
იზა ხარებავა

ტექნიკური რედაქტორი:
ეკონომიკის დოქტორი, პროფ.
ბადრი გეჩბაია

ტირაჟი 100



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის ბაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge